

# საქართველოს ბიბლიოთეკა

კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-პოპულარული  
და მეთოდური ჟურნალი

N 1(62)

თბილისი - 2016



ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს; ჟურნალი გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ დაურიგდებათ საჯარო ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება, როგორც ხელნაწერი, ასევე ელექტრონული ფორმით. აკრეფილი ტექსტი უნდა იყოს Sylfaen შრიფტით და გადმოიგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: sakartvelosbiblioteka@gmail.com

ალექსანდრე ლორია - მთავარი რედაქტორი

სარედაქციო კოლეგია:

გურამ თაყნიაშვილი - რედაქტორის მოადგილე;

გულნარა სტურუა - კორესპონდენტებთან მუშაობის რედაქტორ-კოორდინატორი;

მირიან ხოსიტაშვილი - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკი გენერალური დირექტორის მოადგილე;

რუსუდან ასათიანი - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი;

გიორგი ქავთარაძე - ტექნიკური დირექტორი

ირინა ალიაშვილი - ჟურნალისტი

დაკაბადონება - მიხეილ თვარაძე

ყდის დიზაინი - თამარ ბაქრაძე

საქართველოს ბიბლიოთეკა N1 (62) - 2016; გამოიცემა 2000 წლიდან  
საავტორო უფლება: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია.

ISSN 1512-0880  
www.gela.org.ge

შინაახსი

ჟურნალი, წლები, ავტორები	2
<b>ლიტერატურული ძიებანი</b>	
გულნარა სტურუა - ბედისწერა თუ ისტორიული კანონზომიერება	4
<b>საეკლესიო გალობანი</b>	
მანანა დეკანოსიძე - ქართული საეკლესიო გალობის თავისებურებანი	8
<b>რარიტეტი</b>	
ფერიდე კვაჭანტირაძე - გავუფრთხილდეთ მემკვიდრეობას	12
<b>ქართული სტამბა</b>	
ირინა ალიაშვილი - თოვლიანი წიგნების ისტორია	15
<b>საბიბლიოთეკო მეთოდოლოგია</b>	
გურამ თაყნიაშვილი - კომენტარები ბიბლიოთეკარის პროფესიულ სტანდარტზე	17
ბიბლიოთეკართა სემინარული მუშაობის სანიმუშო თემატიკა	21
გიორგი კილაძე - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი პროექტი საჯარო ბიბლიოთეკა - სკოლა	22
<b>ლიტერატურულ-ბიბლიოგრაფიული ძიებანი</b>	
გიორგი გაბუნია - მცირე შენიშვნები	24
<b>ციფრული ბიბლიოთეკა</b>	
რუსუდან ასათიანი - ციფრული ბიბლიოთეკის ისტორია	25
ირინა ალიაშვილი - ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას	31
<b>ჩვენი სახელოვანი მოღვაწენი</b>	
მიხეილ ელიზბარაშვილი - მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი	32
გურამ თაყნიაშვილი - ივანე ჯავახიშვილის შეხედულებები მეცნიერის პროფესიული თვისებების შესახებ	34
<b>მოგონება</b>	
ალექსანდრე ლორია - თანამოაზრე, თანამდგომი, თანაავტორი	36
<b>ნარკვევი</b>	
ნინო ხვედელიძე - საინტერესო დეტალი (ეთნოგრაფიული ჩანაწერებიდან)	38
ბიძინა ნანობაშვილი - წიგნი მზითვებში	39
<b>კორესპონდენციები</b>	
მ.ივანიძე - ბიბლიოთეკა და ქალი	42
ლუარა ჭანტურია - მამულიშვილი, მასწავლებელი, მეგობარი	43
ლერი ალიმონაკი - ტრადიცია გრძელდება	44
ნ. თაყნიაშვილი, ნ. აღმაშვილი, ნ. ჯაფარიძე - შეხვედრა პოეტთან	44
<b>ინფორმაცია</b>	
ალექსანდრე ლორია - მხარის კვლევა-ძიების შედეგი	45
პროფესიული ახალი წიგნების პრეზენტაციები	46
<b>რევიუ</b>	
დავით გიგინეიშვილი - ბრემენის მუსიკალური ფესტივალი	50
<b>ქრონიკა</b>	
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები	52

## ჟურნალი, წლები, ავტორები (დაარსებიდან 15 წლისთავთან დაკავშირებით)

ზუსტად 15 წლის წინათ - 2000 წლის მიწურულს, გამოსვლა დაიწყო ჩვენში პირველმა პროფესიულმა პერიოდულმა ორგანომ - ჟურნალმა „საქართველოს ბიბლიოთეკაში“. შემუშავდა ჟურნალის პროგრამა, შედგა სამუშაო გეგმა, არჩეულ იქნა სარედაქციო კოლექცია და რედაქციის თანამდგომ-მხარდამჭერთა საბჭო, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჟურნალის ლეგიტიმაციის საქმეში.

ჟურნალის რედაქცია შემდეგი შემადგენლობით დამტკიცდა: ა. ლორია (რედაქტორი); გ. თაყნაიშვილი (რედაქტორის მოადგილე - პასუხისმგებელი მდივანი); მ. რაზმაძე (კომერციული დირექტორი); გ. სტურუა (სამეცნიერო-მეთოდური და კორესპონდენტებთან მუშაობის კოორდინატორი); ნ. ქავთარაძე (საქმის მწარმოებელ-კორექტორი).

რედაქციამ მხარდაჭერის, ხელშეწყობისა და კონსულტაციების მიღების მიზნით შექმნა ჟურნალის თანამდგომთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში დეკლარაციის, მადლობა



ფესიული გამოცდილების პიროვნებები იყვნენ თავმოყრილნი: ნ. ამალაბელი, შ. აფაქიძე, ლ. ბერძენიშვილი, თ. გამყრელიძე, ს. გოგიბერიძე, მ. ზაალიშვილი, დ. თარხან-მოურავი, ნ. კანდელაკი, ა. კარტოზია, ლ. ნადარეიშვილი, თ. ქლენტი, ვ. სართანია, ა. სიხარულიძე, ბ. სულაკაური, ი. დარიბაშვილი, რ. დლონტი, თ. ჩხენკელი, ი. ჭანტურიშვილი.

დამფუძნებელ-გამომცემლებს წარმოადგენდნენ საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია. თავდაპირველად ჟურნალის პირველი ნომრები

იბეჭდებოდა უშუალოდ პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიკროსტამბაში თვით გენერალური დირექტორის (ლ. ბერძენიშვილი) მეთვალყურეობის ქვეშ; შემდეგ ბეჭდვისა და, საერთოდ, ჟურნალის წარმოება-ორგანიზაციის საქმე გადავიდა ინდემწარმე „ალის“ განკარგულებაში, რომელსაც უშუალოდ რედაქტორი ა. ლორია წარმოადგენდა ჟურნალის ტექნიკურად მომზადება და ბეჭდვა უკვე არა ეროვნულ ბიბლიოთეკაში, არამედ გამომცემლობა „კოლორი“ ხდებოდა თითქმის 2015 წლამდე. ამან საგრძნობლად აამაღლა ჟურნალის პოლიგრაფიული დონე.

ჟურნალი კვარტალში ერთხელ, ზუსტად დათქმულ დროს გამოდიოდა მისი არსებობის მთელ მანძილზე. უნდა აღინიშნოს, რომ საწყის პერიოდში ფინანსური დახმარება ჟურნალს ამერიკის შეერთებული შტატების საქართველოს საელჩომ გაუწია. ჟურნალმა ნაწილობრივ ისარგებლა აგრეთვე „სოროსის ფონდით“; მას რამდენჯერმე დახმარება აღმოუჩინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, ასევე საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ (პრეზიდენტი ი. დარიბაშვილი). ძირითადად, ჟურნალი არსებობდა იმ სახსრებით, რომელსაც ის თავისი გამოცემების რეალიზაციით იღებდა. ფაქტობრივად, ეს იყო ბიბლიოთეკების მიერ რედაქციის ანგარიშზე ჩარიცხული თანხები. იშვიათად ჟურნალების შესყიდვა ინდივიდუალურად ხდებოდა, რაც პრაქტიკაში გავრცელებული არ იყო.

კარგა ხანს ჟურნალი არ განიცდიდა რაიმე განსაკუთრებულ ფინანსურ სიძნელეებს, ვიდრე ყოფილი ხელისუფლების დროს - 2006-2007 წლებში არ დაიწყო საბიბლიოთეკო სისტემის სრული ნგრევა - დაიხურა თითქმის ყველა სოფლის ბიბლიოთეკა, მკვეთრად შემცირდა მათი რაოდენობა ქალაქებსა და დაბებში; კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც მას მინისტრი ნ. რურუა უძღვებოდა, კანონის საწინააღმდეგოდ, მოლიანად აიღო ხელი ბიბლიოთეკების მართვასა და ზედამხედველობაზე; ამან ნაწილობრივ დაარღვია და დიდად დაახარა საბიბლიოთეკო სისტემა. ერთბაშად ათასობით შემცირდა ბიბლიოთეკების რაოდენობა, გაჭირდა ჟურნალის სუბსიდირება, რედაქცია იძულებული გახდა, შეემცირებინა ჟურნალის ტირაჟი. თუ საწყის ეტაპზე ტირაჟი 1000-1200-ით განისაზღვრებოდა, შემცირდა 600-მდე, ბოლოს კი 300-350-მდე. ჟურნალი თითქმის აღარავისგან აღარ ღებულა ფინანსურ დახმარებას, რამაც მას დიდი სირთულეები შეუქმნა. აქვე

გეინდა აღენიშნოთ, რომ რედაქციის არც ერთი წევრი არასდროს ხელფასს არ ღებულობდა და მხოლოდ ენთუზიაზმით მოღვაწეობდა.

მიმდინარე წლის დასაწყისში ჟურნალის გამომცემის უფლება ინდემწარმე „ალიდან“ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ შეიძინა (ასოციაციის პრეზიდენტი რ. ასათიანი). საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თაოსნობით (გენ. დირექტორი გ. კეკელიძე) დაიწყო ჟურნალის რეორგანიზაცია-რეფორმაცია. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაქსაქსულმა სარედაქციო კოლექციის თანამდგომთა საბჭომ შეწყვიტა არსებობა, ნაწილობრივ შეიცვალა რედაქციის შემადგენლობა,



თუმცა ძირითადი ბირთვი კვლავ განაგრძობს საქმიანობას. ამჟამად სარედაქციო კოლექციის შემადგენლობაში შედიან: ა. ლორია (მთავარი რედაქტორი); გ. თაყნიაშვილი (რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი); გ. სტურუა, მ. ხოსიტაშვილი, რ. ასათიანი, მ. მიქაბერიძე, ი. აღიაშვილი, ნ. ინჯია.

ჟურნალის დაფუძნებისას მისი კეთილმოსურნენიც კი არ ფიქრობდნენ, ჟურნალი დიდხანს თუ იარსებებდა. არ სჯეროდათ ამის, რამდენადაც მიაჩნდათ, რომ გამოსაქვეყნებელი მასალის მოპოვება მუდმივად გასაჭირში ჩააგდებდა რედაქციას. ამას ემატებოდა ისიც, რომ თვლიდნენ, ახალშექმნილი, სავსებით გამოუცდელი რედაქცია საქმეს ვერ გაართმევდა თავს, მით უფრო, საჭირო თანხების უქონლად; დარწმუნებული იყვნენ, არ ეყოლებოდა მკითხველი, ვერ მოიხიდავდა ჟურნალი ავტორებს, არ გამოიწვევდა საზოგადოების ინტერესს.

არ გამართლდა მათი ეჭვები. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად, ჟურნალი თავისი თავის რეკლამასა და პოპულარიზაციას ვერ ეწეოდა სათანადოდ, მასზე მოთხოვნა მაინც იზრდებოდა.

ერთ პერიოდში თავისუფლად ხდებოდა კვლავწარმოება შემოსული თანხების მეშვეობით, მაგრამ შემდეგ, როცა კატასტროფულად შემცირდა ჩვენში ბიბლიოთეკების რაოდენობა, ტირაჟიც შემცირდა და ხარჯებიც გაიზარდა. სხვა გასაჭირიც ბევრი ადგა ჟურნალს - რედაქციას არ გააჩნდა მისთვის გამოსყოფილი ადგილი, ამიტომაც ხშირად იცვლებოდა მისი ოფიციალური მისამართი, დახმარებას იშვიათად თუ აღმოუჩენდა რომელიმე ორგანიზაცია, თანამშრომლები ხელფასს არ იღებდნენ და სხვა. მიუხედავად ამისა, არასოდეს დაგვიანებულა შესატყვისი ნომრის გამოცემა, მასალა ყოველთვის იწვევდა პროფესიონალთა ინტერესს. პროგრამა საკმაოდ ფართო იყო, მოიცავდა მთელ კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს, გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით, რის წყალობითაც ჟურნალით დაინტერესდნენ არამარტო ბიბლიოთეკარები და საბიბლიოთეკო დარგის, არამედ სხვა დარგის სპეციალისტებიც. არაერთ მეცნიერს, პრაქტიკოსს, პედაგოგს, ხელოვნების მუშაკს, მწერალს, სტუდენტს, მოსწავლეს მიუღია მონაწილეობა, როგორც ერთ-ერთ ავტორს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჟურნალი სპეციალისტებისათვის მეთოდური მასალის მიწოდების ნიშნით.

გასულ წელს, როდესაც ჟურნალის მე-60 საიუბილეო ნომერი გამოიცა, პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სახეიმო თავშეყრის დროს, რომელსაც მრავლად ესწრებოდნენ მკითხველები, აშკარად გამჟღავნდა, თუ რადიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბიბლიოთეკართა ამ პროფესიულ ორგანოს, როგორ აფასებდნენ მას, რამდენად საჭირო იყო და როგორი მაღალი დონით გამოირჩეოდა იგი.

ჟურნალის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს მის ფურცლებზე გამოყენებული რუბრიკების სიმრავლე. მათი რაოდენობა 110-ს აღწევს. მართალია, ზოგ შემთხვევაში ხდებოდა ამა თუ იმ რუბრიკის აღტერნატიული სახით წარმოდგენაც, მაგრამ მოცემული ოდენობა მაინც ნათლად გვიჩვენებს მოცულობის სიდიდეს. რაც შეეხება ავტორებს, მათი ოდენობა 490-ს აჭარბებს.

ჟურნალის სტატიობრივი (ანალიტიკური) ბიბლიოგრაფიული აღწერა დაწვრილებით მოიცავს მთელ მასალას, რაც დაბეჭდილია 12 წლის მანძილზე (იხ.: მიქაბერიძე მაია. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გამოცემები: 1861-2012; ბიბლიოგრაფია. - თბ., 2013. - 351 გვ.).

ჟურნალის კოლექტივმა ამ 15 წლის განმავლობაში დიდი შრომა გასწია, რომ ჟურნალს სისხლსავსე ცხოვრებით ეარსებოდა, მაგრამ მთავარი მაინც საბიბლიოთეკო საზოგადოების მონდომება და მხარდაჭერა იყო. ჟურნალის მომავალი არსებობა და წარმატება დღესაც ამაზეა დამოკიდებული.

ლიტერატურული ძიებანი

ბედისწერა თუ ისტორიული კანონზომიერება?

(ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისას,, მიხედვით)

ბუნიახ სბუჩა

„მორბის არაგვი , არაგვიანი,  
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი,  
და შეუპოვრად მოუთამაშებს  
გარემო თვისსა ატეხილ ჭაღებს.  
ჰოი, ადგილნო, არაგვის პირნო,  
მობიბინენო, შვებით მომზირნო,  
ქართველსა გულმან როგორ გაუძღოს,  
ოდეს შვენება შენი იხილოს...“

ეს ბარათაშვილია, მისი სათაყვანებელი სამშობლოს მდინარე, არაგვისპირეთის პეიზაჟის ასეთი ექსპრესიულობითა და სიტყვის უბადლო ხელოვნებით დამხატველი! და არა მარტო პეიზაჟი, შემდგომ სტრიქონებში იგი გვესაუბრება მამულისა და თავისუფლების-მოყვარე ქართველი კაცის მაღლიან ბუნებაზე, დიას, ეს ბარათაშვილია, რომელსაც გულმა ვერ გაუძღო და ქართლის ბედ-იღბალზე მწარედ დაფიქრებულმა, არც თუ ისე შორეული დრო გამოიხმო, რათა მკითხველთან ერთად ემსჯულა ერეკლე მეფის მიერ გადადგმულ იმ პოლიტიკურ ნაბიჯზე, რომლის უსწორ-მასწორობა დღემდე ბუნდოვანი და საკამათო თემად ქცეულა ქართველთათვის. ბარათაშვილი - ქართველი-ევროპელი რომანტიკოსი პოეტი!.. მოდი. ძვირფასო მკითხველო, გავიხსენოთ მისი ეპოქა, გავიხსენოთ ბარათაშვილი და მასთან ერთად ვისაუბროთ საქართველოს ბედსა თუ უბედობაზე.

ხელოვნებისა და ლიტერატურის ერთ-ერთი ძლიერი მიმდინარეობა - რომანტიზმი ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში აღმოცენდა თავდაპირველად დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში, ხოლო მეცხრამეტე საუკუნიდან ევროპის დანარჩენ ქვეყნებში. ამავე საუკუნეში დაიბადა იგი საქართველოშიც. ჭარბი მგრძნობელობით, ბუნებისადმი განსაკუთრებული სიყვარულით, წუთისოფლის არარაობის შეგრძნებით და მისგან თავის დაღწევის სურვილით სავსე რომანტიკოსები არსებულ ცხოვრებას წარმოსახავდნენ მუქ ფერებში და ახასიათებდათ წარსულისადმი ნოსტალგია.

ქართული რომანტიზმის დამამკვიდრებლები იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი. ეპოქა, რომელშიდაც გაიშალა ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა, იყო მეტისმეტად მძიმე, მუქი ფერებით სავსე და ნამდვილად იძლეოდა რომანტიკოსობის საფუძველს. საქართველო, როგორც ასეთი - ერთიანი ქვეყანა, სახელმწიფო - არ არსებობს. მას შემდეგ, რაც გეორგიევსკის ციხე სიმაგრეში, 1783 წელს საქართველოს (ქართლ-კახეთის) დედეგაცია დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს და უკეთესი მომავლით დაიმედებულმა ქართველებმაც ამაღლებული განწყობით ხელი მოაწერეს ტრაქტატს, ქვეყნის ბედი წაღმა მაინც არ დატრიალებულა. გეორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა, მის მფარველობაში შევიდა და მასზე დამოკიდებული გახდა. თუმცა, ტრაქტატის მიხედვით მისი სუვერენიტეტი და სახელმწიფოებრიობა არ იყო გაუქმებული. მაგრამ, ქართველთა საუბედუროდ, ტრაქტატი ანუ დოკუმენტი, რომელშიდაც აისახა საქართველო-რუსეთის სამომავლო ურთიერთობები, დოკუმენტად დარჩა, პრაქტიკულად კი მმართველობის სისტემა მთლიანად რუსეთის ხელში აღმოჩნდა. დაიწყო ქვეყნის საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების გამაღებელი რუსიფიკაცია. ინტელექტუალური ელიტა რუსეთში გადაასახლეს, წინააღმდეგობის გამწვევთ ციმბირი არ აცდებოდათ. თანდათან ნადგურდება ქართული კულტურა, ჩანაგდება მეურნეობა. მკვინვარებს ცენზურა და ხდება ყველაზე უარესი რამ - ქართული ენის შევიწროება და ერის ასიმილაცია. შემადრწუნებელი იყო საქართველოში შექმნილი ვითარება, ხალხი ნებდებოდა რუსულ ძალადობას, ხმის ამომღები და ქვეყნის პატრონი თითქოს არავინ ჩანდა, „ვერცა ერთსა ვიხილავ თანამემამულეთაგან, რათა ეძიებდეს სარგებლობასა მამულისასა. მხოლოდ თავის თავის გამოსზრდას ცდილობენ დღიურად. არ

არის მათსა სულსა შინა ჭეშმარიტება. არამედ დანერვილ არს ყოველი ვნება. არ არს სიყვარული სწავლისა და სწავლულთა. არამედ ყოველი სიძულვილი და მტერობა... არა მოყვარენი არიან შრომის, უკანონოდა და უწესოდ, ფრიად შერყენილად მდგომარეობენ“... ასე გვიხანიათებს ქართველთა იმდროინდელ ყოფას დიდი ქართველი დიდაქტიკოსი სოლომონ დოდაშვილი, რომელმაც თავგანწირული შრომითა და გარჯით მოახერხა ინტელექტუალური ძალების შემოკრება და პოლიტიკური და კულტურულ-საგაბნმანათლებლო საქმიანობის წამოწყება. დიახ, საოცარი საუკუნეა მეთვრამეტე საუკუნე, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ეროვნულ სარბიელზე ამ დიდი და ნათელი პიროვნებით- სოლომონ დოდაშვილით იწყება იმ ქართველ მოღვაწეთა გამოჩენა, რომლებმაც დაამკვიდრეს საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის იდეა, ააღარძინეს ახალი ქართული მწერლობა, შექმნეს ახალი ეპოქა, დაამშვენეს საქართველოს ისტორიის ფურცლები თავიანთი შემოქმედებითი მოღვაწეობით. აი, ამ ეპოქის დასაწყისში, 1817 წლის 4 დეკემბერს, გაღარიბებული არისტოკრატის - მელიტონ ბარათაშვილის ოჯახში დაიბადა ნიკოლოზ ბარათაშვილი. დედა ეგვიპტისა იყო გრიგოლ ორბელიანის და, მეფე ერეკლე მეორის შვილიშვილი.

წინამდებარე წერილის მიზანი ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში ქართლის ბედის თემაა და არა მისი კონკრეტული ბიოგრაფია. სამწუხაროდ, ბარათაშვილის ბიოგრაფიაც და შემოქმედებაც დროის შედარებით მცირე მონაკვეთს მიიცავს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ილია ჭავჭავაძის აზრით, მის შემოქმედებას ჩვენი ლიტერატურისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ბარათაშვილმა ევროპეიზმი დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში და ქართული რომანტიზმის მწვერვალად მოგვევლინა. მის მსოფლმხედველობაზე განსაკუთრებული გაფიქრება მოახდინა სოლომონ დოდაშვილმა, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილს ასწავლიდა თბილისის კეთილშობილთა გიმნაზიაში (1827 - 1832 წწ.).

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნ. ბარათაშვილი ამაოდ ოცნებობდა უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთში გამგზავრებაზე. პოეტის გაღარიბებულ ოჯახს, რაშიდაც დიდი წვლილი მიუძღვის მელიტონის ქეიფისა და დროსტარებისადმი სიყვარულს, არ შეეძლო შვილის მიზნების განხორციელება. ასევე ვერ აისრულა პოეტმა მოქმედ არმიაში შესვლის სურვილი, ესეც იმ ტრაგიკის გამო, რომელიც ბავშვობაში შეემთხვა, ცელქმა ტატლამ ორივე ფეხი მოიტეხა და მკურნალობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერთი ფეხი დამოკლებოდა! მხიარული, ცოცხალი და მდიდარი ფანტაზიის მქონე პოეტს გულს

უკლავდა მწვავე სოციალური გარემო, რომელსაც თან დაერთო საყვარელი ადამიანისაგან უგულვებელყოფა, ყველაფერი ისე აეწყო, აშკარა იყო „ბედი მსახვრალის“ დაუნდობლობა, მისი მძაფრი შინაგანი განცდები აისახა ულამაზეს რომანტიკულ პოეტურ აზროვნებაში. ამ განსაკუთრებული პოეტიკითა და სტილით ბარათაშვილმა საფუძველი დაუდო მთელ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურას. საინტერესოა ის, რომ “ მიუხედავად დამორგუნველი სოციალური ყოფისა და პირადი დრამებისა, მრავალფეროვანია პოეტის შემოქმედება, მისი ინტერესთა სფერო და ამ სფეროში გამოსარჩევია ბარათაშვილის სულიერი ტკივილი, ზრუნვა და ფიქრი სამშობლოზე. ბარათაშვილის ეროვნული გრძნობებით გამდიდრებას ხელი შეუწყო, როგორც ოჯახურმა გარემომ და იქ ხშირად შეკრებილმა ისტორიული პიროვნებების საუბრებმა, სასწავლებელში დიდ პატრიოტ სოლომონ დოდაშვილთან სიახლოვემ და აგრეთვე იმ სოციალურ-განმათავისუფლებელმა იდეებმა, რომლებიც უკვე 30-იანი წლებიდან გარკვევით შეიმჩნეოდა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აზროვნებაში და რომლის მსხვერპლიც, შემდგომში აღმოჩნდა თავად სოლომონ დოდაშვილი. აი სწორედ ამ ფაქტორებმა გამოიწვიეს ბარათაშვილის ისტორიული შემეცნების გამდიდრება და მიუხედავად პოეტის რომანტიკულ შემოქმედებისა, რომელიც მეტწილად უმდიდრესი პალიტრით გაჯერებულ ლირიკას წარმოადგენს, 1839 წელს დაიწერა პოეტური ეპოსის თვალსაჩინო და გამორჩეული ნიმუში „ბედი ქართლისა“. ამ ნაწარმოებით პოეტმა გამოამჟღავნა ღრმა ცოდნა მისთვის არც ისე შორეული ისტორიისა და ამავე დროს იგი წარმოგვიდგა როგორც დიდი მოაზროვნე, სამშობლოს ბედით დაფიქრებული არა მხოლოდ რომანტიკოსი, არამედ როგორც რეალისტი მხატვარი.

პოემაში 1795 წლის, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის ბატალური სცენებია დახატული, რომელიც ავტორს უდავოდ იმ თემის გასამაჟღერებლად დასჭირდა, რამაც საქართველოს პოლიტიკური კურსი ჩრდილოეთისაკენ აადგინა. და ჩვენს წინ იმლება თბილისის კარებთან - კრწანისის ველზე გამართულ სასტიკი ბრძოლა. ერეკლე მეორე მცირერიცხოვანი, მაგრამ სამშობლოს დაცვის დაუოკებელი ჟინით შეპყრობილი მეთრებით დახვდა მტერს. დგას ერეკლე მეფე თავისი მეთრების წინაშე და მხურვალე ლოცვას ადავლენს მეუფისადმი. პოემაში არა მარტო ისტორიული ამბავია მოთხრობილი, არამედ ქართველი ხალხის აქტიურობა და სულისკვეთებაა ნაჩვენები. გვიხატავს რა ქართველი ხალხის ისტორიის ტრაგიზმით სავსე ამბავს, დასაწყისშივე წარმოგვიდგენს ქვეყნის მმართველისა და ჯარების სარდლის ერეკლე მეორის

პორტრეტს. მტრის სიძლიერითა და სიმრავლით ჩაფიქრებული მეფე ადავლენს მხურვალე ლოცვას მეუფისადმი, რასაც მოსდევს მისი გამამხნეველი მიმართვა მეომრებისადმი:

„ხედავთ, ვითარის კადნიერებით შეკრების  
ხვენზედ უსჯულოება!  
საქართველოს დღეს გარდაუწყდება  
თავისი ბედი და უბედობა!  
დღეს ეჭირება მამულს მხნეობა, დღეს მეცა  
თქვენში ვარ მეომარი  
ვითა თქვენგანი ერთი მხედარი: დღეს გამოხნდება,  
ვინ არს ერთგული,  
ვის უფრო გვიყვარს ძმანო მამული!“

და მართლაც, თავგანწირვით შეებნენ მტრის ურიცხვ ურდოებს ქართველები, ერთმანეთს ეჯიბრებიან მამულის სიყვარულში. მკითხველის თვალწინ იშლება მძაფრი ბატალური სცენები: ომის ქარცეცხლია. გვესმის ნადარის ხმა, იარაღის ჟღარუნის და სისხლით იღებება მდინარე მტკვარი. ბატალურ სცენებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ერთ თავგანწირვითა და გმირულად მებრძოლ მხედარს, რომელიც მაგალითს აძლევს ქართველ მეომრებს. ეს ერეკლე გახლავთ, პატარა



კახი, ქართველთა საყვარელი მეფე. და გამარჯვებაც მოიპოვეს ქართველებმა. მაგრამ გამარჯვება არ ახარებს მეფე ერეკლეს. ძვირად დაუჯდა ეს გამარჯვება, რადგანაც „მრავალთ ემაწვილ-კაცთ, ნუგეშთა ქართლის, დასდევს აქ თავი მამულისათვის! აწ საფლავიცა არსად ჩანს მათთვის“. მაგრამ ბარათაშვილმა ამ პოემით კრწანისის ველზე გმირულად დაღუპულ

ქართველ გმირებს უკვდავი და წარუშლელი ძეგლი აუგო, ... „ჰოი გმირნო, ნუ შეშფოთდებით, თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით: რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილად გარდაეცემის“. დიახ, არ შემცდარა ნიკოლოზ ბარათაშვილი, მისი შემოქმედების გამოვლენისა და გამოქვეყნების დღიდან, საქართველოში თაობიდან თაობას გადაეცემა და ხმიანობს პოეტის ეს უკვდავი სიტყვები და კვლავაც იხმიანებს მანამ, სანამ ქართული სკოლა და ქართველი მოსწავლე იარსებებს!

საუბედუროდ, ისტორიიდან ვიცით, რაც მოხდა შემდგომ, - დალატი! და კვლავ შემობრუნებულმა, თბილისში შემოჭრილმა ალა-მაჰმად-ხანის ურდოებმა წაღვეს და დააქციეს ქალაქი. პოეტი გულჩასაწყვეტი სტრიქონებით, დრამატული ტონით გვესაუბრება ამის შესახებ, მაგრამ მთავარი და ძირითადი ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის შემდგომი მოვლენებია: რას იმოქმედებს ქვეყნის მმართველი, რა სამამაგლო გზას აირჩევს სამეფოს გადასარჩენად, და აი, დგას ერეკლე მეფე მდუმარე, გაჰყურებს არავს და მისი ფიქრები თავს ევლება თავის სამეფოს, თავის ხალხს. ვაი, რომ გაამაყებული და გაქეზებული ალა-მაჰმად-ხანი ახლაც არ მოეშვება საქართველოს, „ლეკთაცა აგვიყვანებს, ოსმალი მხოლოდ დროს შემოჰყურებს“. იცის მეფემ, რომ დასუსტებულ ქვეყანას მტერი მოეძალება, რა ქნას უკვე მსცოვანმა მეფემ, ის ხომ ის ირაკლი აღარ არის „პატარა კახად რაც გინახვივარ!“ კიდევ უფრო დიდ ტკივილს იწვევს საკუთარი გარემოცვა, ის ადამიანები (დიდებულები), რომელთაც, ბევრჯერ უდალატეს სამშობლოს, მეფე მათ ვერ დაეყრდნობა. „მარქვი, რომელს შვილს ჰხედავ ღირსეულს, რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?“ მიმართავს მეფე თავის ერთგულ მსახურს სოლომონს, უსმენს ბრძენი მსაჯული ერეკლეს და, როდესაც მეფისაგან გაიგონებს, რომ „აწ განთქმულია რუსთა სახელი, ხელმწიფე უვისთ, ბრძენი და ქველი, დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა, მტკიცე კავშირი, სარწმუნოება, მას მინდა მივცე შემკვიდრეობა, და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა!“ არ მოელოდა სოლომონი ერეკლესაგან ასეთ საუბარს, ასეთ აზრებს. უსმენს, მაგრამ გულს არ ეკარება მეფის სიტყვები. რა ქნას, როგორ დააჯეროს მეფე, რომ შეუძლებელია ქართველთა მიერ რუსთა შეთვისება, „ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა, რაც მოისურვოს ქართველობამა“, „თავისუფლების განსყიდვას“ ვერ შეეგუებიან ქართველები და მეფე ერეკლეს საამაყო სახელი ქართველი ერის საღანძღავად იქცევაო... - ეუბნება მეფეს. ორი ბრძენი ქართველი დიდხანს პაექრობს - რა როგორ სჯობს. ორთავე მამულის ბედს შეუძრავს, ორთავე გამოსავლის ძიებაშია. ქვეშევრდომთა ორგულობით გულმოკლული და

იმედდაკარგული ერეკლე ხსნას და მწვიდობას „საყვარელ ყმათა“ რუსეთის მოკავშირეობაში ხელავს. სოლომონს ეს კავშირი აშინებს და არ მიაჩნია საიმედოდ. დაგეთანხმებით, ეუბნება თავის საყვარელ მსახურს მეფე, მაგრამ დაიხსომე ჩემი სიტყვები, სხვა გზა არა აქვს გარშემო მტრებშემორტყმულ საქართველოს და „რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება, ქართლსა დაიკავს რუსთ ხელმწიფებაო“, ამბობს.

საინტერესოა რუსეთთან მოკავშირეობაზე სოლომონის საუბრის გაგრძელება მეუღლესთან, სათნო და ჭკვიან ქალბატონ - სოფიოსთან. განგებ, მეუღლის აზრების ამოსაცნობად ლამაზ ფერებში ხატავს იგი ქართველ დიდებულთა ოჯახების მისალოდნელ ცხოვრებას რუსეთის მეფის კარზე, ნამდვილად საამო იქნებაო მსოფლიოში ერთ-ერთი ძლიერი ხელმწიფისა და დედოფლის მეურვეობაში ქართველ ქალთა ყოფაო, – უმტკიცებს მეუღლეს სოლომონი, მაგრამ ამ უკანასკნელის საამოდ, სოფიო შეჰყვირებს:

„უწინამც დღე კი დამეღება მე!  
უცხოობაში რაა სიაამე,  
სადაცა ვერვის იკარებს სული  
და არს უთვისო, დაობლებული?“

ორი თავდადებული მამულიშვილის სულიერი ტანჯვა, სამშობლოს ალაღი სიყვარული, მისთვის ზრუნვა, მის მომავალზე ფიქრი მძაფრი ფერებით დაგვიხატა ბარათაშვილმა. ლეონიძე და ერეკლე მეფე ბოლომდე რჩებიან ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავებული აზრების მტკიცედ დამცველნი და ამავე დროს, ერთმანეთის ერთგულნი, ერთმანეთის აზრისა და ჭკუის დამფასებელნი. ორივე პოლიტიკოსის მიზანი სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობის დაცვაა. ამ დიდებულ პეიმაში ორი ისტორიული პირის მსოფლმხედველობა გაერთიანებულია თავად ბარათაშვილში: ერთია, რომ ვერ ელევა თავისუფლებას, დამოუკიდებელ ცხოვრებას ბრძენი მსაჯული ლეონიძე-ბარათაშვილი, მაგრამ მტრებშემორტყმულ, დაუძღურებულ საქართველოს დაცვა და ძლიერი დამხმარე, თანამდგომი და ჭირის გამზიარებელი რომ სჭირდება – ესეც მტკიცედ სწამს მეფე ერეკლე-ბარათაშვილს!

რა მოხდა მერე? ყველამ ვიცით რაც მოხდა: საქართველო რუსეთის მოკავშირე გახდა, მაგრამ ძლიერისა და სუსტის, მდიდარისა და ღარიბის მეგობრობას და მოკავშირეობას ერთი პრინციპი მართავს: დამონება-დამორჩილება! ასე დაკარგა საქართველომ თვითმმართველობა და იქცა რუსეთის გუბერნიად!

ბედისწერაა თუ რაიმე კანონზომიერება? ოცდამეერთე საუკუნეა და საქართველო დღესაც იგივე პრობლემის წინაშე დგას – გარეშე და შინაური მტრების გარემოცვაში მყოფი ეძებს მფარველს – ძლიერ ერთობას, მდიდარ სახელ-

მწიფოს, ეძებს რაღაცას, ბელადს, დევს, დევგმირს და კიდევ ვინ იცის რამდენ გაუგებრობას... სასწაულია ის, რომ (ეს მერამდენე სასწაულია)! – არ ეძებს საკუთარ თავს, არ ეძებს საკუთარ თავში ძალას!..

გასულ საუკუნეში ჩვენ ქართველებს, მთელი სამოცდაათი წლის განმავლობაში, გვინდოდა თუ არ გვინდოდა „ვაშენოთ კომუნიზმი“, „გაუმარჯოს კომუნიზმსო!“ – გვაძახებინეს. დღესაც კი (თუმცა სხვა ტექსტის და სხვა შინაარსის) ორსიტყვიანი ლოზუნგებმომარჯვებულნი, გვესმის თუ არ გვესმის ამ ლოზუნგების შინაარსი მაინც მივიღვართ და საითკენ? ჩვენ გვინდა დამოუკიდებლობა და თავისუფლება, მაგრამ არ ვიცით ამ ორი დიდი ღირებულების – „დამოუკიდებლობისა“ და „თავისუფლების“ შინაარსი და მათ ვაიგივებთ თავისთავად თუ სხვისი ხელით, სხვისი შრომით მოტანილ მდიდარ და უზრუნველ ცხოვრებასთან.

რატომღაც ახლა მახსენდება ამერიკული ვესტერნები (და სხვა მრავალი დიდი ტილოებიც!), სადაც თითქოსდა გულუბრყვილო, სანახაობრივ სცენებში, რიგითი კინომოყვარულიც კი შეამჩნევს ერთ უზარმაზარ თემას: გვანახონ და ჩაუნერგონ ხალხს, შინაურს თუ გარეულს, როგორი ბრძოლით, შრომით, სისხლით, ოფლით მოიპოვეს ამერიკელებმა მიწა, სიმდიდრე და თვით სახელმწიფოებრიობა. ისინი უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, რომლებიც სიცოცხლესაც კი სწირავდნენ საკუთარი საცხოვრისის მოსაპოვებლად, დასამკვიდრებლად. ასე შექმნეს სამშობლო, დიდი ქვეყანა, სიმდიდრე, კანონი, სამართალი. იგი თითოეული ამერიკელის მონაპოვარია!

მოპოვებული მამული და სამშობლო გადმოგვცა ჩვენმა მამა-პაპამ თავისი სამართლით, კანონ-სარჩელებითა, კულტურითა და დიდი ხელსუფლებით... თუმცა არ არის ახლა ძველი ისტორიების გახსენების დრო და ადგილი. კარგი, დავანებოთ მას თავი. სულ ახალი ამბავი გავისხენოთ. გასული საუკუნის დასაწყისში, როგორც იქნა, მტრისა თუ მოყვარის ჩარევითა და დახმარებით, ხომ შევაკოწიწეთ საქართველო და მივიღეთ საქართველოს რესპუბლიკა თავისი საზღვრებით. მეოცე საუკუნის 60-70 იან წლებში გონიერების, ჭკუისა და ხერხის გამოყენებით ქვეყანას თითქმის ჩვენს ნებაზე ვმართავდით (თუ დიპლომატი, ამასთანავე ერის მოყვარე ხელისუფლება გვეყოლებოდა, კიდევ უფრო კარგად...) რა ვქენით, მერე, რა შევინარჩუნეთ ჩვენი სანუკვარი დამოუკიდებლობის შემდგომ?

ეჰ, რამდენი რამ გვაქვს ერთმანეთთან სათქმელი, ძვირცვასო მკითხველო, მოდი, მაინც თავი გავიმხნეოთ და ჩვენი ცხოვრების უცნაური ყოფა და მდინარეა ან ბედისწერას ან ისტორიულ კანონზომიერებას მივაწეროთ.

## ქართული საეკლესიო გალობის თავისებურებანი

მანანა ეახანოსიძე

ვიორგი შთაწმინდელის სასკოლის უმაღლესი  
სასწავლებლის ბიბლიოთეკის ფონოტეკის უფროსი

ქართულ საეკლესიო გალობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. გალობა ყოველთვის იყო ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების მნიშვნელოვანი და აუცილებელი ნაწილი. ქართული ეკლესიის მამებმა და მორწმუნე მრევლმა გარკვეული ბრძოლა გასწიეს, ჩვენამდე რომ მოედწია ქართულ გალობას, რომელიც უნიკალურია მსოფლიოში თავისი განსაკუთრებული მრავალხმიანობით.

ქრისტიანობას ნაზიარები ყოველი ერის მთავარი კულტურული სიმდიდრე, საერთოდ, ამ სარწმუნოების წიაღში შექმნილი საუნჯეა. დიდი და მრავალფეროვანია ქართული ქრისტიანული კულტურის საგანძური, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობის არაერთი ქმნილება შემოუნახავს დღემდე. თუმცა, ზოგი მათგანის სიდიადე და ბრწყინვალეობა არათუ მსოფლიოსათვის, არამედ თვით ქართველი ხალხისთვისაც ათწლეულების განმავლობაში დაჩრდილული გახლდათ მისი მივიწყებისა და შეუსწავლელობის გამო. ამ ბედს იზიარებდა ქართული კულტურის ერთ-ერთი უძვირფასესი საუნჯე - ტრადიციული საეკლესიო გალობა, რომელიც ამჟამად იბრუნებს თავის ღირსეულ ადგილს საეკლესიო ცხოვრებასა და საზოგადოების ცნობიერებაში.

გალობა ქართული ქრისტიანული ეკლესიის ღვთისმსახურების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მისი ფუნქცია ღვთისმსახურების ქართულ ტრადიციაში განსაკუთრებულია. ამის დასტურად გამოდგება რაჟდენ ხუნდაძის ცნობა, რომელშიც ნათქვამია: „მღვდელ-მთავრების მოვლად ყველა მსახურება გალობით სრულდებოდა დიდსა თუ საშუალო დღესასწაულებზე ღამის თევით. ღოცვა რომ დაიწყებოდა, საწინასწარმეტყველოს გარდა, რომელ საგალობელსაც თავზე ხმა უწერია, ყველას გალობით იტყოდნენ სახარების გათავების შემდეგ, პირველი სძლისპირიდან დაწყებული, მეცხრე გალობის გათავებამდე, ერთი რომელიმე მუხლის უგულობოთ წაკითხვა შეუძლებელ იყო“ (რ. ხუნდაძე. „ოქროპირის წირვის წესი“. 1912წ. გვ.1).

ქართულ საეკლესიო გალობას, რომელიც ქართული ლიტურგიკული პრაქტიკის თანადროულია, ხანგრძლივი განვითარების ისტორია აქვს. ერთი მხრივ, საბერძნეთიდან, მეორე მხრივ, იერუსალიმ - სირიიდან შემოსულ საღვთისმსახურო ტრადიციებს, მათ შორის გალობას, საკმაოდ მაღალგანვითარებული მუსიკალური კულტურა დახვდა. მრავალი ჰიპოთეზა არსებობს ადრექრისტიანული ხანის ქართული მუსიკალური კულტურის გენეზისზე. აღსანიშნავია, რომ ქართველობა ვერ შეურიგდებოდა ეროვნული მუსიკალური ტრადიციებისათვის უცხო ჰანგებს და შეეცდებოდა შეექმნა თავისი საეკლესიო გალობა, საკუთარი მუსიკალური პრაქტიკის საფუძველზე, მაგრამ, ცხადია, საეკლესიო კანონით დადგენილ ფარგლებში. საქართველოს ისტორიული განვითარების თავისებურებებმა პირდაპირი ასახვა ჰპოვეს ქრისტიანული კულტურის - ქართული საგალობლის სახის ჩამოყალიბებასა და მისი ზოგადქრისტიანული თუ თვითმყოფადი ეროვნული ნიშნების შემოკრება-შეძენაში.

საეკლესიო ისტორიისათვის კარგად არის ცნობილი ლაოდისკის კრება (367წ.), მისი ერთ-ერთი კანონი საეკლესიო გალობის კანონიზაციის საკითხებს ეძღვნებოდა, „ვიტარმედ არა ჯერარს თვნიერ კანონისა მიერ განწესებულთა მგალობელთაისა, რომელნი საფსალმუნეთა ზედა აღვლენ გალობად დიფთერათა, სხუათა ვიეთმე გალობაი ეკლესიასა შინა“- აღნიშნულია დიდი სჯულის კანონში („დიდი სჯულის კანონი“ გვ. 255). კანონის თანახმად, მრევლს ეკრძალებოდა ფსალმუნების გალობა, მაგრამ უფლება ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ღვთისმსახურებაში საზოგადო გალობის და აკლამაციების გზით.

„ნეტარ არს ერი იგი, რომელმან იცის გალობა შენი, უფალო“-დავით მეფსალმუნის ეს სიტყვები სიყვარულით და სისრულით ჰქონდა აღთქმული და გათავისებული თავის დროზე ქართველ ერს. ამას საქმიანად ადასტურებდა. გალობდა ერი და ბერი, კაცი, ქალი, მოხუცი, ბავშვი, თავადი თუ გლეხი. გალობა

სულიერი ცხოვრების ის მნიშვნელოვანი და აუცილებელი ნაწილი იყო, რომელიც მაღალი მუსიკალური კულტურისა და ესთეტიკის მქონე ქართულ ქრისტიანულ საზოგადოებაში ბუნებრივად იყო ქცეული ღვთის დიდების ერთ-ერთ ყველაზე სასურველ და ყველასათვის ხელმისაწვდომ ფორმად. სამგალობლო ხელოვნებისაკენ ლტოლვა ბუნებრივად არსებობდა ერში და ყველასათვის საწადელი იყო მისი ბავშვობიდანვე შესწავლა.

არ არის გასაკვირი, რომ საქართველოში სულიერების, ეროვნულობის, ინტელექტუალური განვითარებისა და თვითმყოფადობის მტრების სამიზნეს ქართული გალობაც წარმოადგენდა. პარადოქსი მხოლოდ იმაშია, რომ ამ მხრივ ყველაზე მძიმე ხანა ქართული გალობისთვის XIX ს. დასაწყისიდან, ერთმორწმუნე რუსეთის მხრიდან დაიწყო ჯერ ქართული სახელმწიფოებრიობის და შემდეგ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით წარმოებული ექსპანსიით, რასაც შემდგომ ათეისტურ-კომუნისტური რეჟიმის სასტიკი ძალადობა მოჰყვა.

უძველესი ქართული ნეკიმირებული კრებულების არსებობის მიუხედავად (IX-Xსს.), გალობის ხელოვნება საქართველოში უპირატესად ზეპირ ტრადიციას, ზეპირ ცოდნას გულისხმობდა. ამ პირობებში ქართული გალობის გაქრობის საფრთხე ცხადად იგრძნობოდა უკვე XIX ს. 60-იანი წლებისათვის, რის პასუხადაც ქართველი ერის სულიერ მამათა ინიციატივით ჩამოყალიბდა ე.წ. „ქართული გალობის აღმადგენელი კომიტეტი“, რომლის უმთავრესი მიზანი გალობის ევროპულ, ხუთხაზიან სისტემაზე ჩაწერა - დაფიქსირება იყო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული გალობის გადასარჩენად მიღებული ეს ისტორიული გადაწყვეტილება იმ აუცილებელ ნაბიჯს წარმოადგენდა, ურომლისოდაც ქართველი ერი და მისი ეკლესია მრავალსაუკუნოვან უძვირფასეს მუსიკალურ საუნჯეს სამუდამოდ დაკარგავდა.

სწორედ ამ კომიტეტმა ითავა ქართული გალობის ნოტებზე გადატანა. გალობის მცოდნეთა რიცხვი ამ დროს ძალზე მცირე იყო. მისი ნოტებზე გადატანა კი მხოლოდ რამდენიმე კაცს თუ შეეძლო. ღვთის შეწევნით ეს საქმე მაინც აღსრულდა. ფილიმონ ქორიძე, მღვდლები ვასილ და პოლიექტოს კარბელაშვილები, რაჟდენ ხუნდაძე, ბერ-მონაზონი ექვთიმე კერესელიძე - ამ ადამიანთა დაუზა-

რელი შრომისა და ქართული გალობისადმი უსაზღვრო სიყვარულის შედეგია, რომ დღეს მოგვეპოვება მათ მიერ ნოტებზე ჩაწერილი ათასობით საგალობელი, ჩანაწერები, რომელთა მნიშვნელობა ქართული საეკლესიო მუსიკალური კულტურისათვის უძველეს ნეკიმირებულ კრებულებს უტოლდება.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა სამგალობლო ტრადიციებმა ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმე სკოლის სახით მოაღწია, სავარაუდოა, რომ თავის დროზე მათი რაოდენობა ეკლესია-მონასტრებისა, როგორც სულიერი და კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრების ოდენობას უტოლდებოდა. მართალია, ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ქართული სა-



მგალობლო ხელოვნების მრავალი შედეგრი წარსულის კუთვნილებაა და სამუდამოდ დაკარგულია ჩვენთვის, მაგრამ ღვთის შეწევნით, ჩვენამდე მოღწეული სხვადასხვა სამგალობლო ტრადიციის ათასობით საგალობლის სანოტო ხელნაწერთა სახით ქართული სულიერი კულტურისა და მუსიკალური აზროვნების საოცარი სიმადლებების მაჩვენებელი და დამადასტურებელი მრავალი ნიმუშის მფლობელები ვართ დღეს.

საუკუნეების განმავლობაში ქართული გალობა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ზეპირად გადაეცემოდა. გალობა მონასტრებიდან ეფინებოდა მთელ საქართველოს. თავდაპირველად ეს დაიწყო ტაო-კლარჯეთში. შემდეგ სამგალობლო ცენტრმა გადაინაცვლა გელათში, მარტვილში, შემოქმედში, ალავერდში, იყალთოში, ანჩისხატში. საუკუნეთა განმავლობაში სანოტო ნეგმაცია იცვლებოდა. გალობა იმდენად საყვაველთაო იყო, რომ გაჭირვების დროს მეჯოგეც კი გალობდა და შეეძლო მარტოს წირვის წაყვანა. ვინაიდან ძველად გალობა ეკლესია-მონასტრებში ისწავლებოდა, შემდგომში ესა თუ ის

ეკლესია-მონასტერი იწოდებოდა სკოლად ან კილოდ. ასეთი სკოლები მრავლად იყო საქართველოში. ამდენად, უფრო მართებულა ნაცვლად გურულ-იმერულ, ქართლ-კახურ კილოდ წოდებისა მოვიხსენიოთ გალობა ამა თუ იმ მონასტრისა თუ ეკლესიის სამგალობლო სკოლის ან კილოს სახელით. ასეთებია შემოქმედის სკოლა, სვეტიცხოვლის სკოლა, გელათის სკოლა. სწორედ ამ სკოლების უდიდეს წარმომადგენლებზე შევახერხებთ თქვენს ყურადღებას.

1754 წ. დაიბადა პეტრე გრიგოლის ძე კარბელა (ხმალაძე). ის გალობის ხელოვნებას სიყრმეშივე დაუფლებია. იგი მსახურობდა მუჟე ერეკლე I-ის კარზე. შემდეგ პეტრე ხმალაძე, იგივე პეტრე კარბელა, სამთავისში მოღვაწეობდა ლოტბარად. მისი ვაჟი გრიგოლი, სწორედ მან გამოხარდა ლოტბარად. ხოლო თავად გრიგოლმა შვილებს - პო-



ლიექტოსს და ვასილს გადასცა ეს კილო გალობისა. „კარბელაანთ კილო“ - გალობის ტრადიციის ეს სახელწოდება სწორედ პეტრე კარბელადან მომდინარეობს.

აღნიშნული ისტორიული პერიოდის ავბედითობა, თავის მხრივ, ქართლ-კახეთში გალობის ნაწილობრივ მივიწყების მიზეზიც აღმოჩნდა. ამის მიმანიშნებელია ერეკლე II-ის წერილი გალობის მცოდნე, ამბროსი წილკნელის მიმართ: „ქართლ-კახეთში ცისკრის „აღილო“ აღარავის ახსოვსო, ქალაქს ჩამოდი და გვასწავლეო“. როგორც ჩანს, გალობის მცოდნენი იმ დროს ქართლ-კახეთში ცოტანი იყვნენ. ამიტომ ერეკლე II-ის და ანტონ კათალიკოსის ინიციატივით, 1764 წ. გამართული საგანგებო კრების დადგენილებით მღვდელმთავრებსა და მონასტრების წინამძღვრებს დაევადათ „მგალობელთა გუნდთა შედგენა ყველა სამღვდელმთავრო

ტაძრებთან ძველებრ.“ ამისათვის სვეტიცხოველში დაარსდა დიდი საკათალიკოსო სკოლა, სადც ყრმანი მოსწავლენი სხვადასხვა საგნებთან ერთად სწავლობდნენ ქართულ გალობასაცა. როგორც ძველად ამ სკოლაში მოუყარეს თავი დიდი საგვარეულოთა შვილებს, მალე გაიმართა ორ გუნდად გალობა. ამ სკოლიდან მოეფინა სწავლა - მეცნიერება ქართლ-კახეთსა. სწორედ ამ სასწავლებელში განაგრძო ცოდნის მიღება სამთავისიდან მცხეთაში გადმოსულმა 12-14 წლის პეტრე კარბელამ.

ბოლო ხანებში „კარბელაანთ კილოს“ ამა თუ იმ ტაძრის თუ მონასტრის სახელით მოხსენიების ტენდენციები გაჩნდა : სამთავისის, იყალთოს, მარტყოფის, დავითგარეჯას, შიომღვიმის, ბოდბის მონასტრის, ანჩისხატის სკოლა თუ სხვა. პირობითად ყოველ მათგანს შეიძლება მოენახოს გარკვეული ახსნა იმის საფუძველზე, რომ კარბელაშვილთა სამი თაობის მოღვაწეთა სახელები, პირდაპირ ან ირიბად, დაკავშირებულია ამ ტაძრებთან. „კარბელაანთ კილოს“ მოთავედ ცნობილ პეტრე კარბელასთან დაკავშირებული ისტორიიდან გამომდინარე, ქართული გალობის დღემდე შემორჩენილი ეს კილო და ტრადიცია უნდა მოვიხსენიოთ, როგორც სვეტიცხოვლის საგალობო სკოლა.

სწორედ ამ სკოლის წარმომადგენლების - ძმები კარბელაშვილების საგალობლების სანოტო ხელნაწერების არქივის მიხედვით შედგა კრებული „სვეტიცხოვლის სკოლა“. კრებული შეიდი ნაწილისაგან შედგება. საგალობლები დაჯგუფებულია საღვთისმსახურო განგებების მიხედვით: მწუხრის, ცისკრის, იოანე ოქროპირის წირვის, ბასილი დიდისა და გრიგოლ ორმეტყველის ნირვების, მღვდლად კურთხევისა და ქორწინების, მიცვალებულისა და სხვადასხვა დღისა თუ დღესასწაულის საგალობლები. კრებულში წარმოდგენილი გალობა მაღალი სულიერებისა და ესთეტიური ღირებულების მატარებელია.

2011 წ. 20 დეკემბრის საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის დადგენილებით, მღვდლები ვასილ და პოლიექტოს კარბელაშვილები, ძმებთან ფილიმონთან, პეტრესთან და ანდრეასთან ერთად წმინდანად იქნენ შერაცხულნი, რითაც საქართველოს ეკლესიისათვის, გალობის აღორძინებისათვის მხურვალე მღოცხველნი და უფალთან მეოხნი შემატნენ ქართველ წმინდანთა ზეციურ დასს.

კრებულის რედაქტორები არიან ანჩისხა-

ტის ტაძრის მგალობელი, მუსიკოლოგიის დოქტორი დავით შუღლიაშვილი და ზაალ წერეთელი.

კიდევ ერთი სამგალობლო გელათის სკოლაა. მისი სასულიერო-საგანმანათლებლო კერა იმ დროს ერთ-ერთი წამყვანი იყო მსოფლიოში. მუსიკის სწავლებაც გელათში შესაბამის დონეზე იდგა. აქ თავი მოიყარა ქართულმა სამგალობლო ტრადიციებმა, რაც ქრისტიანობის სხვადასხვა პერიოდებიდან ვითარდებოდა საქართველოს მონასტრებში. ფილიმონ ქორიძის ცნობით: „გელათიდან და ჭყონდიდიდან ვრცელდებოდა ყველგან გალობა საქართველოში. გურიაში, სადაც ახლა ვარჯიში გალობა მეფობს, რამდენიმე საუკუნის წინათ სადა გალობას ხმარობდნენ. გურიის მთავარს, მამია მეოთხეს არ მოსწონდა ეს გალობა. გამოიწვია იმერეთიდან გელათში ნასწავლი მგალობლები, აზნაურნი ცქვიტიშვილები, რომელთაც დაამკვიდრეს გურიაში ვარჯიში გალობა“. მისივე ცნობით: „გელათი წინეთ გალობის ბუდე იყო. როგორც ვიცით, ჩვენი სახელოვანი მგალობლები, განსვენებული ანტონ დუმბაძე, სინო კანდელაკი, დავით ჩხარელი და სხვა საუკეთესო მგალობლები გელათში იყვნენ გაზრდილი“. დასავლეთ საქართველოს სამგალობლო სკოლები ახლო კავშირში ყოფილან ერთმანეთთან, რადგან მათი აღზრდილები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ეწყობოდნენ ერთმანეთს გალობაში. გელათის სკოლის საგალობლები შედგენილია წმ. ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) ხელნაწერების მიხედვით.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ფილიმონ ქორიძის მიერ ჩაწერილი და ე. კერესელიძის მიერ მოწესრიგებული და სათუთად გადაწერილი ათასობით საგალობლის შემცველი ხელნაწერი, კრებულების გარევეულ ნაწილზე მითითებულია, თუ ვის მიერ არის ჩაწერილი და ვისგან არის გადმოცემული მასში შემავალი საგალობლები, მაგრამ ნაწილს ასეთი აღნიშვნა არა აქვს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ე. კერესელიძის ცნობა, რომელშიც მოცემულია გალობის გადმოცემთა სია. მასში დასახელებულნი არიან : ანტონ დუმბაძე, დიმიტრი ჭალაგანიძე, ივლიანე წერეთელი, რაჟდენ ხუნდაძე, მელქისედეკ ნაკაშიძე, ნესტორ კონტრიძე, დავით დუმბაძე, სვიმონ მოლარიშვილი და არისტოვლე ქუთათელიაძე.

როგორც ცნობილია, „გალობის აღმადგინებელი კომიტეტის“ მიერ თავდაპირველად საგალობელთა გადმოცემად არჩეულნი იყვნენ: დ. ჭალაგანიძე, ი. წერეთელი და რ. ხუნ-

დაძე. მგალობელთა ამ სამეულს ზედამხედველობას უწევდა საყოველთაოდ ცნობილი მგალობელი ანტონ დუმბაძე. შემოქმედის სკოლა - დუმბაძის კილო. მისი წარმომადგენლები არიან : დუმბაძეები, გოგიტიძეები და სხვა მგალობლები. დუმბაძეები ოდითგანვე სასულიერო წოდებას ეკუთვნოდნენ და მრავალი მათგანი თავიანთ საგვარეულო სოფელში, შემოქმედის მონასტერში მოღვაწეობდა. შემოქმედის სკოლის კიდევ ერთი წარმომადგენელი იყო მათე გოგიტიძე, რომელიც XVI ს. მიმე ისტორიულ პირობებში ქართული გალობის შენარჩუნებისათვის დაუზარელი მოღვაწე გახლდათ და მასთან ერთად იოანე გოგიტიძე, მათეს ძმისწული. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ შემოქმედის მონასტერი ისტორიულად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა იყო ქართული გალობისა. შემოქმედის სკოლის თვალსაჩინო ნიმუშია არტემ ერქომაიშვილის მიერ გადმოცემული გალობა „ქართული გალობის წესი და კანონი არის, რომ ქართული გალობა უნდა ისწავლონ ჯერ ნამდვილ კილოზედ მის მოსწავლეებმა და მერე თუ დაისაჭიროვა - მისი გამშვენება“, წერს ის. არტემ ერქომაიშვილს. ჩანაწერებში უმეტესწილად საგალობელთა „გამშვენებული“ ვარიანტია მოცემული. აღსანიშნავია ისიც, რომ ა. ერქომაიშვილის ჩანაწერებში და ყოველ საგალობელში ცალკე, ნათლად შეიგრძნობა ზოგადი სტილისტური ერთიანობა. როგორც წესი, მსმენელისთვის ადვილად ამოსაცნობია ამ ტრადიციის ნიმუშთა სადაურობა. ეს კი, თავის მხრივ, სამგალობლო ტრადიციის „სკოლის სიმყარეზე მეტყველებს. „ჩვენ ჩვენი გალობის გადაგვარების და დამახინჯების შიში აღარა გვაქვს. რადგანაც ის ნოტებზეა დაწერილი თავის საკუთარ ჰანგზე, მაგრამ ეს ნოტებად დაწერილი თუ არ დაიბეჭდა, თუ მისი შესწავლა და ცოდნა არ გავრცელდა სასწავლებლებში, ხალხში და არ გაჩაღდა მისი დაღადება ეკლესიებში, მაშინ მოკლებული თავის დანიშნულებას, გადაგვარებაზე უარეს მდგომარეობაში დარჩება,“ - ეს არის ფილიმონ ქორიძის სიტყვები.

ქართული გალობა თანდათან უბრუნდება დედა ეკლესიის წიაღს. მისი შესწავლისა და მეცნიერული კვლევის მიმართ სულ უფრო მეტ ინტერესს ახალგაზრდობა იჩენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პროფესიული ჩვენების მქონე მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ძალისხმევით არამარტო აღდგება გალობის საქართველოში არსებული ტრადიცია, არამედ გზა მიეცემა გალობის შემდგომ განვითარებას.

## გავუფრთხილეთ მემკვიდრეობას

ფაჩილა ხვაჩანსიხაძე

ბოლო ხანებში მთელ მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა ინტერესი სულიერი და მატერიალური კულტურის მემკვიდრეობის მიმართ.

მეორე მსოფლიო ომის ჭრილობების მოშუშების შემდგომ არაერთი საერთაშორისო დადგენილება თუ კანონი იქნა მიღებული ამ მონაპოვარის დასაცავად. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 1974 წელს ქ. პაგაში UNESCO-ს მიერ მოწვეულ სახელმწიფოთაშორის კონფერენციას, რომელზეც მიღებულ იქნა საერთაშორისო კონვენცია კულტურულ ღირებულებათა დაცვის შესახებ. მოცემული დოკუმენტის თანახმად, მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ ბიბლიოთეკათა ფონდებიც ექვემდებარებიან საერთაშორისო კონტროლს და ისინი დაზღვეული უნდა იყვნენ ყველა სახის საშიშროებისგან (დოკუმენტის შენახვის შეუფერებელი პირობები, ხანძარი, წყალდიდობა, უკანონო მითვისება და ა.შ.).

1976 წელს საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროშიც მიიღეს „კანონი ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა

ბისა და საარქივო დოკუმენტების დაცვის გაუმჯობესების შესახებ“. ხსენებულმა პროცესებმა სტიმული მისცა საქართველოს კულტურისა და განათლების სამინისტროებს მათდამი დაქვემდებარებულ სხვადასხვა სახის ბიბლიოთეკათა ფონდებში გაეაქტიურებინათ „იშვიათი“, „ძვირფასი“, „რარიტეტული“ ეგზემპლარების გამოვლენა და აღრიცხვა.

ვერ ვიტყვით, რომ ამ მიმართებით აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა, მაგრამ უნდა აღინიშნოს გარკვეული პროგრესი: გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ცალკე სტრუქტურულ დანაყოფად გამოიყო იშვიათი გამოცემათა ფონდი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. გააქტიურდა იშვიათი გამოცემების გამოვლენა; დაიწყო ძველნაბეჭდი (1705-1820 წწ.) ქართული გამოცემების კვლევა, რომელთა აღწერილობა ორ ტომად გამოიცა (ტ.1 – 2010, ტ.2 – 2013); სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა ამ გამოცემათა აღრიცხვა სრულიად საქართველოში, რაც საშუალებას მოგვცემდა სრულყოფილად დაგვენახა, რა გადაურჩა ისტორიულ ქარტეხილებს; აღრიცხვის შემთხვევაში დაიგეგმებოდა, როგორ მივშველებოდით ხანდაზმულ გამოცემებს, როგორ გაგვეხანგრძლივებინა მათთვის არსებობა. ეს საკითხი უახლოეს მომავალშია გადასაწყვეტი, რადგან, გარდა დრო-ჟამისა, ამ გამოცემებს სხვა პრობლემებიც შეიძლება შეექმნათ (გაუფრთხილებელი მოპყრობა, ქვეყნიდან არალეგალურად მათი გატანა, მაკულატურაში ჩაბარება და, სამწუხაროდ, იყო შემთხვევები: მათი გამოყენება ლუ-



და გამოყენების შესახებ“, რომლის საფუძველზე 1978 წელს გამოიცა საკავშირო ბრძანება: „ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში ძველნაბეჭდი წიგნების, ხელნაწერე-

მელის ასანთებად!) იშვიათ ფონდებზე იზრუნა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ცენტრმა: საერთო ფონდებს გამოეყო რარიტეტული გა-

მოცემები და „იშვიათ გამოცემათა კაბინეტში“ დაუნჯდა. მოეწყო რჩეული ეგზემპლარებით მუდმივმოქმედი გამოფენა, რომელსაც ხშირად სტუმრობენ დამთვალეირებლები. ცალკე გამოიყო ნიკო ბერძენიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, ილია აბულაძის და სხვათა მემორიალური კაბინეტები.

დ. არაყიშვილის სახელობის კონსერვატორიის ბიბლიოთეკის სანოტო და წიგნად ფონდებში გამოვლენილი რარიტეტული ეგზემპლარები ცალკე კარადებში განლაგდა და დაცვის შესაბამისი დონისძიებები იქნა მიღებული.

ცალკეა გამოყოფილი იშვიათ გამოცემათა ფონდი საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში. მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის, სახელმწიფო არქივის, ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმის, აგრეთვე ქუთაისის მუზეუმის ფონდებს და სხვა.

ბოლო ხანს კვლავ კულტურული მემკვიდრეობის დამცველი საზოგადოების, UNESCO-ს მიერ იქნა შემოთავაზებული ამ კატეგორიის წიგნებისათვის ახალი ტერმინი „წიგნი ძეგლი“, როგორც სინონიმი ნაკლებად ზუსტი, ზოგადი ტერმინებისა: „იშვიათი“, „ძვირფასი“, „რარიტეტული“ - გამოცემა. ახალმა ტერმინმა კონკრეტულად ასახა ახალი შეხედულება წიგნზე, როგორც კაცობრიობის კულტურული მონაპოვარის ობიექტზე და შესაძლებელი გახდა იგი დაგვეყენებინა სხვა სახის კულტურულ ძეგლთა გვერდით; შესაბამისად, მათ კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტის - ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

წიგნებისათვის ძეგლის სტატუსის მიკუთვნების ტენდენციას პირველად რესპუბლიკაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოეხმაურა. მინისტრის ქ-ნ თამარ სანიკიძის №1105 ბრძანების (08.10.2015) საფუძველზე სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში არსებულ სიძველეთათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის

მისანიჭებლად წინადადებების შემუშავების მიზნით უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა.

მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა მოსაწესრიგებელია, კომისიის წევრებმა შეისწავლეს ჩვენი საგანძურის ათეულობით ხელნაწერი და ბეჭდური წიგნები, შეიმუშავეს წინადადებები აღწერილობის ერთიანი სტანდარტის შესამუშავებლად და ვიმედოვნებთ, სამინისტროსთან თანამშრომლობით მოკლე ხანში მოხერხდება ყველა სახის დოკუმენტის შემუშავება.

ჩვენ გავითვალისწინეთ ჟურნალის მკითხველთა და კოლეგა ბიბლიოთეკარების ინტერესი და მზაობა, გამოავლინონ მათდამი დაქვემდებარებულ ფონდებში წიგნი ძეგლ-



ბი და ხელი შეუწყონ შემდგომში ერთიანი ეროვნული ფონდის აღრიცხვას, რისთვისაც გთავაზობთ სახელმწიფოთაშორისი სტანდარტის მიხედვით ზოგიერთი ტერმინის განმარტების თარგმანს\*:

**წიგნი ძეგლი** არის ხელნაწერი ან დაბეჭდილი წიგნი (წიგნები), წიგნების კოლექციები (მათი ნაირსახეობის ჩათვლით), რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული სულიერი, ესთეტიკური, პოლიგრაფიული და დოკუმენტური თვისებები, წარმოადგენენ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან სამეცნიერო, ისტორიულ ან კულტურულ ღირებულებას, რომლებსაც იცავს სპეციალური კანონმდებლობა.

ისტორიულ-კულტურული ღირებულებების საფუძვლების მიხედვით წიგნადი ძეგლები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

მსოფლიო, სახელმწიფო, რეგიონული, ადგილობრივი (მუნიციპალური).

**მსოფლიო დონის** წიგნად ძეგლებად მიხნეულია ის წიგნები, რომელთაც აქვთ უნივერსალური მნიშვნელობა ადამიანური საზოგადოების სრულყოფილად შექმნისა და განვითარებისათვის, ან ისინი ითვლებიან მსოფლიო კულტურისა და მეცნიერების თვალსაჩინო ქმნილებებად.

**სახელმწიფო დონის** წიგნ ძეგლებს მიაკუთვნებენ იმ წიგნებს, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სამამულო მეცნიერების, ისტორიის, კულტურის შეცნობისა და განვითარებისათვის.

**რეგიონალური დონისაა** წიგნთა ის ძეგლები, რომელთა ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი რეგიონისათვის და ამ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისათვის მათი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობით (ასევე კომპაქტურად დასახლებული ტერიტორიების და სხვა ეთნიკური ჯგუფების ჩათვლით).

**ადგილობრივი მნიშვნელობის** წიგნთა ძეგლებს მიეკუთვნება ის წიგნები, რომლებიც წარმოადგენენ განსაკუთრებულ ღირებულებას განსაზღვრული ადგილ-მდებარეობისათვის (ქალაქის, დასახლებული პუნქტის, სოფლისათვის და ა.შ.)

წიგნი ძეგლების გამოვლენა-დადგენა ხორციელდება ძირითადი (დეპოზიტარული) ფონდების შესწავლის პროცესში, ან მიმდინარე დაკომპლექტების დროს, ან სამმეზრო-საექსპედიციო სამუშაოების (არქეოგრაფიული და სხვა სახის ექსპედიციების) დროს. ამოსავალი წიგნი ძეგლების გამოვლენის დროს არის ქრონოლოგიური კრიტერიუმი, სოციალური ღირებულების კრიტერიუმი და რაოდენობრივი კრიტერიუმი.

**ქრონოლოგიურ კრიტერიუმად** უნდა ვიგულისხმეთ წიგნის „ასაკი“, რაც განისაზღვრება დროის ინტერვალის ხანგრძლივობით წიგნის გამოცემის თარიღიდან - მიმდინარე პერიოდამდე. ქრონოლოგიური კრიტერიუმის ზემო თარიღის განსაზღვრისათვის წიგნი ძეგლის გამოვლენისას გასათვალისწინებელია ცოდნის სხვადასხვა სფეროს განვითარების ისტორიის თავისებურებები და ასევე თითოეული კონკრეტული დარგის და ადგილის წიგნების შექმნის და გამოცემის სპეციფიკა.

**სოციალურ ღირებულებათა კრიტერიუმად** უნდა ჩაითვალოს სულიერი და მატერიალური ხასიათის განმასხვავებელი თვისებები, რომელთა ნიშნები, როგორც წესი არის:

**ეტაპობრიობა**, რაც ახასიათებს წიგნს, როგორც დოკუმენტს, რომელიც ადეკვატურად გამოხატავს როგორც საზოგადოებრივი განვითარების უმნიშვნელოვანეს გარდამქმნელ ეტაპებს, ასევე წარმოადგენს მათ უშუალო კუთვნილებას და განუყოფელ ნაწილს.

**უნიკალურობა**, რაც განასხვავებს წიგნს იმით, რომ ის არის ერთადერთი ამ სახის, ისტორიულ-კულტურული და სამეცნიერო მნიშვნელობის გამო აქვს ინდივიდუალური თავისებურებები.

**პრიორიტეტულობა**, რაც ახასიათებს წიგნს, როგორც მეცნიერების ან ლიტერატურის კლასიკოსების ნაწარმოებთა პირველ გამოცემას, ან არის პირველი გამოცემა, რომელსაც გააჩნია პრინციპულად განსაკუთრებული მნიშვნელობა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის, ბეჭდვითი ტექნიკისა და წიგნის გაფორმების ჩათვლით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ისტორიისა და კულტურისათვის (რელიგიის, ფილოსოფიის, მორალის და ა.შ.)

**მემორიალურობა** - რაც ეხება წიგნს, რომელიც აღწერს გამოჩენილი პიროვნების, სახელმწიფო მოღვაწის, მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი წარმომადგენლების ცხოვრებასა და შემოქმედებას. შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას ისტორიული მოვლენებისა და მემორიალური ადგილების შესახებ.

**კოლექციურობა** - რაც ადასტურებს, რომ წიგნი მიეკუთვნება იმ კოლექციას, რომელსაც გააჩნია ისტორიულ-კულტურული ობიექტის მნიშვნელოვანი თვისებები.

**რაოდენობრივი კრიტერიუმების** ნიშნებია ნაკლებად გავრცელებულობა (მცირე ტირაჟი, ლიმიტირებული წვდომა) და წიგნის იშვიათობა, რაც განისაზღვრება დაცული ეგზემპლარების შედარებით მცირე რაოდენობით.

P.S. ჩვენი საუბარი იშვიათი წიგნების შესახებ ვაგრძელებთ. გთხოვთ, რედაქციაში გამოგზავნოთ მოსაზრებები და შეკითხვები თქვენთვის საჭირო საკითხებზე.

# ქართული სტამბა

## თოვლიანი წიგნების ისტორია ბათუმში

ნიხნა აციაშვილი

ყო და არა იყო რა, ერთ პატარა ზღვისპირა ქალაქში ერთი პატარა ოჯახი ცხოვრობდა. ასე დაიწყო მარის და ირაკლის ისტორია, ზღაპარი რომ ყოფილიყო.

მათი ისტორია ცოტათი მართლაც ჰგავს ზღაპარს, ისინი ხომ თავიანთ ოცნებებს მიჰყვნენ და, როგორც ყველას, ვინც ოცნებას მიჰყვება, გაუმართლდათ კიდევ. იმიტომ, რომ ერთ დღესაც გადაწყვიტეს და თბილისიდან ბათუმში გადავიდნენ, წიგნების მაღაზია გახსნეს, უამრავი წიგნი ჩამოიტანეს და მუშაობას შეუდგნენ.

### „წიგნები ბათუმში“ - ასე დაიწყო ყველაფერი

ბათუმის ერთ-ერთ პატარა და მყუდრო ქუჩაზე ჩავლისას ერთ კედელზე აუცილებლად შეამჩნევთ მიხატულ კატა ბეჭემოტსა და ვოლანდს, მაკმერფის „ბუგულის ბუდიდან“, ქალს ძაღლით, უთავო მხედარს, ალექსს „მექანიკური ფორთოხილიდან“ და კიდევ რამდენიმე წიგნის გმირს. ეს მაღაზია „წიგნები ბათუმში“-ის უკვე ცნობილი შესასვლელია, ზამთარ-ზაფხულს რომ სავსეა დიდი და პატარა მკითხველებით.

„წიგნები ბათუმში“ ოჯახური ბიზნესია, რომელიც მარი კორინთელმა და ირაკლი

ბაკურიძემ დაოჯახების შემდეგ დაიწვეს. „აღმოვაჩინეთ, რომ წიგნების მაღაზიის გახსნა ბავშვობიდან გვსურდა. სულ ამაზე ვსაუბრობდით, უფრო ვოცნებობდით, იმიტომ, რომ სამსახურების დატოვება, ყველაფრის ნოლიდან დაწყება ადვილი არაა“, იხსენებს მარი. მერე კი, უცებ, რატომაც არა?! რატომ არ შეიძლება გარისკო, სამსახური და ე.წ. „აწყობილი ცხოვრება“ მიატოვო და რაც გინდა, ის აკეთო?

იმის გამო, რომ თბილისში წიგნის ბაზარი მაღაზიებით გაჯერებული იყო, საქმის წამოწყება ბათუმში გადაწყვიტეს. სახელწოდებაზეც ბევრი არ უფიქრიათ - „წიგნები ბათუმში“ მოკლედ და გასაგებად. დიდი შრომის შედეგად ბათუმლებისთვის, და არა მხოლოდ ბათუმლებისთვის, საყვარელ ადგილებს „წიგნები ბათუმში“ წიგნის მაღაზიაც შეემატა. მაღაზიისა და უკვე გამომცემლობის ლოგოც ზუსტად ასახავს განწყობას - ტალღებთან მოთამაშე დელფინი წიგნით - თავისუფლების, სიცოცხლის, სილადის სიმბოლო.

### ტალღებთან მოთამაშე დელფინი წიგნით

მაღაზიას ორ წელიწადში გამომცემლობა დაემატა. ამ ორი წლის მანძილზე მარი და ირაკლი თვითონ აკვირდებოდნენ მკითხველს და თარგმანებს, მოთხოვნებს სწავლობდნენ და იმახსოვრებდნენ. ამ დაკვირვებამ რამდენიმე აღმოჩენასთან მიიყვანა: პირველ რიგში ის, რომ მკითხველებს ძალიან აკლიათ სამეცნიერო ფანტასტიკა და მისი მონათესავე ჟანრები, მოზარდთათვის განკუთვნილი საკითხავი, საყმაწვილო განყოფილება. „ჩვენ თვითონ, როგორც მკითხველებს, ბევრი რამ გვაკლდა და თავიდან სწორედ ამ პირადი დანაკლისის შეგრძნებით დავიწყეთ საგამომცემლო საქმიან-



ნობა, რომელიც ახლა უკვე საკმაოდ გაფართოვდა და ვცდილობთ, ყველა გემოვნების მკითხველი დავაკმაყოფილოთ“, აღნიშნავს მარი.

2015 წელი სავსე იყო წიგნის ფესტივალებით და ლიტერატურული კონკურსებით. „წიგნები ბათუმში“-ს მიერ გამოცემულმა სალომე ბენიძის „ქალაქი წყალზე“-მ წინანდლის პრემიაც დაიმსახურა.

ამ ორი წლის განმავლობაში ჯერ როგორც მაღაზიამ, შემდეგ კი, უკვე გამომცემლობამ, მთელი საკონტაქტო ქსელი ჩამოაყალიბა: უცხოელი აგენტები, ახალი ავტორები, მთარგმნელები, ქართველი მწერლები - გამომცემლობაში აქტიურად მუშაობენ ახალი ავტორებისა თუ ტექსტების აღმოჩენაზე, თარგმნაზე, უცხოელ აგენტებთან თანაშრომლობაზე, უცნობი ქართველი მწერლების აღმოჩენაზე და გამოცემაზე...

„წიგნების გამოცემას თავიდან ორნი ვწყვეტდით,“ იხსენებს მარი. „ახლა კი შესანიშნავი გუნდი შევიკრიბეთ და ყველა ერთად ერთმანეთს ჩვენს მოსაზრებებს ვუზიარებთ, შემდეგ მცირე კვლევას ვატარებთ და ასე, ერთობლივად ვწყვეტთ გამოცემას. ძალიან ჭკვიანი და სანდო გუნდი გვყავს, ყველა ზუსტად ხვდება, რა სურს მკითხველს“, ამბობს ის.

### თოვლიანი წიგნების ამბავი

საახალწლოდ ბათუმში ზღვისპირა ქალაქისთვის უჩვეულო დიდი თოვლი მოვიდა. მაღაზია ათსართულიანი, სახურავდაქანებული კორპუსის ქვეშ მდებარეობს. დამით სახურავიდან მოწყვეტილმა გაყინული თოვლის მასამ საწყოები ქვეშ მოიყოლა. უამრავი წიგნი იმდენად დაზიანდა, რომ გადასაყრელი გახდა, თუმცა რაღაც ნაწილი გადარჩა. თითქოს ეს არ კმაროდა, მეორე დღეს თოვლის მასის გამო წინა ფასადი ჩაინგრა და შუშის ვიტრინები მთლიანად დააზიანა. ამის შესახებ ირაკლიმ და მარიმ ფეისბუქზე დაწერეს. მერე კი საოცრება დატრიალდა: თითქოს მთელმა ქვეყანამ გადაწყვიტა მათი დახმარება. სველი წიგნები მთლიანად შეიძინეს, გაიხსნა ანგარიშები, სადაც გულშემატკივარმა მკითხველებმა საყვარელი გამომცემლობის გადასარჩენად თანხები ჩარიცხეს.

„ჩვენ ძალიან დიდი ზარალი მოგვადგა, მაგრამ დიდხანს განცდისა და ნერვიულობის



ბის დრო მკითხველებმა, ფაქტობრივად, არ დაგვიტოვეს. ეს იყო სასწაული დღეები, რომლებმაც ადამიანების საოცარი რწმენა ჩაგვიჩვენა. გაოგნებულები დავდიოდით და ამხელა სიკეთისგან გული ამოვარდნაზე გვექონდა. როცა ასეთი მკითხველი გყავს, ბუნებრივია, ოპტიმისტურად განეწყობი, სხვა რამის უფლება არც გაქვს. გავოცდით, რა მნიშვნელოვანი ყოფილა სრულიად უცხო ადამიანებისთვის ჩვენი საქმიანობა. ამან გაასმაგებელი პასუხისმგებლობაც დაგვაკისრა. ნეტავ შეგვეძლოს, ყველას სათითაოდ მადლობა გადავუხადოთ“, იხსენებს იმ დღეებს მარი კორინთელი.

მადლობის გადახდას სხვადასხვა სასარგებლო პროექტებით გეგმავენ. მარი ექსკლუზიურად „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მკითხველისთვის მეუბნება, რომ უახლოეს მომავალში გამომცემლობის თბილისის ოფისში პატარა სამკითხველო ოთახი გაიხსნება, ბიბლიოთეკის მსგავსი, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლება კომფორტულ გარემოში გამომცემლობის ნებისმიერი წიგნი სრულიად უფასოდ იკითხოს. ამის საშუალება ბათუმელ მკითხველს თავიდანვე ჰქონდა ბათუმში. წინ კი მომავალი წიგნის ფესტივალები და ლიტერატურული კონკურსებია.

## საბიბლიოთეკო მეთოდოლოგია

## კომენტარები ბიბლიოთეკარის პროფესიულ სტანდარტზე

ბუჩამ თაყნიაშვილი

2015 წელს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაამტკიცა ბიბლიოთეკარის პროფესიული სტანდარტი. დოკუმენტების შედგენაში მონაწილეობდნენ საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტები, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კვალიფიციური თანამშრომლები. სტანდარტი მომზადდა კვალიფიკაციის ევროპული ჩარჩოს მოდელით; სტანდარტის ტექსტი გამოქვეყნდა ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“ (№4 – 2015).

პროფესიულ სტანდარტში თანმიმდევრობითაა ჩამოყალიბებული ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სამუშაო პროცესები, დაწყებული ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობიდან - დამთავრებული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობით, ანუ მკითხველთა და ინფორმაციის მომხმარებელთა



საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული მომსახურებით. ყველა სამუშაო პროცესი ასახავს წიგნის გზას ბიბლიოთეკაში - დაკომპლექტებიდან მისი ხელმისაწვდომობის პროცესებამდე. დოკუმენტებში ძირითადი სამუშაო პროცესები სქემის სახით წარმოდგენილია შვიდ განყოფილებაში. თითოეულ განყოფილებაში ასევე ჩარჩოების სახით გაწერილია ბიბლიოთეკარის პროფესი-

ული მოვალეობები და ამოცანები, რომელთა ცოდნა აუცილებელია ცალკეული პროცესების შესრულებისათვის. ამ განყოფილებათა ქვეკუთხედებში მითითებულია პროფესიული ცოდნისა და პროფესიული უნარების მინიმუმის შესახებ, რომელთა ცოდნა აუცილებელია ნებისმიერი რანგისა და სტატუსის ბიბლიოთეკარისთვის.

პირველი ძირითადი განყოფილება ეძღვნება საბიბლიოთეკო სივრცის მოწყობას, აქ უნდა განისაზღვროს ბიბლიოთეკების კონკრეტული სამუშაო უბნის, განყოფილებებისა და სექტორების სპეციფიკა, მათთვის აუცილებელი ფართობის გათვალისწინებით. ამ ნაწილში აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული ბიბლიოთეკის სტატუსი, პროფილი, მოსალოდნელი მომსახურების რაოდენობითი მაჩვენებლები. საბიბლიოთეკო სივრცის მოწყობაში სტანდარტით გათვალისწინებულია ფონდების ორგანიზების, დაცვის, ხელმისაწვდომობის, აგრეთვე საბიბლიოთეკო პერსონალისათვის საჭირო პირობები. ყველა ეს წინაპირობა გათვალისწინებული უნდა იქნეს ბიბლიოთეკის სივრცის დაგეგმარების პროცესში. სტანდარტის ასეთ მოთხოვნებს ჩვენი ქვეყნის ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ნაკლებად ან სრულებით ვერ აკმაყოფილებს. ის შენობებიც კი, რომლებიც აშენდა სპეციალურად ბიბლიოთეკებისთვის (მათი რაოდენობა ძალიან მცირეა), თანამედროვე ეტაპზე მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

საბიბლიოთეკო სივრცისათვის აუცილებელი პროცესების ჩამოყალიბების შემდეგ სტანდარტში მოკლედ და ლაკონურადაა ის საკითხები გაწერილი, რომლებიც აუცილებელია ბიბლიოთეკის დაკომპლექტებისთვის. ამ ნაწილში სტანდარტში ყურადღება გამახვილებულია ბიბლიოთეკების მიმდინარე დაკომპლექტების, ფონდების მართვისა და დაცვის საკითხებზე, სადაც ბიბლიოთეკარს ასევე მოეთხოვება პროფესიული კომპეტენცია და უნარები. ეს

პროცესები ორგანულად უკავშირდება წიგნის გზას ბიბლიოთეკაში. დაკომპლექტების ეტაპზე იგულისხმება წიგნების აღრიცხვა სტანდარტით დადგენილი ფორმებით, მათი ტექნიკური და მეცნიერული დამუშავება. ბიბლიოთეკების მუშაობა ამ უბანზე ზოგჯერ ხასიათდება ნაკლოვანებებით; ერთი ნაწილი ბიბლიოთეკებისა, განსაკუთრებით საჯარო სკოლებში, ნაკლებად, ან სრულფასობით არ აწარმოებს ჯამური აღრიცხვის წიგნს. როგორც ცნობილია, აღრიცხვის ეს სტანდარტული ფორმა გვაწვდის ცნობებს ფონდების მოძრაობის შესახებ - შემოსვლა, განთესვა (გარიცხვა) და საბოლოო შენაჯამი. ამ ფორმებს წესისამებრ აწარმოებენ საჯარო ბიბლიოთეკები. ეს ფორმა გვიჩვენებს საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდების ზრდის დინამიკას წლების მიხედვით. ამ ფორმასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ იგი, როგორც აღრიცხვის ფორმა, თანამედროვე ეტაპზე საჭიროებს დახვეწას, გამარტივებას. ეს ფორმა საბიბლიოთეკო პრაქტიკაში დაინერგა 1930-იანი წლებიდან. დღეისათვის იგი გარკვეულ კორექტურას საჭიროებს. ვფიქრობთ, დღეს ნაკლებად აინ-



ტერესებთ თვითონ ბიბლიოთეკებსა და მათ დამფუძნებლებსაც, როგორ არის საბიბლიოთეკო ფონდების დარგობრივი შემადგენლობა წარმოდგენილი. ეს ნაწილი ცვლილებას საჭიროებს, რაზედაც ყურადღება უნდა გაამახვილოს სამეცნიერო-მეთოდურმა ცენტრებმა.

სტანდარტში ყურადღება ექცევა ფონდების შინაარსის გახსნის პროცესებს. ამ თვალსაზრისითაც პრაქტიკაში შეიმჩნევა ნაკლოვანებები. დასახვეწია თვით საკლასიფიკაციო პროცესიც. ბიბლიოთეკების ერთი ნაწილი, განსაკუთრებით საჯარო სკოლებში, იყენებენ 1998 წელს გამოცემული საკლასიფიკაციო ცხრილებს. აღნიშნული ცხრი-

ლებით საჯარო და სასკოლო ბიბლიოთეკების ფონდები გადაყვანილ იქნა ე.წ. ბბკ-ს სისტემიდან უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის სისტემაზე გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. ამდენად, აქ დასახელებული საკლასიფიკაციო ცხრილები ნაკლებად გამოიყენება, მასში მთლიანად შეცვლილია მე-8 განყოფილება. საჯარო ბიბლიოთეკები, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტების ერთი ნაწილის ბიბლიოთეკები თანამედროვე ეტაპზე გამოიყენებენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ 2009 წელს გამოცემულ „უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის“ ცხრილებს. ცხრილების ბეჭდური გამოცემა გავრცელდა საჯარო ბიბლიოთეკებში. არსებობს მისი ელექტრონული ვერსია მისამართზე [www.gela.org.ge](http://www.gela.org.ge). აქ დასახელებული უაკ-ის სახელმძღვანელო წარმოადგენს ფონდების სისტემატიზაციის, თაროებზე განლაგებისა და სისტემატური კატალოგის აგების საფუძველს. სტანდარტის ამ ნაწილში ცალკეა გამოყოფილი მოძველებული გამოცემების ჩამოწერის (გარიცხვის) საკითხი. ამ მიმართულებით არსებითი ნაკლი იმაში გამოიხატება, რომ ბიბლიოთეკების ერთი ნაწილი, განსაკუთრებით საჯარო სკოლებში, მოკლებულია ამ საშუალებას. ყველა ტიპის ბიბლიოთეკებში შექმნილია საბიბლიოთეკო დოკუმენტების შემოწმების, ჩამოწერისა და შეფასების კომისიები სხვადასხვა საფუძველებით ჩამოსაწერი საბიბლიოთეკო დოკუმენტები აქტების დამტკიცების შემდეგ უნდა გადაეცეს მაკულატურას. ამ პროცესების იურიდიულ საფუძველს შეადგენს კანონქვემდებარე-აქტები, ინსტრუქციები. ბიბლიოთეკარებს ვურჩევთ, იხელმძღვანელონ „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო დოკუმენტების აღრიცხვის ინსტრუქციით“. ტექსტი იხილეთ ბიბლიოთეკის ვებ გვერდზე მისამართით [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge). საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდების ერთი ნაწილი მნიშვნელოვნად დაზარალდა უკანასკნელი 15-20 წლის მანძილზე საქართველოში განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების გამო. ფონდების ერთი ნაწილი განადგურდა სამოქალაქო დაპირისპირების რეგიონებში, თუმცა არც მშვიდობიან მხარეებში იქნა დაცული მათი ძირითადი ბირთვი. ფონდების დაზიანების, მათთვის დაცვის პრინციპების შექმნას მეტწილად ხელი შეუწყო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სა-

მინისტროს 2007 წლის სპეციალურმა წერილმა, რომლის საფუძველზე დახურული სასოფლო ბიბლიოთეკების ფონდები დროებითი სარგებლობისთვის გადაეცათ საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებს. მათი დიდი ნაწილი ამჟამად შეკრული სახით აწევია საჯარო სკოლებში, მხოლოდ მცირე ნაწილი დაუბრუნდა აღდგენილ სასოფლო ბიბლიოთეკებს. სტანდარტში მითითებული ფონდების დაცვის პირობები და კრიტერიუმები შეიძლება მოვთხოვოთ უნივერსალური ტიპის სამეცნიერო და ეროვნულ ბიბლიოთეკებს, სადაც შედარებით უკეთესი პირობებია ფონდების დაცვის ქიმიური და ბიოლოგიური რეჟიმის შესანარჩუნებლად. დიდი ფონდების მფლობელ ბიბლიოთეკაში გარკვეული თანხა იხარჯება დაზიანებული საბიბლიოთეკო დოკუმენტების რესტავრაციისთვის. ფონდების დაცვის მდგომარეობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს მკითხველთა ერთი ნაწილის ზერელე, უხეში დამოკიდებულება საბიბლიოთეკო წიგნისადმი. აქ შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიბლიოთეკარს შეიძლება გააჩნდეს საკმარისი ცოდნა, გამოცდილება, უნარი საბიბლიოთეკო დოკუმენტების დაცვის თვალსაზრისით, მაგრამ ეს არ არის საკმარისი ამ უბანზე წარმატების მიღწევისთვის. ბიბლიოთეკარებს მართებთ გააძლიერონ კონტროლი და მეთვალყურეობა ფონდების მოძრაობაზე, ყოველგვარი დანაკარგი ამ კუთხით მნიშვნელოვანი ზარალია ბიბლიოთეკებისთვის, მით უმტეს დღეს, როდესაც დაბალია ფონდის განახლების მაჩვენებლები.

ფონდების დაკომპლექტების, ორგანიზებისა და დაცვის საკითხების შემდეგ სტანდარტში ჩამოყალიბებულია საცნობარო აპარატის აგების ძირითადი პროცესები. ამ კუთხით ბიბლიოთეკების დიდ ნაწილში აკადემიურ დონეზეა ორგანიზებული კატალოგებისა და კარტოთეკების სისტემა. ის ფაქტი, რომ თანამედროვე ეტაპზე მცირე მოცულობის ბიბლიოთეკაშიც კი ფუნქს იკიდებს კომპიუტერული ტექნოლოგიები, ბიბლიოთეკარისგან მოითხოვს გონივრული გადაწყვეტილების მიღებას. ბიბლიოთეკის მენეჯერმა არ უნდა დაუშვას საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის წარმოება მხოლოდ ელექტრონული კატალოგებისა და კარტოთეკების ფორმით. აუცილებელია შენარჩუნებული იქნეს ტრადიციული ბარათული კატალოგის ორივე ფორმა - ანბანური და სისტემური. მათ გვერდით წარმოებული ელექტრონული კატალოგი, თუნდაც ამ ეტაპზე, სრულებითაც

არ აკნინებს ტრადიციული კატალოგების დანიშნულებას.

მუნიციპალიტეტების მთავარ ბიბლიოთეკებში ელექტრონულ კატალოგს მკითხველები წარმატებით იყენებენ დიდი ფონდების მფლობელ ბიბლიოთეკების საძიებო სისტემებში შედწვევისათვის. გარდა ამისა, რეგიონის მთავარი ბიბლიოთეკები სისტემურად სარგებლობენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებით. ასეთი კავშირის მეშვეობით მუნიციპალიტეტების ბიბლიოთეკები იცავენ ელექტრონული კატალოგის აგების სტანდარტის მოთხოვნებს.

პროფესიული სტანდარტის ის ნაწილი, სადაც ჩამოყალიბებულია ბიბლიოთეკარის უნარები და პროფესიული ამოცანა, განსაზღვრავს იმ სამუშაო პროცესებს, რომლებიც აუცილებელია საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის წარმართვისათვის. გარდა კატალოგების და კარტოთეკების წარმოებისა, სტანდარტების ამ ნაწილში ყურადღება ექცევა ისეთ პროფესიულ საკითხებს, როგორცაა დამუშავებულ საბიბლიოთეკო დოკუმენტზე ანოტაციების შედგენა, ისეთ საბიბლიოთეკო დოკუმენტზე, რომელიც საჭიროებს დამატებით ინფორმაციების დამუშავებას მისი შინაარსის მრავალმხრივი გახსნის მიზნით. ბიბლიოთეკების ერთი ნაწილი, ძირითადად ეროვნული, სამეცნიერო, უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო ბიბლიოთეკები მკითხველთა ინფორმირების მიზნით გამოსცემენ სხვადასხვა სახის საინფორმაციო ბუკლეტებს, გზამკვლევებს, მკითხველთა სამახსოვროებს, რითაც ეწევიან საკუთარ საბიბლიოთეკო რესურსების პოპულარიზაციას. ამავე ფორმებს გამოსცემს მუნიციპალიტეტების მთავარი ბიბლიოთეკების ერთი ნაწილიც (ქუთაისი, ზუგდიდი, თელავი, რუსთავი, წყალტუბო, სენაკი, ოზურგეთი და სხვ.)

სტანდარტის მეექვსე პარაგრაფი აყალიბებს იმ ძირითად პროფესიულ პროცესებსა და ბიბლიოთეკარის უნარ-ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია ბიბლიოთეკის მთავარი ამოცანის - მკითხველთა და ინფორმაციის მომხმარებელთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურებისთვის. როგორც ცნობილია, ყოველგვარი წინა პროცესები, დაწყებული დაკომპლექტებიდან, დამთავრებული ფონდების სისტემატიზაციით, შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც მოსამზადებელი სამუშაოები მკითხველთა მომსახურების სათანადო დონეზე წარ-

მართვისათვის. მომსახურების უბანზე წარმატების ერთ-ერთი წინაპირობათაგანია ბიბლიოთეკარის პროფესიული დონე, მისი მრავალმხრივი განათლება.

პროფესიული ჩვევების გარდა, ბიბლიოთეკარს უნდა ახასიათებდეს პუნქტუალობა, იყოს მოწესრიგებული, შეეძლოს საკუთარი შრომის მეცნიერულ დონეზე წარმართვა; ტაქტიანი და კომუნიკაბელური თვისებებით აღჭურვილი ბიბლიოთეკარი წარმატებით მუშაობს მკითხველთა ყველა სოციალურ ჯგუფთან. ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში ბიბლიოთეკარის პედაგოგიური ტაქტის შესახებ მოგვეპოვება საინტერესო გამოკვლევები და რეკომენდაციები (მ. პაპიძე, ა. ლორია, გ. მუხაშავერია, ბ. მაზანაშვილი და სხვ.), საბიბლიოთეკო მომსახურების სფერო ბევრწილად შემოქმედებითი შრომის სფეროა. თანამედროვე ეტაპზე წარმატებული ბიბლიოთეკარი კარგად უხამებს ერთი მეორეს მომსახურების ტრადიციას და თანამედროვე ტექნოლოგიებით დამუშავებულ პროცესებს. ამ პროცესებში წარმატების საფუძველთ საფუძველია წიგნობრივი ფონდისა და საცნობარო აპარატის კარგად ცოდნა, პლუს „საკუთარი მკითხველების“ საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოთხოვნების გათვალისწინება. რამდენადაც წიგნიერია ბიბლიოთეკარი, მით უფრო წარმატებულია მისი მუშაობა მკითხველებთან. ეს, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ბავშვ მკითხველებთან მუშაობის პროცესში. ამ თვალსაზრისით მდიდარი გამოცდილებაა დაგროვილი და მისაბაძი ტრადიციებია დამკვიდრებული საბავშვო ბიბლიოთეკებსა და საბავშვო განყოფილებებში. მათი გამოცდილების შესახებ არაერთი წერილია გამოქვეყნებული ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“. თანამედროვე ეტაპზე საჯარო ბიბლიოთეკებში ჩამოყალიბდა საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებები. ზოგან ერთი ბიბლიოთეკარი ხელმძღვანელობს მკითხველთა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან ურთიერთობის პროცესს.

პროფესიულ სტანდარტში ჩამოყალიბებული ძირითადი საბიბლიოთეკო პროცესები ლოგიკური თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი. ეს პროცესები ორგანულადაა შეხამებული წიგნის გზასთან - საბიბლიოთეკო დოკუმენტების აღრიცხვიდან თაროებზე განლაგებამდე. სტანდარტის თითოეული დანაყოფი ასახავს ამ პროცესებთან დაკავშირებულ პროფესიულ მოვალეობებსა და ამოცანებს, პროფესიულ ჩვევებს, რაც მოეთხოვება

თანამედროვე ბიბლიოთეკარს.

რამდენად პასუხობს საბიბლიოთეკო დარგში მომუშავე ბიბლიოთეკის პერსონალი სტანდარტის მოთხოვნებს ეს ცალკე გამოსაკვლევი და შესასწავლი საკითხია. აქ ნიშანდობლივია ერთი გარემოება - თანამედროვე ეტაპზე საბიბლიოთეკო მენეჯმენტში მიმდინარეობს არსებითი ხასიათის ცვლილებები. ბიბლიოთეკაში ხელმძღვანელებად მოდიან უმაღლესი განათლების მქონე პირები, რომელთა დიდმა ნაწილმა არსებითად გაითავისა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობისა და საბიბლიოთეკო პროცესების სპეციფიკის ნიშნები. ასეთი ხელმძღვანელები წარმატებას აღწევენ საზოგადოებასა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში, რაც დადებითად აისახება ბიბლიოთეკის ავტორიტეტზე. იმ მიზნით, რომ ყველა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკაში წარმატებით დაინერგოს პროფესიული სტანდარტი, აუცილებელია ბიბლიოთეკართა პროფესიული ცოდნის გადაიარაღება, გადახალისება. ფაქტია, რომ ბიბლიოთეკართა დიდი ნაწილის პროფესიული ცოდნა მოძველდა, ისინი ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად აიმადლონ კვალიფიკაცია. ბიბლიოთეკართა პროფესიული მომზადების სურვილი გამოთქვა ზოგიერთმა პროფესიულმა სასწავლებელმა. უმაღლესი განათლების ბიბლიოთეკართა მომზადება იგეგმება თბილისსა და ქუთაისში. სტანდარტების შესაბამისად შემუშავდა სასწავლო პროგრამები. აქ ორი საკითხია პრაქტიკულად გადასაწყვეტი - იქნებიან თუ არა მსურველები, დაეუფლონ ამ სპეციალობას ისეთ ვითარებაში, როდესაც ბიბლიოთეკებში მომუშავე პერსონალის სოციალურ-ეკონომიკური დონე ერთობ დაბალია, ე.ი. სოციალური გარემოებები ბევრად განაპირობებს ამ სპეციალობის დაუფლების მსურველთა წადილსა და მონღობებს. მეორე მხრივ, თუ სპეციალობები მაინც გაიხსნება, ორი საკითხია აქაც გადასაწყვეტი - ვინ უნდა ასწავლოს და რით, რომელი სახელმძღვანელოთი ასწავლოს. ამ პრობლემათა მოგვარება ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებისგან მოითხოვს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალისხმევას. ფაქტი ერთია, თანამედროვე საბიბლიოთეკო პრაქტიკა მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში ისეთი პარამეტრებით წავიდა წინ, ისეთი ორგანული სახეცვლილება განიცადა, რომ ჩვენი ქვეყნის საბიბლიოთეკო პოლიტიკა დაგვიანებით, მაგრამ უცილობლად მაინც საჭიროებს ტრანსფორმაციას.

## ბიბლიოთეკართა სემინარული მუშაობის ტიპური თემატიკა

- საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდების აღრიცხვა; ინდივიდუალური, ჯამური - ფონდის მოძრაობის შენაჯამი. საბიბლიოთეკო ფონდების განახლების მდგომარეობა.
- საბიბლიოთეკო ფონდების შემოწმების, შეფასებისა და მეორადი შერჩევის საკითხები. როდის ჩატარდა მთლიანი ფონდის შემოწმება, გამოვლენილი ხარვეზები.
- საბიბლიოთეკო დოკუმენტების გარიცხვის (ჩამოწვრის) მდგომარეობა. გარიცხვის აქტების გაფორმება კომისიის მიერ; ფონდების განლაგების რედაქცია, დაცვის ჰიგიენური პირობები.
- საბიბლიოთეკო დოკუმენტების აღწერა, ანბანური კატალოგის ორგანიზება, პერსონალია ანბანურ კატალოგში; კრებულების, მრავალტომიანი და სერიული გამოცემების შინაარსის გახსნა;
- საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაცია. კლასიფიკაციის გამოყენება, სისტემატიური კატალოგის ორგანიზება. საბავშვო ლიტერატურის ორგანიზება ასაკობრივი პრინციპით.
- ელექტრონული კატალოგის ორგანიზება. ძიების ფორმები და მეთოდები. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსებში ხელმისაწვდომობა და გამოყენება.
- საცნობო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობა. კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება საინფორმაციო სამსახურში. ზეპირი და წერილობითი ბიბლიოგრაფიული ცნობების გაცემა, თემატიკური უარები.
- მხარეთმცოდნეობითი მუშაობა ბიბლიოთეკებში. კარტოთეკების სისტემა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიური ლიტერატურის საძიებელი „საქართველო“, მისი გამოყენება მხარეთმცოდნეობით მუშაობაში.
- ბიბლიოთეკის მუშაობა საზოგადოებასთან. მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საბიბლიოთეკო და საინფორმაციო უზრუნველყოფა. სოციალურად დაუცველი პირების მომსახურების მდგომარეობა.
- ბიბლიოთეკის კოორდინაციული მუშაობა ადგილობრივ საგანმანათლებლო და საინფორმაციო ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან.
- ბიბლიოთეკის ურთიერთობა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან. ინფორმაციის შერჩევითი გავრცელება, მართვის საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება ხელმძღვანელი პირებისათვის.
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების მდგომარეობის ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისათვის.
- მიზნობრივი ღონისძიებების დაგეგმვა, კოორდინაციული მუშაობა საჯარო სკოლებთან. ადგილობრივი ინტელიგენციის ცნობილ პირებთან შეხვედრა. საიუბილეო თარიღების აღნიშვნა.
- მოსწავლე-ახალგაზრდობის საბიბლიოთეკო მომსახურების მდგომარეობა. კითხვაში ჩაბმა, საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის ურთიერთობა საჯარო ბიბლიოთეკებთან.
- ბიბლიოთეკარის პროფესიული კვალიფიკაცია. პროფესიული ინფორმაციით უზრუნველყოფის

- მდგომარეობა. საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი ძირითადი სტანდარტების ცოდნა.
- ბიბლიოთეკარის მუშაობა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებთან: ელ.ფოსტა, ინტერნეტით სარგებლობა, პრეს-რელიზის მომზადება, სოციალურ ქსელებში მუშაობის უნარი.
- ბიბლიოთეკაში ახლადშემოსული წყაროების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვების ჩატარება მკითხველთა ცალკეულ ჯგუფებთან. გამოყენებისა და თვალსაჩინოების სხვა ფორმების გამოყენება ახლადშემოსული მასალების პოპულარიზაციის მიზნით.
- ბიბლიოთეკის მუშაობა პერიოდულ გამოცემებზე. მათი ანალიტიკური დამუშავება. კარტოთეკების ორგანიზება.
- ბიბლიოთეკის პოპულარიზაციის ღონისძიებები. არატრადიციული ღონისძიებების მოწყობა: ცოცხალი ბიბლიოთეკა, მოგზაურობა წიგნებით, ჩემი საყვარელი ავტორი, მკითხველის ფორმულარის დაცვა, ჩემი საოჯახო ბიბლიოთეკა და სხვა.
- ბიბლიოთეკარის აქტიური, მოქალაქეობრივი და პროფესიული თვისებები, მასობრივ ღონისძიებებზე გამოსვლის უნარი. ბიბლიოთეკარის პროფესიული ეთიკის კოდექსი. ბიბლიოთეკარის ურთიერთობა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან, პროფესიულ ჟურნალთან.

### მეთოდურ-ინსტრუქციული შინაარსის ლიტერატურა:

- საბიბლიოთეკო დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა. - თბ., 2010. - 32გვ.
- საბიბლიოთეკო დოკუმენტების აღრიცხვა, დამუშავება, სისტემატიზაცია. - თბ. 2011. - 70გვ.
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო დოკუმენტების აღრიცხვის ინსტრუქცია - 2013 - თბ. ვებ.გვერდზე [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
- ელექტრონული რესურსების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა. - თბ., 2012. - 36გვ.
- საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაცია /შემდგ. გ. თაყნიაშვილი. - თბ. 2010 - 36გვ.
- მხარეთმცოდნეობითი მუშაობის ორგანიზაცია საჯარო ბიბლიოთეკებში. - თბ., 2012. - 24გვ.
- ბიბლიოთეკის მუშაობის ორგანიზაცია საჯარო სკოლებში. - თბ., 2010. - 56 გვ.
- IFLA/იუნესკოს სახელმძღვანელო მითითებანი საჯარო ბიბლიოთეკებში მომსახურების განვითარების შესახებ. - თბ., 2012. - 144გვ.
- სიტყვათშემოკლებანი ქართულ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებში. - თბ., 2012. - 32გვ.
- ხარისხის მართვა უნივერსალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში. - თბ., 2008. - 34 გვ.
- ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი „საქართველო“/საქ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2015. - 392 გვ.
- ბიბლიოთეკარის პროფესიული სტანდარტი/ საქართველოს ბიბლიოთეკა - 2015. - №4

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტების განყოფილება.

# საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი პროექტი: საჯარო ბიბლიოთეკა – სკოლა

ბიოჩიბი ხიდაძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ინტერნეტგაზეთი [www.mastsavlebeli.ge](http://www.mastsavlebeli.ge)  
29 იანვარი, 2016

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკი მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ, გიორგი კილაძემ 2016 წლის 29 იანვარს ინტერნეტ-გაზეთში [www.mastsavlebeli.ge](http://www.mastsavlebeli.ge) გამოაქვეყნა სტატია „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი პროექტი: საჯარო ბიბლიოთეკა - სკოლა“, სტატიის დანიშნულებიდან და შინაარსიდან გამომდინარე, გაზეთის რედაქციასთან შეთანხმებით მას ვაქვეყნებთ ჩვენს ჟურნალში. ასეთი პუბლიკაცია იმ გარემოებითაც აიხსნება, რომ ინტერნეტგაზეთში გამოქვეყნებული მასალა მიუწვდომელია საჯარო და სასკოლო ბიბლიოთეკების დიდი ნაწილისათვის.

## რედაქცია

ბიბლიოთეკებისა და სკოლების ურთიერთ-მიმართების კვლევას ამერიკის შეერთებულ შტატებში საფუძველი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში ჩაეყარა. 1976 წელს უილიამ ფლეტჩერმა გამოაქვეყნა ანგარიში სახელწოდებით „საჯარო ბიბლიოთეკები ამერიკის შეერთებულ შტატებში“. ანგარიშში ცალკე თავი დაეთმო საჯარო ბიბლიოთეკებისა და მოზარდების ურთიერთმიმართების საკითხს. უ. ფლეტჩერის აზრით, საჯარო ბიბლიოთეკები განათლებაში დამხმარე ზმნების ფუნქციებს ასრულებენ.

1897 წელს ეროვნულ სასწავლო ასოციაციისა და ამერიკის ბიბლიოთეკების ასოციაციის მიერ ერთობლივად შექმნილი სპეციალური კომიტეტი შეისწავლიდა საჯარო ბიბლიოთეკებსა და სკოლებს შორის არსებულ ურთიერთკავშირს. მან შემოუშავა სამეცნიერო და პრაქტიკული რეკომენდაციები.

საჯარო ბიბლიოთეკებისა და სკოლების ურთიერთმიმართების საკითხის შესწავლა არც მეოცე საუკუნეში შეწყვეტილა. 1941 წელს ამავე ორგანიზაციების ერთობლივი კომისიის სააგენტოს ანგარიშში მკაფიოდ გაცხადდა სკოლის სასწავლო გეგმების სრულყოფილად რეალიზებაში საჯარო ბიბლიოთეკების ჩართვის აუცილებლობა და მაინც საჯარო ბიბლიოთეკებისა და სკოლების ურთიერთმიმართების საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბუშისა და კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში.

საჯარო ბიბლიოთეკებისა და სკოლების ურთიერთმიმართების საკითხს ასევე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იაპონიაში, კანადაში, დასავლეთ ევროპის, დსთ-ის ქვეყნებსა და სხვა მეტ-ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.

საჯარო ბიბლიოთეკებისა და სკოლების ურთიერთმიმართების საკითხის ზერელე გაცნობაც კი აუცილებლად ხდის ორი დამოუკიდებელი სისტემა „ბიბლიოთეკა“, „სკოლა“ წარმოვადგინოთ

ერთ მთლიან, განუყოფელ სისტემად „ბიბლიოთეკა-სკოლა“ (ვუწოდოთ სპებს სისტემა).

დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ აღნიშნულმა რეფორმამ უზრუნველყო საბიბლიოთეკო მომსახურების დონის ამაღლება, მოსწავლეების საბიბლიოთეკო რესურსებზე უკეთესი წვდომა და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა. დოკუმენ-



ტის ავტორები თვლიან, რომ სკოლისა და საჯარო ბიბლიოთეკის ურთიერთთანამშრომლობა შეიძლება იყოს ერთადერთი გამოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს მოზარდების საჭიროებების განხორციელებას, მათი უკეთესი მომსახურების გაუმჯობესებას, განთლების, დასვენების, პირადი ინტერესებისა და კარიერული ზრდის საკითხების მოგვარებას. რეფორმების საფუძველზე ჩამოყალიბდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი:

1. პარტნიორული ურთიერთობების გაუმჯობესება;
2. ისტორიული პერსპექტივები;
3. როლები და მიზნები თითოეული ბიბლიოთეკისათვის;
4. ერთობლივი ძალისხმევა და ურთიერთობები;
5. საჯარო სკოლის ბიბლიოთეკების შესაძლებლობანი;
6. საბიბლიოთეკო მომსახურების მაღალი დონე;
7. ინფორმაციის უკეთესი ხელმისაწვდომობა;
8. საგანმანათლებლო რეფორმის მომავალი გაუმჯობესებისათვის წარსულის სიღრმისეული გამოკვლევა და მომავლის რეკომენდაციები.

\* \* \*

„საჯარო ბიბლიოთეკას“ აქვს სამი სახის რესურსი: ბეჭდური, ელექტრონული, ადამიანური, რომელთა დიდი ნაწილი შესაძლებელია მიეწოდოს ქვესისტემა „სკოლას“. ქვესისტემაში „სკოლა“ წარმოიშობა ახალი საჭიროებები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან ქვესისტემა „სკოლის“ მიზნებსა და ამოცანებს. სისტემის ამგვარი სქემატური წარმოდგენა „ადიარებს“, რომ სისტემაში „საჯარო ბიბლიოთეკა – სკოლა“ ქვესისტემა „სკოლა“ არის დომინანტური ქვესისტემა, სწორედ „სკოლა“ განსაზღვრავს, როგორი უნდა იყოს:

- 1) ქვესისტემა „საჯარო ბიბლიოთეკა“ და
- 2) როგორ იფუნქციონირებს სისტემა „საჯარო ბიბლიოთეკა – სკოლა“.

იბადება შეკითხვა, რა რესურსს ფლობს და რა საშუალებებით შეუძლია ამ რესურსის მიწოდება საჯარო ბიბლიოთეკებს სკოლებისათვის.

დავიწყოთ რესურსებით. საჯარო ბიბლიოთეკები ძირითადად სამი სახის რესურსს ფლობს:

- 1) ბეჭდური;
- 2) ელექტრონული;
- 3) ადამიანური.

და მიწოდების ორი საშუალება: პირდაპირი და შუამავლით (ეროვნულ ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტი, ბშა).

სხვა ვითარება გვაქვს ელექტრონული რესურსების მიწოდებისას. ელრესურსი – მასწავლებელი, მოსწავლე კავშირი – ხორციელდება სკოლაში ინტერნეტის არსებობისას. აქვე შევნიშნავთ: სკოლა ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო ინსტიტუტის სინონიმია და არა შენობა-ნაგებობის.

რესურსები – მიწოდების კავშირზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით საჯარო ბიბლიოთეკის ელპროდუქტის გაკვეთილზე გამოყენების შესაძლებლობებს. ბუნებრივია, კლასებში ელრესურსების გამოყენებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ინტერნეტის არსებობას ენიჭება, თუმცა ასევე შესაძლებელია ინტრანეტული ქსელის აწყობა საბიბლიოთეკო ელრესურსების პირდაპირი მიწოდების გზით.

ხემაღლნიშნული სამი რესურსიდან ქვესისტემა

„სკოლა“, ჩემი დაკვირვებით, ქვესისტემა „საჯარო ბიბლიოთეკის“ რესურსებიდან მეტ-ნაკლებად სრულად მხოლოდ ადამიანურ (ინტელექტუალურ) რესურსს იყენებს. (წინასწარ შევნიშნავ: სტატი-აში მხოლოდ იმ ელრესურსებზე (კოლექცია „მამარდაშვილი“, „სასკოლო ლექსიკონთა ერთიანი ბაზა“) გავამახვილებ ყურადღებას, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ჩემი მონაწილეობით შეიქმნა. დარწმუნებული ვარ, დაინტერესებული მკითხველი სხვა რესურსებს ადვილად იპოვის და შესაბამისად გამოიყენებს).

სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებს თუ არ ჩავთვლით, პირველ ორ რესურსს „სკოლა“ ფაქტობრივად არ იყენებდა. სემინარების ჩატარებისა და მეთოდური დახმარების მთელი სიმძიმე, კი ფაქტობრივად ჩემი კოლეგის გურამ თაყნიაშვილის ენთუზიაზმსა (თავს ვხრი სემინარებში მონაწილე ჩემი ყველა კოლეგის წინაშე, მათი პროფესიონალიზმისა და დაუხარელი შრომის გამო) და სკოლის ბიბლიოთეკართა მხრებზე გადადიოდა. გამოკითხვის შედეგებმა ცხადყო, რომ მოსწავლეები ფაქტობრივად არ იცნობდნენ ზემოხსენებულ კოლექციებსა და „საქართველოს პარლამენტის ლექსიკონთა ერთიანი ბაზას“. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რამდენიმე სკოლისა (თბილისის 183-ე საჯარო სკოლა, თბილისის 92-ე საჯარო სკოლა, ქალაქ რუსთავის მე-6 საჯარო სკოლა, ქალაქ რუსთავის მე-12 საჯარო სკოლა, სკოლა „ლოგოსი“) და „სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“, თბილისის პარტნიორ ორგანიზაცია „ფონდი თბილისის მოზარდთა სახლთან“ აქტიურმა თანამშრომლობამ აღნიშნულ რესურსებს, ფაქტობრივად, სკოლისკენ გზა გაუხსნა.

„საჯარო ბიბლიოთეკა“ – „სკოლის“ ოპტიმალურ ფუნქციონირებაში, ფვიქრობ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება საჯარო ბიბლიოთეკისა



და სოციალური ქსელებში მოქმედი საბიბლიოთეკო, საგანმანათლებლო ფორუმები. სასიამოვნოა ამ მიმართულებით „საქართველოს მასწავლებლები“, „მასწავლებელი“, „პედაგოგთა კლუბი“, „ფორიად კრეატიული პედაგოგები“, „სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი“, „მშობელთა კლუბი“ და კიდევ რამდენიმე მსგავს ფორუმთან თანამშრომლობა. ქ. რუსთავის მე-12 სკოლაში ჩატარებული ღონისძიება სწორედ „პედაგოგთა კლუბისა“ და მისი ადმინისტრატორის ქალბატონ ფიქრია სილა-

მონიძის აქტიურობით განხორციელდა.

შუამავალ რეოლზე საუბრისას აუცილებელია კიდევ ერთი სქემის განხილვა. საქმე ეხება საჯარო ბიბლიოთეკის, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია სკოლის ბიბლიოთეკისა და მასწავლებელი-მოსწავლის კავშირს. ვფიქრობ, ამ სქემამ უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოახდინოს სისტემის „საჯარო ბიბლიოთეკა – სკოლა“ ოპტიმალურ ფუნქციონირებაზე.

სისტემის – „საჯარო ბიბლიოთეკა – სკოლა“ – ოპტიმიზაციისთვის ასევე აუცილებელია იმ საჭიროებათა გამოკვლევა, რომელიც, ამჟამად პრიორიტეტულია „სკოლისთვის“. ამ მიზნით ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ დღეს მოსწავლე-მასწავლებლებს შორის განსაკუთრებულად საინტერესოა „სასკოლო ლექსიკონთა ერთიანი ბაზა“. მის „შევსებაზე“ მოთხოვნა გაცილებით დიდია, ვიდრე კოლექცია „მამარდაშვილის“ გაფართოებაზე. ამასთან, მოსწავლეებისთვის განსაკუთრებულად „მიმზიდველია“ იმ სასკოლო ლექსიკონის მიწოდება, რომელიც კონკრეტულ დროში, ამა თუ იმ ნაწარმების შესწავლისას წაადგებათ. შეიძლება ითქვას, კონკრეტული სასკოლო ლექსიკონის სასიცოცხლო ციკლი

ზუსტად ემთხვევა სკოლაში შესწავლილი ნაწარმების „სასიცოცხლო ციკლს“. (სავარაუდოდ, ასეთივე ვითარებას ექნება ადგილი სასკოლო/საბიბლიოთეკო გამოცდების მომზადებისას). „ეჰ, ახლა სულხან-საბას გავდივართ და თქვენ რუსთაველიც არ დაგისრულებიათ, იქნებ ჯერ „სიბრძნე-სიცრუისა“ გააციფროთ“, მსგავსი სინანულით ნათქვამი წინადადებები ხშირად გვესმოდა მეც და ჩემს კოლეგებს გამოკითხვის ჩატარებისას.

ქვესისტემა “საჯარო ბიბლიოთეკას“ გააჩნია კიდევ ერთი ელრესურსი. ვფიქრობთ, „სასკოლო ორენოვანი სასაუბროების“ ელექტრონული ბაზა ასევე შეუწყობს ხელს სისტემა „საჯარო ბიბლიოთეკა – სკოლის“ ფუნქციონირების ოპტიმიზაციას. სასკოლო ლექსიკონებში ამ ტიპის მსოფლიო ერთი სასაუბროა; მისი გამოყენების მოლოდინი შემქმნელებს გაცილებით მეტი გვექონდა. ზოგიერთი ჩემი კოლეგის, მეგობრის აზრით, ამის მიზეზი „სასაუბროში“ ტრანსკრიპციის არარსებობაა. ვფიქრობ, დაინტერესების შემთხვევაში ამ პრობლემის გადაწყვეტა არ იქნება ძნელი. თუმცა, არსებული შეზღუდული ადამიანური რესურსების პირობებში მომავლის ამოცანად გვესახება „ორენოვანი სასაუბროთა“ ერთიანი ბაზის შექმნა.

## ლიბერატორულ-ბიბლიოგრაფიული ძიებანი

### მცირე შენიშვნები

ბიოჩხი ბაბუნია

ამ პუბლიკაციით მკითხველს ვთავაზობთ თხუთმეტ ტომად გამოცემულ აკაკი წერეთლის თხზულებათა სრულ კრებულში ჩვენ მიერ მიკვლეულ რამდენიმე შეცდომასა და უზუსტობას.

1. XI ტომში შეტანილ დიდი მგოსნის კორექს-პონდენციას „სასიამოვნო ანბავი“ (გვ.117-122) ტომის ბოლოს დართულ „შენიშვნებში“ წყაროდ მითითებულია: „ნაბეჭდი: „დროება“, 1872 წ. 2 თებერვალი №6“ (გვ.537). უნდა იყოს: „დროება“, 1872 წ., 11 თებერვალი, №6“.

2. XII ტომის 25-27-ე გვერდებზე დაბეჭდილია აკაკის ფელეტონი „ცხელ-ცხელი ამბები“, რომლის ერთი პასაჟიც ამგვარია: „შედგა საქმე, დანიშნეს მოწმეები, საქმე მოიგო უმფროსმა და კიდევაც ჩაიბარა...“ (გვ.26). ტექსტის შინაარსის მიხედვით უნდა იყოს: „...საქმე მოიგო უმცროსმა და კიდევაც ჩაიბარა...“.

3. XII ტომში შეტანილი სულმნათი პოეტის ფელეტონი „იმე!“ ასე იწყება: „იმე! რა ყოფილა ის ვინცა ბახტაძეა, თუ გახტაძე?...“ (გვ.115). ხსენებული ტომის „შენიშვნებში“ აღნიშნული ფელეტონის დასათაურებისას, შეცდომით არის: „იმე!“

რა ყოფილა ის ვინცა ბახტაძეა...“ (გვ.412).

4. XII ტომის 123-ე გვერდზე არის აკაკის შემდეგი „თხოვნა“:

„უმდაბლესად ვსთხოვთ ყველას, ვინც კი რამე იცოდეს ან გაგონებით ან წერილობით სოლომონ ლეონიდის (მეფე ერეკლეს მდივნის) შესახებ, დაგვავალოს და ის ცნობები „დროების“ რედაქციაში გამოგვიგზავნოს...“ აღნიშნული ტომის „შენიშვნებში“ ამ „თხოვნის“ წყაროდ მითითებულია: „ნაბეჭდი: „დროება“, 1881წ., 16 ივნისი, №123“ (გვ.413), რაც არასწორია. უნდა იყოს: „დროება“, 1881წ., 17 ივნისი, №124“.

5. XII ტომის 262-ე გვერდზე ვკითხულობთ: „... მე უცხო კაცი ვარ და აქაური არა ვიცი რა, საზუთხეთოდამ გახლავართ მოსული“. პირველ-ნაბეჭდშია: „საზუთხეთოდამ გახლავართ მოსული“ (იხ: „დროება“, 1885წ., 28 აპრილი, №90).

ვიმედოვნებთ, რომ აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალ სრულ კრებულში (ოც ტომად) დიდი მგოსნის ზემოდასახელებული ნაწერების ჩართვისას წინამდებარე პუბლიკაცია თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს მათი უხარვეზოდ და უშეცდომოდ დაბეჭდვის საქმეში.

## ციფრული ბიბლიოთეკა

## ელექტრონული ბიბლიოთეკის განვითარების ტენდენციები და პროექტი - „ციფრული ფოტომატიანე“

ჩხუაძე ასათიანი

### ტერმინის განმარტება

ელექტრონული ბიბლიოთეკა (ცნობილი ასევე როგორც “ციფრული ბიბლიოთეკა”, “ციფრული საცავი”) არის სპეციალიზებული ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება ციფრულ ფორმაში არსებული რესურსებისგან. თავის მხრივ, ციფრული რესურსი შეიძლება შეიცავდეს ტექსტურ, ვიზუალურ, აუდიო და ვიდეო მასალებს, რომლებიც დაარქივებულია ელექტრონულ ფორმაში (ბეჭდური ნიმუშების, მიკროფილმებისა და სხვა ტიპის მედიისგან განსხვავებით).

ციფრული ბიბლიოთეკები, ტრადიციული ბიბლიოთეკების მსგავსად, განსხვავდებიან ერთმანეთისგან ფორმატებით, ზომებითა და შინაარსით. მათი შენახვა და ადმინისტრირება შეუძლიათ როგორც ცალკეულ პირებს, ისევე ორგანიზაციებს. ელექტრონული კონტენტი კი შეიძლება ინახებოდეს როგორც ლოკალური წვდომის სერვერებზე, ასევე დისტანციური, ონლაინ-წვდომის საშუალებ



ბით კომპიუტერულ ქსელებში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ელექტრონული ბიბლიოთეკა თავის მხრივ წარმოადგენს მძლავრ საინფორმაციო-საძიებო სისტემას.

ტერმინი - „სპეციალიზებული ბიბლიოთეკა“, ელექტრონული რესურსების მიმართ პირველად გამოყენებულ იქნა 1994 წელს, როდესაც გამოცხადდა NSF/DARPA/NASA ციფრული ბიბლიოთეკების ინიციატივის პროგრამა. (NSF/DARPA/NASA Digital Libraries Initiative in 1994). ეს ინიციატივა, მეტწილად, განპირობებული იყო და მას საფუძვლად დაედო ვანევარ ბუშის სტა-

ტია - “როგორც ჩვენ შეიძლება ვფიქრობდეთ“ (As We May Think, 1945), რომელშიც ელექტრონული რესურსების ბიბლიოთეკად წარმოდგენის ხედვა განმარტებულია არა ტექნოლოგიების, კომპიუტერული მეცნიერების, არამედ მომხმარებლის, ჩვეულებრივი მკითხველის მხრიდან.

ციფრულ ბიბლიოთეკას ასევე უწოდებენ „ვირტუალურ ბიბლიოთეკას“. ეს ტერმინი ადრე ციფრული ბიბლიოთეკის სინონიმად გამოიყენებოდა. ახლა კი სხვა დატვირთვა შეიძინა და გამოიყენება ე.წ. აგრეგატ ბიბლიოთეკებთან მიმართებაში, რომლებიც სხვადასხვა რესურსიდან კრევენ და ავრცელებენ ელექტრონულ ინფორმაციას.

კიდევ ერთი ტერმინი - „ჰიბრიდული ბიბლიოთეკა“ - გამოიყენება ისეთი ბიბლიოთეკებისთვის, რომლებიც შერეული მასალების სერვისებს უზრუნველყოფენ, როგორც ტრადიციულს, ასევე ელექტრონულს. მაგალითად, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ციფრული პროექტი - „ამერიკის მეხსიერება“ კონგრესის ბიბლიოთეკაში შეიქმნა. პროექტი „ამერიკის მეხსიერება“ ძირითად მიზნად ისახავს მსოფლიოს სხვადასხვა ორგანიზაციების ციფრული ინფორმაციის უფრო მეტ ხელმისაწვდომობას ინტერნეტში.

მსგავსი შემთხვევა გვაქვს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მაგალითზეც. „ციფრული ბიბლიოთეკა ივერიელი“ ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ შექმნილი პროექტია. ეროვნული ბიბლიოთეკა კი თავის მხრივ არის ტრადიციული ბიბლიოთეკა, რომელიც მრავალმხრივ ელექტრონულ სერვისს სთავაზობს მომხმარებელს.

ამ ორი, საკმაოდ ფართომასშტაბიანი ციფრული ბიბლიოთეკისა და მსოფლიოს მასშტაბით უმეტესი ციფრული ბიბლიოთეკების ძირითადი მიზანია ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ციფრულ ფორმაში გადატანა, მათი გრძელვადიანი შენახვა, პრეზერვაცია და საყოველთაო ხელმისაწვდომობა. თუმცა, არსებობს ასევე უმნიშვნელოვანესი ციფრული ბიბლიოთეკები, რომლებიც გრძელვადიანი არქივების როლს ასრულებენ. მაგალითად, კორნელის უნივერსიტეტის ციფრული არქივი - ARXIV ([www.arxiv.org](http://www.arxiv.org)).

„Arxiv“ არის ე.წ. ელექტრონული გამომცემლო-

ბა ფიზიკის, მათემატიკის, ინფორმატიკის, ბიოლოგიის, ფინანსებისა და სტატისტიკის სფეროში. ციფრული არქივი დაფუძნებულია კორნელის უნივერსიტეტისა და სიმონსის ფონდის მიერ. ასევე არსებობს თანადამფუძნებელთა ვრცელი სია, მათ შორის არიან კემბრიჯის, პარვარდისა და მსოფლიოს სხვა უმნიშვნელოვანესი უნივერსიტეტები და სამეცნიერო ორგანიზაციები.

ინტერნეტ არქივი (Internet archive) – www.archive.org, ასევე არის არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა ინტერნეტში ბიბლიოთეკის მოწყობის მიზნით. ამ არქივის მიზანია, მკვლევარებს, ისტორიკოსებს, მეცნიერებს, სპეციალური საჭიროებების მქონე პირებსა და ფართო საზოგადოებას მისცეს იმ ისტორიულ ექსპონატებზე წვდომის საშუალება, რომლებიც უკვე ციფრულ ფორმაშია.

### ციფრული ბიბლიოთეკის განვითარების მოკლე მიმოხილვა

„ციფრული ბიბლიოთეკის“ კონცეპცია ჩამოყალიბდა და განვითარდა სახელგანთქმული მეცნიერების: ვანევარ ბუშისა (1890 -1974) და ჯოზეფ ლიკლიდერის (1915-1990) ცნობილ შრომებზე დაყრდნობით. იგი ემსახურება ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ცოდნის გაცვლის, როგორც პროგრესის, ფუნდამენტური ინსტრუმენტის ცნებას.

ვანევარ ბუშმა აღწერა (1945) „ხელსაწყო, რომელშიც ინდივიდი მოათავსებს ყველა წიგნს, ჩანაწერს და კომუნიკაციურ მიმოწერას. ეს ხელსაწყო მექანიზირებულია ისეთი სახით, რომ ყველა ამ მასალაზე წვდომა შესაძლებელი იქნება ძალიან სწრაფად და მოქნილად. გარდა ამისა, მასზე დამონტაჟებულია „გამჭვირვალე ფილა“

(დღევანდელი გაგებით მონიტორი), რომელზეც შეიძლება აისახოს ფოტოები, ჩანაწერები, წიგნები და სხვა ნებისმიერი სახის დოკუმენტი“. იმ პერიოდში, ციფრული მხარდაჭერის არარსებობის გამო კომპიუტერის მაგივრად მან დაასახელა „გაუმჯობესებული მიკროფილმი“, როგორც კონტენტის შენახვისა და გავრცელების საშუალება. „კონტენტის შექმნა შესაძლებელი გახდება მიკროფილმებზე. ყველა ტიპის წიგნი, ფოტო, პერიოდიკა, გაზეთი და სხვა ტიპის მასალები ასეთი სახით შეინახება ერთ ადგილას“.<sup>1</sup>

მოგვიანებით, ჯოზეფ ლიკლიდერმა განსაზღვრა, რომ კომპიუტერი გახდებოდა იმდენად მძლავრი ინსტრუმენტი, რომ შესაძლებელი იქნებოდა ავტომატიზირებული საბიბლიოთეკო სისტემის

1 (Bush, 1945)



ვანევარ ბუში - 1890-1974

შექმნა, რომელიც ბუშმა 1945 წელს ნაწილობრივ აღწერა თავის სტატიაში. ლიკლიდერმა 1965 წელს დაწერა აღნიშნულ თემაზე წიგნი, სადაც საუბარია, თუ როგორ არის შესაძლებელი კომპიუტერის მეშვეობით ბიბლიოთეკის ავტომატიზაცია და როგორ შეძლებს ბევრი მომხმარებელი ერთდროულად წვდომას საერთო მონაცემთა ბაზაზე. მის წიგნში ასევე საუბარია ინტერნეტისა და ციფრული ბიბლიოთეკის ურთიერთკავშირზე.<sup>2</sup> მართლაც, 1990 წლიდან, ინტერნეტის გავრცელებამ განაპირობა კაცობრიობის ცოდნის აღმოსაჩენად და გასავრცელებლად უპრეცედენტო საშუალებების შექმნა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტექნოლოგიური თვისებებით ერთმანეთისგან განსხვავდება თავიდანვე ციფრულ ფორმაში შექმნილი და თავდაპირველად ტრადიციულ ფორმაში და შემდგომში გაციფრებული ობიექტები. ასევე საგულისხმოა, რომ ციფრულ ფორმაში მყოფი ყველა ობიექტი არ შეიცავს ციფრულ მონაცემებს.

### ციფრული ბიბლიოთეკის მოკლე ისტორია

ციფრული ბიბლიოთეკის მნიშვნელობის პირველი აღიარება მოხდა 1994 წელს, როდესაც გადაწყდა, რომ 25 მილიონამდე ამერიკული დოლარი, აშშ-ს ფედერალური ფონდიდან გადაუნაწილდებოდა ექვს უნივერსიტეტს ციფრული ბიბლიოთეკების კვლევისათვის. ეს ინიციატივა განხორციელდა ეროვნული სამეცნიერო ფონდის (National Science Foundation (NSF), თავდაცვის დეპარტამენტის მოწინავე კვლევის პროექტების სააგენტოს (Department of Defense Advanced Research Projects Agency (ARPA) და ეროვნული აერონავტიკისა და კოსმოსური კვლევის ადმინისტრაციის (National Aeronautics and Space Administration (NASA) ფინანსური მხარდაჭერით.

აღნიშნული პროექტები განხორციელდა: კარნეგი მელონ უნივერსიტეტში (Carnegie Mellon University), კალიფორნია-ბერკლის უნივერსიტეტში (University of California-Berkeley), მიჩიგანის უნივერსიტეტში (University of Michigan), ილინოისის უნივერსიტეტში (University of Illinois), კალი-

2 (Licklider, 1965)

ფორნია-სანტა ბარბარას უნივერსიტეტსა (University of California-Santa Barbara) და სტენფორდის უნივერსიტეტში (Stanford University).

ამ ექვსი კარგად დაფინანსებული პროექტის განხორციელებამ განაპირობა შემდგომში დეფინიციის - „ციფრული ბიბლიოთეკის“ დანერგვა, პოპულარიზაცია და განვითარება. ეს პროექტები იყო კომპიუტერული სამეცნიერო ექსპერიმენტები, პირველ რიგში ციფრული ბიბლიოთეკის არქიტექტურისა და ინფორმაციის მოძიების სფეროში.

აღნიშნული ექვსი პროექტი პრაქტიკულად იყო ექსპერიმენტი ციფრული ბიბლიოთეკების შექმნის სფეროში, რომლებიც ნაკლებად წარმოსადგენდა ელექტრონულ ბიბლიოთეკას დღე-



ვანდელი გაგებით. ამ ბიბლიოთეკებს თითქმის არ ჰქონდათ სერვის კომპონენტები, კოლექციებს არ გააჩნდათ მდგრადობა, არქივი არ იყო მამხმარებელზე ორიენტირებული, არ გააჩნდა ეთიკური ტრადიციები. ამ პერიოდს ჩვენ ვუწოდებთ ციფრული ბიბლიოთეკის განვითარების „ექსპერიმენტულ ეტაპს“, რადგან მოცემული ეტაპის განმავლობაში დახარჯული მთელი ძალისხმევა მიმართული იყო თავად ცნების - „ციფრული ბიბლიოთეკის“, პოპულარიზაციაზე და ამ ტერმინის დანერგვაზე, რაც წლების განმავლობაში დღემდე შენარჩუნებულია.

1996 წლიდან, მეცნიერებმა, რომლებიც აქამდე მუშაობდნენ ტრადიციულ ბიბლიოთეკებთან, დაიწყეს ცნების - „ციფრული ბიბლიოთეკა“, გაფართოებაზე ზრუნვა. თუმცა ნამდვილი წარმატება და წინსვლა მოხდა 1998 წლის ბოლოს, როდესაც აშშ-ს ფედერალურმა მთავრობამ დააწესა მაღალდაფინანსებული ჯილდო DL-2 Awards იმ პროექტებისთვის, რომლებიც შეიცავდა ტრადიციული საბიბლიოთეკო სერვისების ხოგირთ ელემენტებს, როგორებიც არის შენახვა, მდგრადობა, მომხმარებელთან ურთიერთობა. ამავე პერიოდში ტრადიციულმა ბიბლიოთეკებმაც დაიწყეს სერიოზული დიგიტალური კომპონენტების შექმნა.

მას შემდეგ, რაც ბიბლიოთეკარები და მეცნიერები აქტიურად ჩაერთვნენ დიგიტალურ პროექტებში, უფრო მეტი ყურადღება კომპიუტერული მეცნიერების ექსპერიმენტებიდან გადაიტანეს პროექტებზე, რომლებიც უფრო პრაქტიკული და გამოყენებადი იყო. ჩვენ ამას ვუწოდებთ ციფრუ-

ლი ბიბლიოთეკის „განვითარების ფაზას“. 1990-იანი წლების ბოლოს, აშშ ციფრული ბიბლიოთეკების ფედერაციის გავლენით, ციფრული ბიბლიოთეკების მწარმოებელი ორგანიზაციები ცდილობდნენ ელექტრონულ ბიბლიოთეკებში განვითარებინათ ტრადიციული ბიბლიოთეკის კომპონენტები, როგორც არის კოლექციების მართვა და მათი ერთმანეთთან თავსებადობა. თუმცა, მიუხედავად ამ პროგრესისა, კოლექციების თავსებადობაში და ციფრული მასალის პრეზერვაციაში, რომელიც ციფრული ბიბლიოთეკების განმავითარებელთა მიერ განხორციელდა, საბოლოო შედეგი მაინც არ იყო დამაკმაყოფილებელი.

იმისათვის, რომ ეს დარგი საბოლოოდ გადავიდეს „მოწიფულობის“ ფაზაში და გაამართლოს სახელი „ციფრული ბიბლიოთეკა“ საჭიროა ტრადიციული ბიბლიოთეკის კომპონენტების მეტად განვითარება და მათი ციფრულ რეალობაში გადმოტანა. ციფრული ბიბლიოთეკების განმავითარებლებმა მეტად უნდა იზრუნონ, თუ როგორ გადმოიტანონ ციფრულ სამყაროში ბიბლიოთეკის ეთიკური ტრადიციები, როგორც არის სიტყვის თავისუფლება, კონფიდენციალურობა, თანაბარი ხელმისაწვდომობა და სხვა.


ციფრულმა ბიბლიოთეკამ ფუნდამენტური როლი ითამაშა საზოგადოების ცოდნის ამადლებაში. მისი მეშვეობით ის საგანძურით, რომელიც დაცულია ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, არქივებში თუ სხვა ტიპის საცავებში და ორგანიზაციებში, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერ დროსა და სივრცეში. ეს მასალები ყოველ ადამიანს შეუძლია გამოიყენოს გლობალური კულტურული მემკვიდრეობის გაცნობისთვის, სწავლისთვის, მუშაობისთვის ან, უბრალოდ, გართობისთვის. ციფრულმა ბიბლიოთეკამ მოახდინა რევოლუცია ცოდნის მენეჯმენტის სისტემაში.

### ციფრული ბიბლიოთეკის განვითარების ძირითადი ეტაპები

ქვემოთ, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოცემულია ციფრული ბიბლიოთეკის განვითარების ძირითადი ეტაპების ჩამონათვალი.

#### „გუტენბერგის“ პროექტი

ციფრული ბიბლიოთეკა „გუტენბერგი“ უფასო ელექტრონული წიგნების პირველი კოლექციაა. მისი დამფუძნებელი იყო მაიკლ ჰარტი, რომელმაც ეს პროექტი დააარსა 1971 წელს, ამავე პერიოდში გაციფრდა პირველი წიგნი. იმ პერიოდში მაიკლ ჰარტი იყო ილინოისის უნივერსიტეტის სტუდენტი და მაშინდელი კომპიუტერის-Xerox Sigma-ს საშუალებით გადაწყვიტა გაეციფრებინა ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია. ეს ექსპერიმენტი წარმატებით დასრულდა. მაიკლ ჰარტმა ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია ციფრულ ფორმაში გადაიტანა. 2005 წლისათ-



ვის მან დააგროვა 17 000 გაციფრებული წიგნი, 2009-ში კი წიგნების რაოდენობა აღემატებოდა უკვე 34 000. ციფრული ბიბლიოთეკა „გუგუნბერგი“ დღესაც ფუნქციონირებს, დღემდე ითვლება ციფრული ბიბლიოთეკების „მუზად“.

**პროექტი ამერიკის მემსიერება**

ეს იყო საპილოტე პროგრამა, რომელიც ხორციელდებოდა 1990-1994 წლებში. პროექტის მიზანი იყო კონგრესის ბიბლიოთეკაში დაცული იმ დოკუმენტების გაციფრება, რომლებიც ასახავდა „ერის მემსიერებას“, შემდეგ ეს გაციფრებული მასალა ჩაიწერა CD-ზე და დაეგზავნა 44 სკოლასა და უნივერსიტეტს. ამის შემდეგ გამოიკითხა ყველა ის სასწავლებელი, რომელმაც მიიღო მონაწილეობა. გამოხმაურება იყო ძალიან დადებითი, ყველა აღფრთოვანებული იყო ამ ფაქტით და პროექტი გაგრძელდა - მიიღო დამატებითი დაფინანსება. დღეს „ამერიკის მემსიერება“ არის კონგრესის ბიბლიოთეკის ერთგვარი სიმბოლო და წარმოადგენს მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელექტრონულ რესურსს. მასში გაერთიანებულია 100-ზე მეტი თემატური კოლექცია.

**GOOGLE BOOKS**

როგორც პროექტის მწარმოებლები იტყვიან - პირველად იყო Google Books, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. თუმცა, ამავდროულად პროექტი უფრო დიდი ხნისაა, ვიდრე თავად კომპანია Google. პროექტის შემქმნელები იყვნენ გუგლის თანადამარსებლები - სერგეი ბრინი და ლარი პეიჯი, რომლებიც სტუდენტობის პერიოდში მუშაობდნენ სტენფორდის ციფრული ბიბლიოთეკის ტექნოლოგიების პროექტზე. მათი მიზანი იყო ინტერნეტში განთავსებული მრავალრიცხოვანი მასალის მოძიება სპეციალური



საძიებო რობოტების დახმარებით (რობოტში იგულისხმება კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ძიების დროს აგროვებს ჩვენთვის სასურველ ინფორმაციას). გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში დაიწყო წიგნების სკანირება და ინტერნეტში განთავსება. წელიწადში ციფრულ ფორმაში გადააქონდათ დაახლოებით მილიონი წიგნი. 2012 წლისთვის კი გაციფრებული წიგნების რაოდენობა უკვე 15 000 000 იყო.

**EUROPEANNA**

**Europeana.eu** არის ინტერნეტ პორტალი, რომელიც შეიცავს ევროპაში გაციფრებულ მილიონობით წიგნს, ნახატს, ფილმს, მუზეუმში დაცულ ექსპონატს და საარქივო ჩანაწერს. ლეონარდო და ვინჩის „მონა ლიზა“, ვერმეერის „გოგონა მარგალიტის საყურით“, ისააკ ნიუტონის, ჩარლზ დარვინის ნაშრომები და მოცარტის მუსიკა - ეს ყოველივე არის Europeana-ს შემადგენელი ნაწილები. 2000-ზე მეტი ორგანიზაციაა ჩართული მის შექმნაში. მათ შორის ისეთები, როგორც: ამსტერდამის მუზეუმი, ბრიტანეთის ბიბლიოთეკა და ლუვრი. მათი გაერთიანებული კოლექცია საშუალებას აძლევს მსოფლიოს მოსახლეობას გაიცნოს ევროპის კულტურული და სამეცნიერო მემკვიდრეობა პრეისტორიიდან დღემდე. პროექტი შეიქმნა საფრანგეთის პრეზიდენტის - ჟაკ შირაკის ინიციატივით.

**მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკა - THE WORLD DIGITAL LIBRARY**

ეს არის ამერიკის და სხვა ქვეყნების საგანმანათლებლო-კულტურული ორგანიზაციების, კონგრესის ბიბლიოთეკის, Rწმ -ს და მისი პარტნიორი ბიბლიოთეკებისა და არქივების ერთობლივი პროექტი. მსოფლიო ციფრული ბიბლიოთეკა თავს უყრის იშვიათ გამაცემებს: წიგნებს, ჟურნალებს, ხელნაწერებს, რუკებს, ფოტოებს, ფილმებს და მუსიკას. ეს არის მსოფლიოს კულტურის ერთგვარი ელექტრონული ცენტრი. მისი ინტერფეისი თარგმნილია არაბულ, ჩინურ, ფრანგულ, პორტუგალიურ, რუსულ და ესპანურ ენებზე. დოკუმენტები წარმოდგენილია ორიგინალის სახით. ეს არის უნიკალური ბიბლიოთეკა, რადგან ძირითადად ორიენტირებულია ხარისხზე და არა შინაარსსა და რაოდენობაზე. მასში ატვირთული დოკუმენტები განსაკუთრებით მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

**სამართავლოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და ჯეოგრაფიის ერთობლივი პროექტი - „ციფრული ფოტომატიანი“**

ეროვნული ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და პოპულარული პროექტია. ბიბლიოთეკის თანამშრომლები ამ პროექტზე თითქმის სამი წელია მუშაობენ და კოლექციაში განთავსებული ფოტოების რაოდენობამ უკვე 65 000 მიაღწია.



„ციფრული ფოტომატიანე“ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ ერთ-ერთი კოლექციაა და დღითიდღე იცვლება უნიკალური, საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი ფოტომატიანით, ვინაიდან „ივერიელში“ შესაძლებელია ნებისმიერი რაოდენობის ფონდისა თუ კოლექციის განთავსება. „ივერიელის“ პროგრამულ უზრუნველყოფას აქვს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი უპირატესობა - მასზე მუშაობა შეუძლია ერთდროულად ნებისმიერი რაოდენობის მომხმარებელს. ასევე არ აქვს მნიშვნელობა მომხმარებლის გეოგრაფიულ ადგილსამყოფელს. „ივერიელის“ მეშვეობით შესაძლებელია ერთიანი ციფრული ბიბლიოთეკის შექმნა მთელი საქართველოს მასშტაბით, ხოლო მასზე მუშაობა საქართველოს საზღვრებს გარეთაც შეიძლება.

„ივერიელი“ შეიქმნა 2012 წელს, პროგრამული უზრუნველყოფა DSpace-ის პლატფორმაზე. Dspace დღესდღეობით არის ყველაზე გავრცელებული და პროგრამული უზრუნველყოფა მსოფლიოს მასშტაბით, რომელიც განკუთვნილია აკადემიური, კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციებისთვის. იგი მარტივია საინსტალაციოდ და არის სრულად კონფიგურირებადი, როგორც პროგრამულად, ასევე, ინტერფეისის მხრივ. საშუალებას იძლევა ელექტრონულ ფორმაში შექმნას და შეინახოს წიგნები, პერიოდული გამოცემები, ვიზუალური და აუდიო-ვიზუალური გამოცემები, სტატიები, რეპრინტები, ყველა სხვა სახეობის დო-

ისტორია, რომელიც მომხმარებელს ექსკლუზიურად სთავაზობს საქართველოს ოჯახებში დაცულ უნიკალური ფოტოების ციფრულ ვერსიებს. პროექტის მიზანია, გამოვლინდეს და შეგროვდეს ოჯახებში თუ ორგანიზაციებში დაცული აქამდე საზოგადოებისათვის უცნობი ფოტოკოლექციების, საფოსტო ბარათების, ხელნაწერებისა თუ სხვა ტიპის დოკუმენტების ციფრული ვერსიები და ეს მასალა მიექცეს ერთიანი ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელში“.

მრავალ ოჯახში არის გაბნეული სხვადასხვა სახის უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია, ფოტოების, ხელნაწერების და სხვა დოკუმენტების სახით. ამ პროექტის განხორციელებით საქართველოს მასშტაბით იქმნება ერთიანი ციფრული ბიბლიოთეკა, რაც თავისთავად გულისხმობს საქართველოს რეგიონებში რეგულარულ გასვლებს, მოსახლეობასთან კონტაქტს და საინტერესო მასალების შერჩევას.

„ივერიელში“ განთავსებულია მრავალი დასახელების ფონდი და კოლექცია, მათ შორის:

1. აუდიომასალები
2. გაზეთები
3. ეტიკეტები
4. ნოტები
5. პლაკატები
6. ჟურნალები
7. ფოტოები
8. წიგნები
9. ხელნაწერები და საარქივო ფონდი

ქვემოთ მოცემულია ციფრული ფოტომატიანეზე მუშაობის ძირითადი პრინციპები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასახელმწიფო ორგანიზაციებში და ოჯახებში დაცული მასალა, რადგან იგი განადგურების უფრო მაღალი საფრთხის წინაშე დგას და არასაკმარისი გარანტიით არის დაცული. გარდა ამისა, ოჯახებში შენახული ფოტოები სახელმწიფო ორგანიზაციაში დაცული ფოტოების ამოცნობაში დამხმარე მასალად შეიძლება მოვიხსროთ, რადგან ზოგჯერ ორგანიზაციამ არ იცის, ვინ არის აღბეჭდილი ფოტოზე, ხოლო ოჯახის წევრმა თითქმის ყოველთვის იცის ფოტოებზე გამოსახული პიროვნებების ვინაობა.

ხშირად ოჯახებში დაცულ ფოტოებს თან ახლავს ინფორმაცია, რომელსაც ციფრული ფოტომატიანის შექმნელები უწოდებენ ლეგენდას. ხდება ხოლმე, როდესაც ეს ლეგენდა არ ემთხვევა რეალურ ისტორიას. არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ფოტოს ასლი სამი სხვადასხვა ოჯახიდან მოდის და სამივე ისტორია განსხვავდება ერთმანეთისგან, ზოგჯერ არცერთი არ შეესაბამება სიმართლეს. ამ არასწორი ინფორმაციის დამუშავება შემდგომში იწვევს რეალური ისტორიის დადგენას. მაგალითად: ერთ სურათზე იყო გამოსახული გრაფინია ჭალაყანიძე და აღმოჩნდა



კომენტო და დაარეგულიროს მათზე წვდამა. „ივერიელის“ შექმნამ გამოიწვია სხვადასხვა შიდა პროექტის განხორციელება. მათ შორის არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის, ეროვნული ბიბლიოთეკისა და ჯეოსელის ერთობლივი პროექტი - „ციფრული ფოტომატიანე“ ანუ ფოტოებში ასახული საქართველოს

აგრაფინა ჭალაყანიძე. ასეთი ტიპის ინფორმაცია ძალიან ხშირია და ხშირადვე რეალური ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. ამას საზოგადოება გაგებით უნდა მოეცილოს და თვითონაც კრიტიკული უნდა იყოს, განსაკუთრებით ამგვარი ინფორმაციას სამეცნიერო შრომაში გამოყენებისას.

დროთა განმავლობაში, ხანძრის, წყალდიდობის და სხვა მსგავსი შემთხვევების შემდეგ ოჯახში დაცული ფოტომასალა შეიძლება დაზიანდეს ან განადგურდეს. ამ შემთხვევაში გაციფრებული ფოტო ხდება არიგინალი. მაგალითად: ქსნის ერისთავის, ნინო ნიკოლოზის ასული ერისთავის და სიმონ მიხეილის ძე აშხაცავას საოჯახო ფოტოარქივი გაციფრდა და „ციფრულ ფოტომატიანეში“ განთავსდა ოჯახის შთამომავლის, თამარ აშხაცავას ინიციატივით. რამდენიმე თვეში ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე გადაწყდა ქალბატონ თამარზე სიუჟეტის გაკეთება, აღმოჩნდა, რომ სახლში გაჩენილი ხანძრის შედეგად მთელი ფოტოარქივი განადგურებულიყო. ერთადერთი ასლი, რომელიც გადარჩა - ციფრულ ბიბლიოთეკაში განთავსებული ფოტოებია.

ხშირად გვხვდება ისეთი ფოტოები, სადაც ერთ ან რამდენიმე პიროვნებას სახე აქვს ამოფხეკილი ან დაკაწრული. როგორც წესი, ეს არის მფლობელის ოჯახის წევრი, ყოფილი მეუღლე ან რეპრესირებული პიროვნება. ამავე ფოტოს სხვა ასლზე, რომელიც სხვა ოჯახში ინახება, შეიძლება იყოს ამოკაწრული სხვა პიროვნებების სახე. ასეთი ფოტოების კვლევის და ურთიერთშედარების მეშვეობით შესაძლებელია „წაშლილი ადამიანის“ ვინაობის დადგენა.

გაციფრებული მასალა ინახება უმაღლეს ხარისხში, სპეციალურ სერვერზე, რადგან მომავალში, როდესაც ციფრული ტექნოლოგიები კიდევ უფრო განვითარდება, შეიძლება დაბალი ხარისხი



და მცირე მოცულობის ფაილები აღარ იქნეს დამატებული, ამიტომ არიგინალის სახით ფაილების დამახსოვრება ხდება TIFF ფორმატში, 800, 1000, 1200 DPI, ხოლო სისტემაში განთავსდება JPG ფორმატის ფაილები, რომელიც ბევრად მცირე მოცულობისაა.

გაციფრებული ფოტომასალა შეგნებულად არ მუშავდება გრაფიკულ პროგრამებში, ინახება მათი არიგინალური სახე, არ იჭრება, ასევე ინახება ფოტოს ვერსია ნებისმიერ შემთხვევაში, რადგან ფოტოს ცარიელი მხარეც ინფორმაციაა არიგინალის შესახებ.

ბოლო პერიოდში გაიხსნა „ციფრული ფოტომატიანის“ რეგიონალური წარმომადგენლობები - ზუგდიდში, აბაშაში, სიღნაღში, ხაშურში, ბათუმში; ასევე საზღვარგარეთ - ბაქოში, სტამბულში, ლევილში. განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს პროექტთან ქალაქ ქუთაისს, რადგან აქ არა მხოლოდ რეგიონალური წარმომადგენლობაა, არამედ ეროვნული ბიბლიოთეკა და ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა პროექტის თანამონაწილეებიც არიან.

**ბიბლიოგრაფია**

esser, H. A. (2002). The Next Stage: Moving from Isolated Digital Collections to Interoperable Digital Libraries. First Monday (7 (6)).

Bush, V. B. (1945, July). "As We May Think". Atlantic Monthly, 101.

Griffin, S. M. (1998, July/August). NSF/DARPA/NASA Digital Libraries Initiative: A Program Manager's Perspective. D-Lib Magazine.

Iglezakis, I., Synodinou, T.-E., & Kapidakis, S. (n.d.). E-Publishing and Digital libraries: Legal and Organizational Issues. Information science reference.

Licklider, J.C. (1965). Libraries of the future. M.I.T. Press.

Schreibman, S., Siemens, R., & Unsworth, J. (Eds.). (2004). „Companion to Digital Humanities“. Oxford: Blackwell publishing.



# პრეზიდენტის ფონდის პროექტი ფართოვდება

## ინტერნეტი საქართველოს ყველა

### სოფლის ბიბლიოთეკას უკვე მთელ საქართველოში

ნიხნა აციაშვილი

**გ**არემონტებული ბიბლიოთეკები, განახლებული წიგნადი ფონდები, ინტერნეტითა და კომპიუტერებით აღჭურვილი სივრცეები - 2014 წლიდან საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია პრეზიდენტის ფონდთან ერთად რეგიონულ ბიბლიოთეკებს კომპიუტერებითა და ინტერნეტით აღჭურვაში ეხმარება. გარდა ამისა, ამავე პროექტის ფარგლებში კომპიუტერულ უნარ-ჩვევებში ბიბლიოთეკარების ტრენინგი და გადამზადება მიმდინარეობს. ამ ორი წლის განმავლობაში კახეთის რეგიონის 48 სოფლის ბიბლიოთეკამ უფასოდ უკვე მიიღო კომპიუტერები და ინტერნეტი.

პროექტში საკვანძო როლს ადგილობრივი ხელისუფლება ასრულებს. მისი ჩართულობა გადამწყვეტია პროექტის ფუნქციონირებისთვის, რადგანაც ინტერნეტის ყოველდღიური სააბონენტო გადასახადი, გათბობით და უსაფრთხოების სისტემებით უზრუნველყოფა, საჭირო ავეჯისა და ინფრასტრუქტურის მოწოდება და ზოგ შემთხვევაში შენობის რემონტი, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მოვალეობაში შედის. ამ მიზ-



ნით შარშან სოფელ ვეჯინის, ქოდალოს, კარდენახის ბიბლიოთეკებში რემონტიც დაიწყო - გამოიცვალა კარ-ფანჯრები, სახურავები, ფანჯრებზე გისოსები და მკარდა დამატებითი უსაფრთხოებისთვის.

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა რეგიონულ ბიბლიოთეკებს თავის ბაზებზე წვდომის საშუალებას აძლევს, რაც საგრძნობლად ზრდის ლიტერატურაზე ინფორმაციასა და სხვადასხვა მასალაზე წვდომის უნიკალურ შესაძლებლობას, რაც კახეთში მცხოვრებლებს აქამდე არ ჰქონდათ. გარდა ამისა, 2015 წლის ზაფხულში კახეთის რეგიონიდან ათმა ბიბლიოთეკარმა თბილისში კვალიფიკაციის ამაღლების კურსები გაიარა.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის სამდივნოს მთავარმა მრჩეველმა, გიორგი ქურულმა პროექტის მიმდინარეობით კმაყოფილება გამოთქვა და აღნიშნა, რომ თანამშრომლობა შედეგა. სწორედ ამიტომ, 2016 წელი სასიამოვნო სიახლეებით დაიწყო.

პროექტი „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს იძენს. ამჯერად საქართველოს პრეზიდენტის ფონდთან ერთად დაფინანსებაში აქტიურად მონაწილეობს მოძრაობა Beyond

Access-იც. 2016 წლისთვის უკვე დაგეგმილია ქვეყნის მასშტაბით 70 ბიბლიოთეკის აღჭურვა ინტერნეტითა და ტექნიკით. გამართული შენობები, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, დაცვა და უსაფრთხოება - ამ და სხვა სპეციალური კრიტერიუმებით წინასწარ შერჩეული 100 ბიბლიოთეკა (უკვე კახეთის რეგიონის გარდა) ახალ კონკურსში მონაწილეობს, რომლის ფარგლებშიც 70 ბიბლიოთეკა შეირჩევა კომპიუტერიზაციისთვის, ხოლო მათი თანამშრომლები გადამზადდებიან.

„საბოლოოდ პროექტი უნდა იქცეს სოფლებში მედია-ბიბლიოთეკების შექმნის წინაპირობად, სადაც ადამიანები შეძლებენ შექმნან საზოგადოებრივი ცენტრები, რომელიც ძალიან ბევრ ფუნქციას შეითავსებს. შეიძლება ეს იყოს საინფორმაციო ცენტრი, ოფიციალური დოკუმენტების გაცემის ადგილი და ა.შ. მრავალფუნქციური დაწესებულება“ აღნიშნავს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, გიორგი კეკელიძე.

საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტის, რუსუდანი ასათიანის თქმით, საჭიროა რეგიონული ბიბლიოთეკები თანამედროვეობას მოერგოს და საინფორმაციო ცენტრების ფუნქციაც შეითავსოს. „მომხმარებელმა უნდა მიიღოს არამხოლოდ წიგნებით ინფორმაცია, არამედ აუდიო-ვიდეო მასალებით, ინტერნეტით. თუკი განათლებული თაობა გვინდა გვევაფდეს, აუცილებელია, ინტერნეტზე წვდომა ყველას ჰქონდეს“.

2014 წელს, მოძრაობა „Beyond Access“-ის ხელშეწყობით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ განახორციელა პროექტი „საჯარო ბიბლიოთეკები ადგილობრივი განვითარებისთვის“. საპილოტე ეტაპზე პროექტის ფარგლებში ორი სოფლის (ხიდისთავი, ნუკრიანი) და ორი მუნიციპალიტეტის (ზუგდიდი, ხულო) ბიბლიოთეკები განახლდა, გარემონტდა და აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკითა და უკაბელო ინტერნეტით. მოძრაობას ის ადამიანები უერთდებიან, რომლებსაც სჯერათ, რომ განათლება სიღარიბის დაძლევის წინააღმდეგ მთავარი იარაღია, რომ ინტერნეტის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა განათლების ხელმისაწვდომობას ნიშნავს; რომ ადამიანები თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ ბიბლიოთეკას მსოფლიოს ყველა წერტილში თანაბრად იმსახურებენ; რომ განათლებული ადამიანები უფრო ეფექტური მეთოდებით ებრძვიან სიღარიბეს და რომ მთელ რიგ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს, საბოლოო ჯამში სწორედ თანამედროვე ბიბლიოთეკის იდეა ჭრის.

ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრაც ამ იდეის განვითარებაა. მოძრაობა Beyond Access აღნიშნული პრობლემის დასაძლევად საქართველოს პრეზიდენტის ფონდის პროექტს ფინანსურ მხარდაჭერას უცხადებს.

მასშტაბურ საგანმანათლებლო პროექტში ჩართულია საერთაშორისო ორგანიზაცია მშვიდობის კორპუსიც, რომლის მოხალისეებიც სოფელ გურჯაანის ბიბლიოთეკაში ინგლისური ენის შემსწავლელ უფასო გაკვეთილებს ატარებენ მსურველებისათვის. მშვიდობის კორპუსი, საბიბლიოთეკო ასოციაციის ბიბლიოთეკებთან ერთად, სხვა პროექტების დაწყებასაც გეგმავს.

## ჩვენი სახელოვანი მოღვაწენი

### მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი (ნიკო მუსხელიშვილის დაბადებიდან 125 წლისთავი)

მიხეილ ჯიზბახაშვილი

სკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი დაიბადა 1891 წლის 16 თებერვალს თბილისში, სამხედრო ინჟინრის ოჯახში.

მუსხელიშვილების წინაპრები საქართველოს ძირძველი მხარის - სამცხე-ჯავახეთის თავადაზნაურები ყოფილან. XVI-XVIII საუკუნეებში, ამ მხარის ძნელბელობის ჟამს, იძულებულები გამხდარან, მიეტოვებინათ თავიანთი მამულები და დასახლებულიყვნენ ქართლში.

ნიკო მუსხელიშვილმა საშუალო განათლება თბილისში მიიღო - დაამთავრა თბილისის მეორე კლასიკური გიმნაზია.

გიმნაზიაში სწავლის დროს მან გამოამჟღავნა განსაკუთრებული მათემატიკური ნიჭი.

1909 წელს სწავლა გააგრძელა პეტერბურგის უნივერსიტეტში, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1914 წელს, გამოყენებითი მათემატიკის სპეციალობით. ნიჭიერი და წარჩინებული კურსდამთავრებული, პროფ. გ. კოლოსოვის რეკომენდაციით, დატოვეს თეორიული მექანიკის კათედრაზე საპროფესოროდ მოსამზადებლად.

ნიკო მუსხელიშვილის პირველი სამეცნიერო ნაშრომი პროფ. გ. კოლოსოვის თანაავტორობით გამოქვეყნდა 1915 წელს. ნაშრომი ეხებოდა დრეკადობის თეორიის საკითხებს.

სწორედ ამ ნაშრომით იწყება მისი ინტენსიური და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა. ამ ნაშრომს მოჰყვა მრავალი ორიგინალური ნაშრომი მექანიკასა და მათემატიკაში, რომლებმაც ავტორს დიდი აღიარება მოუტანა.

1919 წელს, 28 წლის ნ. მუსხელიშვილს ირჩევენ პეტერბურგის ერთ-ერთ პედაგოგიურ ინსტიტუტში პროფესორად, ეს უკვე დიდი დაფასება იყო.

1920 წელს, უკვე ჩამოყალიბებული მეცნიერი ნიკო მუსხელიშვილი, დაუბრუნდა მშობლიურ თბილისს. მას თბილი შეხვედრა მოუწყო თბი-

ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა. ამ დროისათვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მათემატიკოსები: ანდრია რაზმაძე, გიორგი ნიკოლაძე და არჩილ ხარაძე. მათ შეუერთდა ნიკო მუსხელიშვილი და დაიწყო ქართველ მათემატიკოსთა შესანიშნავი ოთხეულის ერთად მოღვაწეობის საუკეთესო ხანა.

1922 წელს ნ. მუსხელიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად და თეორიული მექანიკის კათედრის გამგედ აირჩიეს. ამავე წელს ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა მისი მონოგრაფია „კოშის ტიპის ინტეგრალის გამოყენება მათემატიკური ფიზიკის ამოცანებში“, რომელმაც მის ავტორს შორს გაუთქვა სახელი, ხოლო თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობას მძლავრი იმპულსი შესძინა.

ნ. მუსხელიშვილის ფუნდამენტურმა მონოგრაფიამ „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“, რომელიც გამოქვეყნდა 1933 წელს ახალი ეტაპი შექმნა დრეკადობის თეორიაში, ხოლო მის ავტორს მსოფლიო აღიარება მოუტანა.

1946 წელს გამოქვეყნდა მისი მეორე მონოგრაფია „სინგულარული ინტეგრალური განტოლებები“. ამ მონოგრაფიის პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „შემიძლია დიდი კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ ამ წიგნის შინაარსის დიდი ნაწილი უნდა განვიხილოთ როგორც თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის ახალგაზრდა თანამშრომლების კოლექტიური შრომის შედეგი ილია ვეკუასა და ჩემთან ერთად“.

ეს მონოგრაფიები სამაგიდო წიგნად იქცა აღნიშნულ დარგებში მომუშავე სპეციალისტებისთვის, როგორც ჩვენთან, ისე - უცხოეთში.



აქვე აღსანიშნავია, რომ ორივე მონოგრაფიას სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

1939 წელს ნ. მუსხელიშვილი აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, ხოლო 1941 წელს - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

დიდია აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის დამსახურება დრეკადობის ბრტყელი თეორიის შექმნაში. მის მიერვე შექმნილი უნივერსალური მეთოდებით ამოხსნა ისეთი ამოცანები, რომლებიც მანამდე არ იყო ამოხსნილი. დრეკადობის თეორიის ძირითადი სასახლვრო ამოცანები მან დაიყვანა ანალიზურ ფუნქციათა სასახლვრო ამოცანებზე. პირველმა შეისწავლა სხვადასხვა მასალისგან შედგენილი ძელების გრეხისა და ღუნვის ამოცანები. მის მიერ მიღებულ შედეგებს თეორიული ღირებულების გარდა, დიდი გამოყენება აქვს სამშენებლო მექანიკაში, მანქანათმშენებლობაში, გემთმშენებლობაში, ავიაცი-აში და სხვ.

ნ. მუსხელიშვილის მეთოდები ეს ის მყარი ფუნდამენტია, რომელზე დაყრდნობით მრავალმა მეცნიერმა, როგორც საქართველოში, ისე - უცხოეთში, ახალი შედეგები მიიღო უწყვეტ ტანთა მექანიკაში.

თანამედროვე მათემატიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდაა ცნობილი ტერმინები: მუსხელიშვილის მეთოდი, მუსხელიშვილის განტოლება, მუსხელიშვილის ფუნქციები და სხვ.

ნ. მუსხელიშვილი არის ორიგინალური სახელმძღვანელოების ავტორი, ესენია თეორიული მექანიკა და ანალიზური გეომეტრია. განუზომელია ამ წიგნების როლი სტუდენტთა სწავლების საქმეში.

აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი 30 წელზე მეტხანს იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცვლელი პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი.

სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, იგი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მან უდიდესი როლი შეასრულა მათემატიკოსთა და მექანიკოსთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში.

მსოფლიოს ცნობილი მეცნიერები მაღალ შეფასებას აძლევდნენ ნ. მუსხელიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობას:

აკადემიკოსი ს. ვავილოვი: „ნ. მუსხელიშვილი მიეკუთვნება ჩვენი ქვეყნის (იგულისხმება სსრკ) ყველაზე გამოჩენილ და ნიჭიერ მექანიკოსთა რიცხვს. მისმა შრომებმა დრეკადობის თეორიის დარგში მოუხვეჭა ავტორს მსოფლიო სახელი.“

პროფესორი ე. ჰიუტი, აშშ: „ის წვლილი, რომელიც მათემატიკურ მეცნიერებაში შეიტანა აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა უდავოდ ძვირფასია მოველი მსოფლიოს მათემატიკოსებისათვის“.

აკადემიკოსი ი. ვეკუა: „ნ. მუსხელიშვილის კა-

ლამს ეკუთვნის 80-მდე სამეცნიერო გამოკვლევა. მისმა ნაშრომებმა დიდი გავლენა იქონიეს დრეკადობის თეორიის, მათემატიკური ფიზიკის, დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის შემდგომ განვითარებაზე მოველ მსოფლიოში“.

აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი გარდაიცვალა 1976 წლის 15 ივლისს 85 წლის ასაკში. დიდი მწუხარებით გამოეთხოვა ქართველი ერი თავის სახელოვან შვილს. მისი ცხედარი მიაბარეს ქართველთა წმინდა სავანეს - მთაწმინდას.

აი, როგორ გამოეთხოვა დიდ ქართველ მეცნიერს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ცნობილი ასტროფიზიკოსი, აკადემიკოსი ვ. ამბარცუმიანი: „სომხეთის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი საბჭოთა მათემატიკოსის, მექანიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტის, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრის, აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის გარდაცვალების გამო. სომხეთის მეცნიერები თავს ხრიან ქართველი ხალხის გამომჩენილი შვილის, აკადემიკოს მუსხელიშვილის მეცნიერული დამსახურების წინაშე“.

მაღლიერი ქართველი ერი არასოდეს დაივიწყებს თავის ღირსეულ შვილს, აკად. ნ. მუსხელიშვილს.

#### ლიტერატურა:

1. О равновесии упругих круглых дисков под влиянием напряжений, приложенных в их плоскости. Изв. Электротехн. Института, Петроград, 1915, Т.12, 39-55 (совместно с. Г.В. Колосовым).
2. მათემატიკური ტერმინების ლექსიკონი, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული. წმინდა და გამოყენებითი მათემატიკა თეორიული მექანიკით. ტფ; 1925, 249 გვ. (გ. ნიკოლაძესა და ა. ხარაძესთან ერთად).
3. თეორიული მექანიკის კურსი, I ნაწ. სტატიკა. ტფილისი, 1930, 216 გვ.
4. თეორიული მექანიკის კურსი, II ნაწ. კინემატიკა, ტფილისი, 1932, 208 გვ.
5. Некоторые основные задачи математической теории упругости. Основные ур. авнения, плоская задача, кручение и изгиб (предисловие Акад. А.Н. Крылова). А.Н. СССР, Л., 1933, 397стр.
6. Курс аналитической геометрии. Ч. 2, Л. — М., 1934, 276 стр.
7. ანალიზური გეომეტრიის კურსი. თბ; თსუ, 1939. 704 გვ.
8. Сингулярные интегральные уравнения, граничные задачи теории функций и некоторые приложения к математической физике. М.-Л., 1946, 448 стр.
9. სინგულარული ინტეგრალური განტოლებები, თბ., მეცნიერება. 1982.

# ივანე ჯავახიშვილის შეხედულებები მეცნიერის პიროვნული თვისებების შესახებ

ივანე ჯავახიშვილი - 140

ბუჩხაძე თაყნიაშვილი

ივანე ჯავახიშვილი თავისი მრავალმხრივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროცესში ჯეროვან ყურადღებას უთმობდა მეცნიერის, მკვლევარის პიროვნულ თვისებებს, მის ადამიანურ ღირსებებს. დიდი მეცნიერისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მკვლევარის ნიჭს, უტყუარ ადლოს, განსწავლულობას, ნებისყოფასა და ერუდიციას. მისი აზრით, მეცნიერი, მკვლევარი ამ თვისებებთან ერთად, უნდა იყოს გაბედული, ჭეშმარიტი პატრიოტი, სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილი. მისთვის უცხო არ უნდა იყოს ისტორიულ წილსვლებში აღმოჩენილი მოვლენები და ფაქტები, რომლებიც უარყოფითად ახასიათებენ ქვეყნის ისტორიის ამა თუ იმ პერიოდს. მკვლევარმა შინაგანად უნდა განიცადოს ერის ისტორიის ძნელებდობის პერიოდი, მაგრამ უნდა შესწავდეს უნარი, სწორად, პირუთვნულად აღწეროს თითოეული ფაქტი და გააკეთოს სწორი დასკვნები. ი. ჯავახიშვილი მკვლევარს, პიროვნებას განიხილავს „ვითარცა მადგაწის“, რომელიც ქმნის ისტორიას. ისტორიის მკვლევარებს იგი მოუწოდებდა, ადამიანში დაეფასებინათ ადამიანურობა, ჭეშმარიტი მამულიშვილობა და უმაღლეს სტადიაზე აყევანათ მისი, როგორც მკვლევარის, პიროვნული ღირსებები. დიდ მეცნიერს სწამდა, რომ პატრიოტული გრძნობების გარეშე ვერც ერთი მეცნიერი ვერ შექმნის ქვეყნის ჭეშმარიტ ისტორიას. თავად ი. ჯავახიშვილის მეცნიერული კვლევის კრედიტს წარმოადგენდა დევიზი: „ისტორია ჭეშმარიტების სფეროა“. სწორედ, ადამიანის პირობებში მიუძღვნა დიდმა მეცნიერმა თავისი პირველი ლექცია თბილისის ახლადდაარსებულ სახელმწიფო უნივერსიტეტში 1918 წლის 30 იანვარს. ლექციის თემა იყო „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო და საფილოსოფიო მწერლობასა და ცხოვრებაში“ (1,229). ამ ლექციით ი. ჯავახიშვილმა სათავე დაუდო ადამიანის ფაქტორს სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, მეცნიერის ადამიანურ თვისებებს. ასეთი მიდგომით მეცნიერმა ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდა მეცნიერთა შრომის ჩვევებზე, მათ უნარზე, რომ მხოლოდ შრომა, დაკვირვებული კვლევა-ძიება შეიძლება იყოს საფუძველი ჭეშმარიტი ისტორიის შესაქმნელად. მას ნათლად ჰქონდა გააზრებული, რომ ქართველი



ხალხის ჰუმანურ-ზნეობრივი ტრადიციები, ეს ისტორიულად ჩამოყალიბებული ფენომენი არ იზღუდება ინდივიდუალური ჩარჩოებით და გამოდის ადამიანური ურთიერთობების მომწესრიგებელ ქვაკუთხედად. როგორც ილია ჭავჭავაძის სულიერი თანამოაზრე, ი. ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა დიდი მწერლის ჰუმანისტურ შეხედულებებს, პატრიოტულ გრძნობებსა და კაცური კაცის ცნების დამკვიდრებას ქართულ მწერლობაში. ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი სოციალური ბუნების შესწავლა დაკავშირებულია საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესთან. 1906 წელს გაზეთ „ივერიაში“ ი. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა წერილები, რომლებიც თავიანთი შინაარსით განსაზღვრავენ ზნეობრივი მოძღვრების ისტორიას, მის პრინციპებსა და მეთოდებს. ავტორი წერს: „სრული სიღარიბის პირობებშიც ცხოვრობდნენ ზნეობრივად უმწიკვლო ადამიანები; ზნეობრივმა მოძღვრებამ ქართველი მოწინავე საზოგადოება დაარწმუნა, რომ მხოლოდ საკუთარი შრომით შეძენილი ქონება აკეთილშობილებს ადამიანს, მხოლოდ იგი უმსუბუქებდა გლეხებსა და მუშებს ცხოვრების მძიმე ტვირთს“ (2,3). დიდი მეცნიერის აზრით, მკვლევარის, მოღვაწის ნამდვილი სახე, მისი მოქმედება სიტყვითა და საქმით გამოიხატება. ინდივიდები როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად ერთიმეორეს ქმნიან. პიროვნების სოციალურ-ეთიკური იდეალები კონკრეტულ-ისტორიული ხასიათისაა. „ადამიანი, სულდგმული, მოძრავი, თავისუფალი არსებაა“ - წერს იგი. მეცნიერი, როგორც მკვლევარი და პიროვნება, არ არსებობს საზოგადოებისაგან იზოლირებულად. მის პიროვნებაში მთავარია ადამიანური ღირსება, რომელიც რეალიზდება სოციალურ მოძღვრებაში. პიროვნება არის მოქმედი სუბიექტი, საზოგადოებაში აღზრდილი და ყოფიერებაში შექმნილი; მისივე აზრით, ადამიანი წარმოადგენს ისტორიის მთავარ საგანს. ცნობილი ფსიქოლოგი, ა. ზურაბიშვილი იხილავდა რა ივანე ჯავახიშვილის შემოქმედების ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, ყურადღებას ამახვილებდა მეცნიერის სულიერ სამყაროზე, მის განცდებსა და გრძნობების სიფაქიზეზე. მისი აზრით, მეცნიერის, როგორც მკვლევარის მოქმედება უნდა იყოს მოვალეობის სოციალურ

პრინციპებსა და შინაგანი სინდისის პრინციპებზე. ა. ზურაბიშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება გამსჭვალულია ღრმად პატრიოტული გრძობით. მეცნიერის შრომის ნაყოფს დიდად განაპირობებს ის სოციალური გარემო, რომელშიაც მას უხდება მოღვაწეობა, ამის დასტურად მას მოყავს საქართველოს აღორძინებისა და წინსვლის პერიოდი, მისი აზრით: „მე-12 საუკუნეში ქართველი ერი ტკბებოდა არა მარტო ნივთიერი საუნჯით, არამედ სულიერი სამყაროს სიწმინდითა და სიფაქიხით“ (3,15). მეცნიერის პიროვნულ თვისებებზე ივანე ჯავახიშვილი სისტემატურად მიუთითებდა თავის გამოკვლევებში, რომლებიც შეეხებოდა ძველი ქართული მწერლობის ისტორიას. მეცნიერის აზრით, ადამიანი შესწავლილი უნდა იყოს მთლიანობაში. მკვლევარი ყოველთვის ჯეროვან ყურადღებას უნდა აქცევდეს პიროვნების გმირულ, სამაგალითო საქციელს, რომელმაც შეიძლება ერთგვარად შემოატრიალოს, შეცვალოს ის სოციალური გარემო, რომელშიაც თვითონ ცხოვრობს. პიროვნების თავდადების მნიშვნელობის შესახებ ი. ჯავახიშვილი წერს: „პიროვნების გმირული საქციელი ხალხში ჰპოვებს აღმაფრენას, აღტაცებას და აბსოლუტურ თანაგრძობას; ისტორიულად ცნობილ პირთა სულიერი სწრაფვის მაგალითი ერის ფსიქოლოგიური ყოფიერების ჭეშმარიტი გამოძახილია“ (2,135).

მეცნიერის, როგორც პიროვნებისა და მოქალაქის თვისებებზე, ივანე ჯავახიშვილი თავის მოსაზრებებს აყალიბებს 1904 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, სადაც იგი წერს: „ქართველმა მეცნიერმა სრულიად პირუთვნელად უნდა შეისწავლოს თავისი ერის წარსული და წარუდგინოს იგი თანამედროვეთ და უცხოელებსაც; რა დიდი ღვაწლიც არ უნდა მიუძღვოდეს ერებს წარსულში, თუ იგი აწმყში არ წარმოადგენს ერთიანსა და შეკრულს, თავისი მიზანდასახულობითა და ეროვნული სულისკვეთებით აღვსილს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის“ (5,11). ი. ჯავახიშვილის აზრით, მეცნიერის მოღვაწეობა უნდა განისაზღვროს არა მარტო მისი ცოდნის დონის პრინციპით, არამედ, პირველ რიგში, ზნეობრივი მიმართების, პატრიოტული სულისკვეთების დონით. ერთგან ი. ჯავახიშვილი გულისტკივილით წერს: „თუ მეცნიერმა განსხვავებული აზრი ჩამოაყალიბა და გამოიკვლია, მას არ უნდა აშინებდეს საზოგადოების მხრიდან კრიტიკისა, ჩვენი მიძინებული საზოგადოების შეწუხებისა და კრიტიკისა თუ ეშინია, მეტადრე თუ მეცნიერი სხვა გზას იკვლევს და კრიტიკულ მიმართულებას ადგია“ (5,49); ცნობილი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, ეხება რა ივანე ჯავახიშვილის როგორც მეცნიერის პიროვნულ თვისებებს, წერს: „ივანე ჯავახიშვილს ახასიათებდა ინტელექტუალური რაინდობა, მისი მოღვაწეობა წარმოშობს ახალგაზრდობაში სურვილს, მიზაძინ სულით უდრეკებს, ხნეობით სპეტაკებსა და ჭეშმარიტებისთვის მებრძოლ ადამიანებს“ (6,291); ი. ჯავახიშვილს,

როგორც მეცნიერული კვლევის დიდოსტატს, შეეძლო პირუთვნელად დაეხასიათებინა მეცნიერის სულიერი სამყარო, მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები და ჩამოყალიბებინა დასკვნა, რომელშიც იგი მკველვარს წარმოგვიდგენდა მისი სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობების ორგანულ მთლიანობაში. ამის ნათელსაყოფად საკმარისია, მოვიხმოთ მისი მოსაზრებები: „ადამიანის გულწრფელობა და უმანკო ხასიათი, რასაკვირველია, ყოველთვის გულუბრყვილობის მომასწავებელი არ არის, არამედ ხშირად მხოლოდ მისი უბოროტო ბუნებისა და პატიოსნების გამომჟღავნებელი არის და იყოს“ (7,148). მეცნიერის, პიროვნების, როგორც სოციალური არსების სულიერი თვითმყოფადობის თვისებებს განსაზღვრავს ის სოციალურ-პოლიტიკური გარემო, რომელშიაც იღვწის მეცნიერი და სადაც იგი ყალიბდება „ვითარცა მოღვაწე“. მეცნიერმა მთელი თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობები მიზანდასახულად უნდა გამოიყენოს, რათა შეგნებულად დაიკავოს ადგილი საზოგადოებაში.

ივანე ჯავახიშვილი, როგორც თავისი დროის სულიერი კულტურისა და ისტორიის ჭეშმარიტი მკვლევარის პიროვნება, წარმოგვიდგება როგორც გამბედავი, უკომპრომისო, ღრმად განსწავლული და ამავე დროს პატრიოტული სულისკვეთებით აღვსილი მეცნიერი. მისი ნაშრომები დაფუძნებულია მამულიშვილობასა და სამშობლოსადმი სიყვარულზე. „იგი მიემართებოდა უმაღლესი ფორმის ჰუმანიზმისაკენ - ადამიანში ადამიანურობის დაფასებისაკენ“ (8,3). ჭეშმარიტად უმაღლესი ჰუმანურობის პრინციპები ამოძრავებდა ივანე ჯავახიშვილის ინტელექტუალურ სამყაროს, მის მეცნიერულ მოღვაწეობას ჯერ კიდევ სიჭაბუკის წლებიდან. ამ პრინციპს ატარებდა იგი დღენიდაღ. ეს ხაზი, პათოსი, სულისკვეთება და შემართება ბოლომდე შერჩა მის ტიტანური შრომით შექმნილ თხზულებებს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯორბენაძე, ს. ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა - თბ., 1981 - 600გვ.
2. გა.ხ. „ივერია“ - 1906, №13
3. ზურაბიშვილი, ა. პერსონალური ძიებანი. - თბ., 1979. - 200 გვ.
4. ჯავახიშვილი, ი. ისტორიის მიზანი და მეთოდები წინათ და ახლად. - წ.1. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. - თბ., 1945. - 448 გვ.
5. ჯავახიშვილი, ი. მამულიშვილობა და მეცნიერება. - თბ., 1904.- 52 გვ.
6. გამსახურდია, კ. - კრიტიკა - წ.1. - თბ., 1956. - 310 გვ.
7. ჯავახიშვილი, ი. ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები. - თბ., 1956. - 224გვ.
8. გა.ხ. „თბილისის უნივერსიტეტი.“ - 1966, 27 თებერვალი.
9. კეკელია, შ. ადამიანის პრობლემა ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში. - თბ. 1977. - 86 გვ.

## თანამოაზრე, თანამდგომი, თანაავტორი

აჩაქსანელი ოჩიძე

3 ინც ჩვენი ჟურნალის ხშირი მკითხველი და თვალყურის მადევარია, უჩვეულად შენიშნავდა, რომ მას არაერთი თანამოაზრე და თანამდგომი ჰყავს. ბევრი მათგანი ამას თავისი ავტორობითაც გამოხატავს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე შესამჩნევია შოთა მაღაზონია. ის არაოფიციალურად მუდამ გვერდში ედგა ჟურნალს, იძლეოდა საქმიან შენიშვნებს, გულწრფელად უხაროდა მისი წარმატებები; არცერთ ნომერს არ ტოვებდა წაუკითხავად და მის მიმართ თავისი დამოკიდებულების გამოხატვის გარეშე.

შოთა მაღაზონიამ მრავალმხრივი, საინტერესო, დაძაბული გზა განვლო ცხოვრებაში. დაიბადა 1935 წელს, სკოლა 1954-ში დაამთავრა მშობლიურ სოფელ მამათში და სწავლა განაგრძო თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აღრე თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი) ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც თანაბრად ეუფლებოდა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენასა და ლიტერატურას.

მოწოდებით სულით და გულით პედაგოგი, სრულიად ახალგაზრდა, აღნიშნული უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელი თავისი მშობლიური სოფლის - მამათის სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად მუშაობდა და პრაქტიკულად ეუფლებოდა პედაგოგის პროფესიას, შემდეგ კვლავ უნივერსიტეტს დაუბრუნდა, როცა ასპირანტურაში ჩაირიცხა და სამეცნიერო მოღვაწეობის გზას შეუდგა. ყველაზე დაბალი საფეხურით დაიწყო და თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო თავისი კარიერის მწვერვალისკენ სვლა. იყო ასისტენტი, მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, მუშაობდა



ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ. წარმატებით დაიცვა პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის დისერტაციები, 2000 წელს არჩეულ იქნა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად; სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს, თეზისებს, იყო არაერთი ნაშრომის რეცენზენტი და პროფესიული წიგნების რედაქტორი. სანიმუშო იყო მისი მოღვაწეობა სტუდენტებთან. ასწავლიდა სხვადასხვა დისციპლინებს: ზოგადი პედაგოგიკა, დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, პედაგოგიკის ისტორია, პედაგოგიკური თეორიები, სწავლების ეფექტიანობის ამადლების ისტორია და თანამედროვე გზები. თავად თავის თავისადმი დიდი მომთხოვნი, სხვისგანაც ამას მოითხოვდა და სტუდენტებს შორის უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა.

სანიმუშოა მისი მეცნიერული მოღვაწეობა. აღსანიშნავია მისი მონოგრაფიები: „სწავლების კავშირი ცხოვრებასთან“ (1987); „სწავლების ეფექტურობის ამადლებისთვის საშუალო სკოლაში“ (1988); „იაკობი ერის დიდი მასწავლებელი“ (2011); მაგრამ უდავოდ დიდ ღვაწლად უნდა იქნეს მიჩნეული მის მიერ შექმნილი და გამოქვეყნებული სახელმძღვანელო „პედაგოგიკა“ (2001), რომლითაც დღემდე სარგებლობენ სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები და მასწავლებლები. გარდა ამისა, ის არაერთი მონოგრაფიის თანაავტორია. დიდი ღვაწლი დასდო მან პედაგოგიკის მეთოდის დამუშავების საქმეს, განსაკუთრებით, საგამოცდლო ტესტებისა და გამოცდების ორგანიზაციის საკითხებთან დაკავშირებით: „საატესტატო გამოცდების საკითხები და

ტესტები ისტორიაში“ (2012); „თემატური საკითხები და ტესტები საატესტატო და ეროვნული გამოცდებისთვის ისტორიაში“ (2012) და სხვ.

შოთა მაღაზონიას ჩვენს ჟურნალშიც აქვს გამოქვეყნებული შესაფერისი სტატიები: „ღირსეული მოძღვარი და მამულიშვილი (2010); „დედაენის სწავლების დიდი მთამაგე“ (2012); „ჭკვიანი“ თუ „ჭიანი“; ხშირად გვეხმარებოდა კონსულტაციასა და ზოგი მონაცემის დაზუსტებაში. იგი უაღრესად მაღალი პროფესიონალი და ერუდტი იყო, მრავალმხრივი პიროვნება, ნამდვილი პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე. მისი ინტერესების ფარგლებში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეჭირა მხატვრულ ლიტერატურას. ბრწყინვალედ იცნობდა ქართული ლიტერატურის ისტორიას და თავადაც იყო შემოქმედებით გატაცებული. უმაღლეს სასწავლებელში, სადაც ის სწავლობდა და შემდეგ მოღვაწეობდა, არსებობდა ახალგაზრდა შემოქმედთა წრე (ხელმძღვ. დოც. ლ.მეფარიშვილი და პროფ. დ. ბენაშვილი), რომელშიც გაერთიანებული იყვნენ შემდეგში ცნობილი შემოქმედები: ანხორ აბულაშვილი, მაშუკა წიკლაური, კარლო კობერიძე, ოლეგ გველეხიანი, ვანო ჩხიკვაძე, გურამ თაყნიაშვილი და სხვანი. შოთა მაღაზონია თავდაპირველად, მოკრძალებულად სთავაზობდა მეგობრებს თავისი მხატვრული შემოქმედების ნიმუშებს, განსაკუთრებით კარგად ეხერხებოდა არაკები ლექსად. აქტიურად მოღვაწეობდა უნივერსიტეტის გაზეთ „თაობაში“, რომელშიც თავის პუბლიცისტურ წერილებს აქვეყნებდა. მისი შემოქმედებითი უნარი ყველაზე ნათლად გამოკრთა მის მიერ გამოქვეყნებულ დრამაში „ბაკური“ (2012).

შ. მაღაზონიას გასულ წელს 80 წელი შეუსრულდა. მეგობართა და ოჯახის ახლობელთა ვიწრო წრემ თავისებურად აღნიშნა ეს თარიღი; მისმა მძიმე დაავადებამ, რომლითაც ის ბოლო ხანს იყო შეპყრობილი, ხელი შეუშალა ამ თარიღის უფრო ფართოდ და ემოციურად ჩატარებას. დღეს ის უკვე აღარ არის. ამ წლის დასაწყისში მიიცვალა, მაგრამ წავიდა როგორც დიდი ღვაწლმოსილი, სახელოვანი პიროვნება. ჩვენი რედაქცია დიდი გულისტკივილით შეხვდა ამ ამბავს. გარდაცვალებიდან რამდენიმე დღით ადრე რედაქციის სახელით მონახულა მისმა ერთგულმა მეგობარმა, პასუხისმგებელმა მდივანმა და რედაქტორის მოადგილემ, გურამ თაყნიაშვილმა, რომელიც ამჟამად საინტერესო მცირე მოგონებას გვთავაზობს

ამასთან დაკავშირებით, რაც კარგად გვიჩვენებს შ. მაღაზონიას სულიერ ძალასა და პიროვნულ თავისებურებებს.

## შპანასკნელი უხეველა

ეს ლექსი, ადრევე ბ-ნ შოთას ხელნაწერი, ვერ ვნახეთ მის არქივში, ბოლოს მითხრა - აიღე კალამი და ფურცელი, მისმინე და ჩაიწერეო. მკარნახობდა წყვეტილ-წყვეტილად, ხმადაბლა, ლაპარაკი უჭირდა. გამაკვირვა მისმა მეხსიერებამ, ლექსში არ არის არც ერთი სიტყვა შეცვლილი, იგი მთლიანად ავტორისეულია; ჩავიწერე 2016 წლის 22 იანვარს, გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე; 17.02.16.

## იაკობს

ვინ არის რისხვა მტარვალთა,  
ქართლის ფარი და აბჯარი,  
რა სიტყვა უნდა შეგკადრო  
შენი ნაღვაწის სადარი;  
სიწმინდე ნეტავ შენებრი  
თუ დაგვრჩა, ანდა სად არი;  
ია და ვარდი ეფინოს  
ჩვენს დედა ენას შენი გზით;  
ერთობ ასუსტეს ახალთა,  
ისევ და ისევ შენ იბრძვი;  
და დღეს თუ არა, ხვალ მაინც  
მტრის ფეხქვეშ მიწა შეიძვრის;  
ენა უძველეს ხალხისა,  
კაცობრიობის ამაგდრის;  
ელის გადაყრას ღრუბლისა,  
ელის გადასვლას ამ ავდრის;  
დღეს კი მას ვიღაც-ვიღაცა  
ვიწრო ყოფასა ამადლის;  
ია და ვარდი ეფინოს  
შენს „დედა ენას“, „ბუნებას“,  
გზა ფართო ერის გულისთქმას,  
იმედის აგუგუნებას;  
ვერ მოვეხიბლოთ სასხვისოდ  
ველარანაირ ცდუნებას;  
იაკობ, ნადლო იმედო,  
უმწკვივლო სულის ნაღვენთო,  
შენი ნანატრი ლამპარი  
მარჯვენა ხელით აგვენთოს!  
რასაც ზოსიმე იტყოდა  
უფლის განგებით დაგვეროთს,  
ჩვენ დიდი მადლით ვთბებოდეთ,  
სხვაც უშურველად გაგვეთბოს!


# ნარკვევი

## წიგნი მზითვებში

ბიძინა ნანობაშვილი

რედაქციაში ცოცხალი ხნის წინ შემოვიდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ ბიძინა ნანობაშვილის ეთნოგრაფიული ჩანაწერები, რომლებიც, ძირითადად, წარმოადგენს სხვადასხვა ადამიანების მონათხრობს. ავტორს ხელნაწერის სახით გამოსაცემად მოუშზადებია ისეთი მასალა, რომელიც ჯერ არსად არაა დაბეჭდილი, რითაც ის დიდ ინტერესს იწვევს. ძირითადად ნარკვევი ეხება საქორწილო რიტუალებს. მთლიანობაში წარმოდგენილი ტექსტი ჩვენი ჟურნალისთვის შესატყვისი არ არის, მაგრამ საინტერესოა ერთი ნაწყვეტი, რომელიც ქართველი ხალხის წიგნიერებას ნათლად გამოხატავს.

როგორც ცნობილია, მზითვებში წიგნის გატანება ურყევ ტრადიციად იყო ქცეული. ეს ამჟამადაც მკვიდრი ტრადიციაა ჩვენში. მკვლევარ ბიძინა ნანობაშვილს თავის ნაშრომში ერთი ადგილი აქვს დათმობილი, რომელიც გვსურს ჩვენს მკითხველებს გავაცნოთ. ვფიქრობთ, აქ რაიმე კომენტარი ზედმეტია.



ერთმა ვაჭირელმა დედაკაცმა მიამბო: „მამინე მზითვებში „ვეფხისტყაოსანი“ გამატანე, შვილო. ჩასმული იყო მაგარ ყდაში, რომელსაც გარედან შინდისფერი ხავერდი ჰქონდა გადაკრული, შიგნით - ფერადი აბრეშუმის ქსოვილი, ზემოდან კი - ოქროს ვარაყით დაფერილი ამოჭრილი ასოებით ეწერა: „ვეფხისტყაოსანი“. შიგნითაც თავსართი ასოები ვარაყის ასოებით იყო. ხელნაწერს გარშემო არშია მოხატული ჰქონდა. როცა ქორწილი მქონდა, პირველ ეტლში მე და ჩემი მეფე ვისხედით, მეორე ეტლში კი - სამზითვო ხალიჩაზე ესვენა ეს წიგნი. ოჯახში მისთვის სპეციალური მაგიდა გააკეთებინეს აბანოში ფიცრისა. სუფრად გადაფარებული ჰქონდა მწვანე ხავერდის ნაჭერი. იქვე იდგა

სკამი. წიგნთან იდო თეთრი ბატის ფრთა. ეს (მტვრის) გადასაწმენდად იყო. ზემოდან ევარაღებოდა.

ხალხში დაირხა ხმა: ის წიგნი ოქროსფერია, ფურცლებად აქვს ვერცხლის თხელი ფირფიტები. ნამდვილად, შვილო, წიგნის ყუბაზე მიკერებული იყო მალათის ლამაზად ნაქსოვი ყაითანი. ბოლოში ოქროსფოხიანი ფუნჯის ყურება ერთ რამედ ღირდა, მაგრამ ერთ დამეს, ზაფხულში, როცა ფანჯრები ღია იყო, წიგნი ვიღაცამ მოგვპარა. გუშინელ დღესავით მახსოვს, რომ თამადამ

„ვეფხისტყაოსნიდან“ რამდენიმე კუპლეტი თქვა, ჩემი დალოცვა კი დაამთავრა ჩემდამი მოძღვნილი ლექსით:

„მე ვაჭირელი ქალი ვარ - ელფერით მზისა დარი ვარ, შავი წარბ-წამწამ-თვალითა, მაყვლისა მასადარი ვარ. ჩემზე შაირებს მღერიან: მადრიან მზეს და მთვარესა, - რა დააბერებს ვაუკაცსა შენს მკლავზე მწლიარესა. მე ვაჭირელი ქალი ვარ, ყელ-ყურ გადამდის ნათელი, გულ-მკერდს მიმშვენებს მალათა, წელს - სადედოფლო სარტყელი.“

# საინტერესო დეტალი (ეთნოგრაფიული ჩანაწერებიდან)

ნიმუხი 63

თბილისში 1815 წლის 19 მარტს ქართველი კლასიკოსი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მისი მეუღლის - სალომე ორბელიანის ოჯახში დაიბადა გოგონა. მას სახელი მამამ შეურჩია, საკუთარი ნათლის - რუსეთის იმპერატორი ეკატერინას პატივისცემის ნიშნად. ეკატერინე ჭავჭავაძემ ბავშვობაში საფუძვლიანი დაწესებითი განათლება მამის ოჯახში მიიღო.




ალექსანდრე ჭავჭავაძე, როგორც გამორჩეულად განათლებული ადამიანი, განსწავლული იყო ისტორიაში, გეოგრაფიაში, სოფლის მეურნეობაში, ტექნიკურ და სამხედრო მეცნიერებებში. მშობლიურ ქართულთან ერთად, იგი რამდენიმე უცხო ენასაც ფლობდა, რამაც ალექსანდრეს საშუალება მისცა ეთარგმნა ეზოპეს, კორნელის, ვოლტერის, ლაფონტენის, ჰიუგოს, პუშკინის, ოდოევსკისა და სხვათა ნაწარმოებები. მუდმივმოქმედი ქართული თეატრის დაარსების იდეაც პირველად მის ოჯახში ჩაისახა.

XIX საუკუნის საქართველოში ეპოქალური ცვლილებების ხანა დაიწყო. ალექსანდრე ჭავჭავაძემ უდიდესი როლი შეასრულა ახალი ფასეულობების დამკვიდრებაში. მან წარმატებულად შეძლო ევროპული ცხოვრების წესის გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოში, რამაც მისი ოჯახის ცხოვრებაზეც მრავალმხრივი გავლენა იქონია. ალექსანდრემ დასავლეთში დამკვიდრებული სტილის მიხედვით დააპროექტა, ააშენა და მოაწყო წინანდლის საგვარეულო მამული და საკუთარი საცხოვრებელი სახლი თბილისში. ევროპელმა დიზაინერებმა დაგეგმეს ბაღები, რომლებიც უამრავი ეგზოტიკური მცენარით დაამშვენეს. განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით ცნობილი ჭავჭავაძეების ოჯახი და ალექსანდრე

დიუმას მიერ „ედემის ბაღად“ მოხსენიებული წინანდლის ბაღები არაერთ უცხოელ სტუმარს ხიბლავდა. ისინი წინანდალს „პოეტებისა და მწერლების ლიტერატურულ გულს“ უწოდებდნენ. მწერალი ალექსანდრე ფადეევის სიტყვებით: „ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი გამორჩეული იყო თბილისში, სადაც როგორც აღმოსავლეთიდან, ასევე დასავლეთიდან ჩამოსული სტუმრები ჭეშმარიტად ქართულ სტუმართმოყვარეობას ეზიარებოდნენ.“ ასეთ განსაკუთრებულ ოჯახურ გარემოში იზრდებოდნენ ალექსანდრეს შვილები – ეკატერინე, ნინო, დავით და სოფიო ჭავჭავაძეები.

ეკატერინე დაწესებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგში პრასკოვია ნიკოლაევნა არსენიევა-ახვერდოვას კერძო პანსიონში შეიყვანეს. სასწავლებელში შეხვდა იგი თავის მომავალ მეუღლეს, სამეგრელოს ტახტის მემკვიდრეს დავით ლევანის ძე დადიანის. ჯვრისწერა 1839 წლის 18 მაისს ჩატარდა ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში. ეკატერინე მუდამ პატივისცემით ეპყრობოდა და იცავდა დადიანების ოჯახისა და სამეგრელოს პრესტიჟს, ჯერ როგორც თავადი დადიანის მეუღლე და შემდგომ, როგორც დედოფალი. თავისი მდგომარეობა მან სამეგრელოს რეგიონში დასავლური ღირებულებების დანერგვას მოახმარა. ის დღენიადაგ ზრუნავდა მოსახლეობის განათლებასა და სამეგრელოს ტერიტორიის დაცვაზე. ეკატერინეს სახელთანაა დაკავშირებული ზუგდიდის სასახლის ბაღის დაპროექტება-გაშენებაც, რისთვისაც უცხოეთიდან მოიწვია მებაღეები და შემოატანინა ეგზოტიკური მცენარეები.

ეკატერინესა და დავითს ოთხი შვილი ჰყავდათ: ნიკო, ანდრია, სალომე და თამარი. 1853 წლის



ავგისტოში დავითი მაღარიით დაავადდა და გარდაიცვალა. იმ დროისათვის ეკატერინე 37 წლის იყო. დავითის მემკვიდრე, უფროსი ვაჟი ნიკო დადიანი საკმაოდ ახალგაზრდა გახლდათ და ეკატერინე გახდა სამეგრელოს მმართველი და დედოფალი. მან მთავარ მრჩეველად დანიშნა დავითის მეგობარი, პლატონ იოსელიანი. ეკა-



ტერინეს ხასიათის სიმტკიცე ოჯახისა და სამთავროს მიმართ ერთგულებაში ვლინდებოდა. დედოფალი აქტიურად მონაწილეობდა სამეგრელოს სამთავროს მართვა-გამგებლობაში და აგრძელებდა მეუღლის მიერ დასახული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური მიზნების აღსრულებას.

1853–1856 წლების ყირიმის ომის დროს სამეგრელოს დიდი ნაწილი ოსმალებმა დაიკავეს. ეკატერინემ სახალხო თავდაცვის ორგანიზება უზრუნველყო და პირადად უხელმძღვანელა მტრის რაზმებზე თავდასხმას, რომელიც ნოქალაქევის ციხე-სიმაგრესთან თურქეთის არმიის დამარცხებით დამთავრდა.

1856 წელს ეკატერინე დადიანი პეტერბურგში აღექსანდრე II მეფედ კურთხევაზე მიიწვიეს, სადაც „სტატს დამის“ წოდება მიანიჭეს და წმინდა გიორგის მედლით დააჯილდოვეს. ეს ფარული პოლიტიკური ხრიკი იყო, რაც მოგვიანებით გამჟღავნდა: 1857 წელს, რუსეთის ხელისუფლებამ სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მიზეზად მართვა-გამგებლობის უვარგისობა ჩათვალა და სამეგრელოს მმართველად გენერალი კოლუბაკინი დანიშნა. ეს, ფაქტობრივად, სამეგრელოს სამთავროს ავტონომიის გაუქმებას ნიშნავდა. ეკატერინე სანკტ-პეტერბურგში გაემგზავრა და ცარსკოე სელოში დასახლდა. იგი სამეგრელოში სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაბრუნდა, სადაც მისი ძირითადი საქმე დადიანების საგვარეულო ბიბლიოთეკაზე ზრუნვა და შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე თარგმნა გახლდათ. 1879–1882 წლებში ის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი იყო.

გვიანდელი პერიოდის ერთ-ერთ წერილში ეკატერინე აღნიშნავდა: „ბედნიერება მუდამ ხანმოკლეა. ადამიანი ხის ნაფოტია, იმ ხისა, რომელსაც ცხივრების ხეს ვუწოდებთ“.

ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდში დაცულია ხელნაწერი ლიტერატურულ-საღონური ალბომი, რომელიც ეკატერინე ჭავჭავაძის კუთვნილება იყო. ჭავჭავაძეების ოჯახის მსგავსად, ლეგენდარული სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდნენ დადიანებიც. ეკატერინეს ალბომმა ამ ორი არაჩვეულებრივი ოჯახის სურნელი, მათი ძვირფასი სტუმრების ჩანაწერები და ჩანახატები შემოგვინახა. ბევრი მათგანის სტუმრობის ფაქტსაც ეს ალბომი გვაძინებს.

ალბომი ჩასმულია ოქრომეღნით დაფარულ, ნატიფი ორნამენტებით დამშვენებულ, მუყაოს ტვიფრულ ყდაში. მისი ზედა და ქვედა ფრთა ერთნაირია. ფურცელთა შემონახვერიც ოქროვარაყინია. აკინძულია სხვადასხვა შეფერილობისა და ხარისხის ქაღალდის ფურცლებით. ლექსები დაწერილია ქართულ, რუსულ და პოლონურ ენებზე. ალბომი მოიცავს სავარაუდოდ სხვადასხვა პიროვნების მიერ მხედრული ანბანით, ძირითადად შავი ფერის მეღნით შესრულებულ 13 ხელნაწერ ფურცელსა და 17 ჩანახატს. ნახატები ფანქრით და წყლის ფერადი საღებავებითაა შესრულებული. ზოგი ნახატი ჩახატულია ალბომში, რამდენიმე კი ჩაკრულია.

ალბომმა შემოგვინახა ეკატერინესადმი მიძღვნილი საქართველოს უკანასკნელი მეფის ძის, თეიმურაზ ბატონიშვილის ლექსი მისივე ავტოგრაფით, ქართული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის აღექსანდრე ჭავჭავაძის ლექ-



სები, მათ შორის ფრანგულიდან ქართულად ნათარგმნი ვიქტორ ჰიუგოს ლექსის „მეფე რომ ვიყო“ პოემისვე ავტოგრაფით, გრიგოლ ორბელიანის ლექსები, ეკატერინესადმი მიძღვნილი ნიკოლოზ აგიაშვილის, რ. მიქელაძის და იბრაგიმ-ბეგის ხელით ჩაწერილი ლექსები. არაჩვეულებრივი განათლებისა და მოხდენილი გარეგნობის წყალობით, ეკატერინეს მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავდა. მის წინაშე ქედს ის-


რიდნენ ბრწყინვალე მდგომარეობისა და მომავლის მქონე ქართველი და უცხოელი ყმაწვილკაცები. ეკატერინეს მშვენიერებით მოხიბლულმა პოლონელმა პუბლიცისტმა და მწერალმა ვოიცეხ პოტოცკიმ ქალბატონს ლექსი მიუძღვნა. მასვე ეკუთვნის ოლავესკის ლექსის, „ვარდი და ბუღბუღის“ მისეული თარგმანის ჩანაწერიც.

საოჯახო ალბომი ბიბლიოთეკაში შემოსულია ნინო პორფირეს ასულ ბარათაშვილისაგან. მისივე გადმოცემით, ზოგიერთი ჩანახატი შესრულებული უნდა იყოს ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსი ქალიშვილის სოფიოს მიერ. ერთ-ერთ ნახატზე, რომელიც 1848 წლის 19 მარტითა დათარიღებული, სოფიოს ავტოგრაფია ფრანგულ ენაზე მიწერილი.

სამწუხაროდ, ეკატერინეს ალბომმა ვერ შემოგვინახა იმ პოეტის ჩანაწერი, რომელიც ჭავჭავაძის ასულისათვის განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო. ეკატერინე და ნიკოლოზ ბარათაშვილი ბავშვობის მეგობრები იყვნენ. 1839 წლის დამდეგს ტატოს მამიდაშვილმა, ალექსანდრე საგინაშვილმა ორბელიანის ასული შეერთო ცოლად. ამ წვეულებაზე ეკატერინესა და ნიკოლოზს თითქოს სხვა თვალთ შეუხედავთ ერთმანეთისთვის. ქალიშვილის „საყურის თამაშმა თითქოს ტატო სულის ლაბირინთებში შეიყვანა და იქ სამუდამოდ დატოვა“. ეკატერინე უკვე დანიშნული იყო. ის სადამო ბედისწერად ექცა ახალგაზრდა პოეტს. ეს სიყვარული თავიდანვე იღუმდალებით იყო მოცული. არც ტატოს და არც ეკატერინეს პირადი ბარათები არ დარჩენილა, რომლებიც ნათელს მოჰყენდა მათ სამიჯნურო ისტორიას. ჭავჭავაძის ასული ტატოს სულიერი სამყაროს სიღრმეში შეიჭრა და თავისებური ნიშანი დაამჩნია მის პოეტურ სტრიქონებს. მკვლევართა მოსაზრებით, ბარათაშვილმა ეკატერინეს მიუძღვნა ლექსები: „თავადის ჭ ძის ასულს ეკ ნას“, „საყურე“, „ნა ფორტეპიანოზე მომღერალი“, „როს ბედნიერ ვარ“, „ცისა ფერს“, „სატრფოვ, მახსოვს“, „სული ობოლი“, „ადმოხდა მნათი“, „არ უკიჟინო სატრფოლო“ და „ვპოვე ტაძარი“.

როგორც ჩანს, მთელი ცხოვრების განმავლობაში ეკატერინე გულით ატარებდა სათუთ გრძნობას ტატოს მიმართ და პოეტის შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში გადამწყვეტი როლი სწორედ მან შეასრულა: ჭავჭავაძის ასულს მუდამ თან დაჰქონდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერი რვეული, რომელიც პოეტს თავისი მუხისათვის უჩუქებია. ეკატერინემ ტატოს ლექსების კრებული ილია ჭავჭავაძეს წარუდგინა „ცარსკოე სელოში“ შეხვედრის დროს. ფაქტობრივად, ილიამ ბარათაშვილი მაშინ აღმოაჩინა. „ვერ წარმიდგენთ რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ ლექსმა ილიაზე. მთელი კვირა ბოდავდა ბარათაშვილით“ – მოგვიანებით იხსენებდა ილიას დისწული კოხტა აფხაზი.

ეკატერინესადმი ტატოს სიყვარული უსაზღვრო იყო. ამ სიყვარულის შესახებ მრავალი ლამაზი ლექსი და შექმნა. ერთ-ერთს „საკოცნელა



საქანელა“ შეარქვეს. ქართველი დიდგვაროვნების საყვარელი გასართობი ყოფილა ბორბლის ფორმის ჭიქებიანი „კარუსელი“, რომელზედაც ეკიდა სხვადასხვა ფერის წვეილ-წვეილი ღვინით სავსე ჭიქები. მოტრიალე ბორბალზე ახალგაზრდები ჭიქებს თვალდახუჭული ირჩევდნენ. წვეილს, რომელსაც ერთი ფერის ჭიქები შეხედებოდა, ერთმანეთისთვის უნდა ეკოცნათ. ერთ დღესაც თამაშში ჩაერთო ჭავჭავაძეების ოჯახში სტუმრად მისული ახალგაზრდა პოეტი. დატრიალდა ბორბალი და ბედმა გაუღიმა ტატოს. ეკატერინესა და ნიკოლოზს ხელში ერთნაირი ჭიქები ეჭირათ. ბედნიერებისაგან გაოგნებული პოეტი მხოლოდ სანატრელი ქალიშვილის საყურეს ხედავდა. თამაშის თანახმად, ახალგაზრდების კოცნა მხოლოდ თამაშში იყო და მას მუდამ სიცილ-კისკისი ახლდა. მაგრამ ამჯერად დუმილი ჩამოვარდა, ნიკოლოზი ეკატერინესაკენ დაიხარა... ეს იყო პოეტის პირველი და უკანასკნელი კოცნა. ეკატერინესათვის იმ დღიდან „საკოცნელა-საქანელა“ ძვირფას ნივთად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი მუდამ ოჯახისა და ქმრის ერთგული იყო, ეს სათამაშო მუდამ თან დაჰქონდა. სამეგრელოს მთავრინას გარდაცვალებისას საქანელა სასთუმალთან ჰქონია.

მოგვიანებით ერთ-ერთ წერილში ეკატერინე აღნიშნავდა: „ცხოვრება ღირს იმად, რომ იცხოვრო, რადგან სიყვარული ნამდვილად არსებობს. ცხოვრება და სიყვარული - ეს ორი უდიდესი ძალა განაგებს სამყაროს. ეს ძალები საზოგადოების ისტორიას წერენ; ეს ორი ფაქტორი ებრძვის სიკვდილსა და სიძულვილს. სიყვარული სიკეთის მამოძრავებელია, ხოლო სიძულვილი ბოროტებას ამოძრავებს. ცხოვრება ღამაზია, რადგან სიკეთე ამარცხებს ბოროტებას. სიყვარულის ნიჭი ყველაზე ღამაზი ნიჭია, რომელიც კი ღმერთმა შეიძლება უბოძოს ადამიანს“.

## ხორეკონდენციაზი

### ბიბლიოთეკა და ქალი

#### შენ რომ ტრიალებ, პატარა ქალი - ლილი ნუცუბიძე

მ. ივანიძე

2016 წლის 24 თებერვალი - ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ცარიელ ადგილს ვერ დაღანდავთ. დარბაზში საღონური სიტუაციაა, ღონისძიების ორგანიზატორი და წამყვანი ქალბატონი ნუნუ მსმენელებს აცნობს მკითხველთა კონფერენციის გეგმას (თემა: ბიბლიოთეკა და ქალი). აუდიტორია ქრონოლოგიურად ეცნობა 2015 წელს საბიბლიოთეკო ქსელში ჩატარებულ ღონისძიებებს.



დამსწრეთა შორის ბევრია ისეთი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ამ საქმიანობაში, თვითონ იყვნენ წარმატებული მკითხველები და სხვადასხვა ღონისძიების მონაწილენიც.

ქალბატონი ნუნუ სიურპრიზად უცხადებს მსმენელთ, რომ დღევანდელ დღეს - 24 თებერვალს დაემთხვა წიგნის ხმამაღალი კითხვის მსოფლიო დღე. რომელსაც მსოფლიოს ას ქვეყანას შორის წელს საქართველოც შეუერთდა. თემა ბიბლიოთეკა და ქალი - განვირცო იმ ფონზე, რომ პროფესიული განათლების მქონე და საბიბლიოთე-

კო ქსელის მომსახურეთა ას პროცენტს გოგონა და ქალბატონი შეადგენს, რომელნიც წარმატებით უძღვებიან დაკისრებულ მოვალეობას. და იმის გამოც, რომ ხვალ-ზეგ უკვე მარტის თვე (დედის და ქალის დღეები) დგება, საზოგადოებას ულოცავს ამ ღამეზე დღესასწაულებს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ : საბავშვო განყოფილების მკითხველი გოგო-ბიჭები რომელთაც ყველაზე „მეტად“ უყვართ დედა და წარმოადგინეს სცენა „სანამ დედა გყავს, ნუ გეშინია“. იმის გამოც, რომ წიგნის ხმამაღალი კითხვის დღეცაა, აუდიტორიას დედაზე წაუკითხეს ლექსები: მანანა ზედგინიძემ (გივიკო ნემსაძის ტექსტი), ელენე ნადიბაიძემ (საკუთარი), ნუნუ ბუჩუკურმა ( მერი მელიქიძის ტექსტი), ძმებმა დიაკონიძეებმა. ქალის თემას შეეხნენ: გიორგი ტივაძე, ოთარ ცინაძე, ბექა ზედგინიძე, გიორგი რობაქიძე, ლევან გიგაშვილი და ცირა საჭიძე. ბიბლიოთეკარებს მიესალმნენ და ლექსები მიუძღვნეს მოწინავე მკითხველებმა: ფიქრია გიგაშვილმა, დესიკო ივანოვმა და მარიამ ბერიძემ. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა

ფოლკლორულმა ანსამბლმა „წუნდამ“ .

კომპოზიცია „მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ“ წარმოადგინეს ბებია და შვილიშვილმა ნუნუ ბუჩუკურმა და მალხაზ ნადიბაიძემ.

დარბაზი დალოცა წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარმა მამა აკაკიმ.

ქალბატონმა ნინო ბერიძემ - საბიბლიოთეკო ქსელის დირექტორმა მადლობა გადაუხადა დამსწრე და მონაწილე აუდიტორიას, ილაპარაკა ამაწლის გეგმებზე და ამოცანებზე და იმედი გამოთქვა, რომ წდევანდელი წელი უკეთესი იქნება, ვიდრე გასული.

# თანამედროვეთა მოგონებანი

## ლუდოვიკო ჭანტურია - 100

ცაიხა ჭანტაიჩი

საიუბილეო კრებული მიეძღვნა ლუდოვიკო ჭანტურიას 100 წლისთავს. ვინც ამ მოგონებათა წიგნს გაეცნობა, დარწმუნდება, რომ მისთვის პედაგოგობა სწორედ რომ ბედისწერა იყო. მრავალმხრივად ნიჭიერ კაცს, საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ უბანზე შექმნილ წარმატებული მოღვაწეობა, მაგრამ მან ბოლომდე მასწავლებლობას უერთგულა.


წალენჯიხის რაიონში საგანმანათლებლო საქმის ცნობილი ორგანიზატორი, ერთ-ერთი გამორჩეული სკოლის სამაგალითო დირექტორი, ის, უპირველეს ყოვლისა, იყო პედაგოგი. ისტორიას ასწავლიდა მოზარდებს, როგორც თავისი საქმის დიდოსტატი მასწავლებელი, ის არა მარტო პროფესიის სიყვარულს უნერგავდა აღსაზრდელებს, არამედ, როგორც წიგნში აღნიშნავენ თავინთი ნამოწაფრები, ის ასწავლიდა მოზარდებს კაცობასა და მოქალაქეობას, ადამიანურობას ზრდიდა ახალგაზრდებში. ამიტომ ამ წიგნში ერთნაირი მაღლიერებითა და სიყვარულით იგონებენ მას სხვადასხვა პროფესიის ადამიანები.

მის მაღალ ხეობრივ მრწამსზე ღაღადებს ლუდოვიკო ჭანტურია ცხოვრების ერთი რიგითი ეპიზოდი, რომელიც წალენჯიხის რ-ის მასწავლებელთა კონფერენციაზე წარმოთქვა: „სკოლაში გაკვეთილზე, დირექტორი იქნება ის, თუ რიგითი მასწავლებელი, ისე უნდა შედიოდეს, როგორც ძველად შედიოდნენ ტაძარში და თითოეულ ბავშვს ისე უნდა უცქერდეს, როგორც ანგელოზებს“. 1974 წელს უთქვამს ეს, რასაც თავის მოგონებაში წალენჯიხის პარტ. რაიკომის იმდროინდელი პირველი მდივანი, დიდებული პიროვნება ბ-ნი გიორგი ნაჭყებია გვიდასტურებს. დარბაზში ამას დიდი ოვაციები მოჰყვა. რატომ? მართალი და გულწრფელი კაცი იყო და ამიტომ. სიმართლისა და გულწრფელობის წინაშე ყველა და ყველაფერი უძღურია. მქონდა ბედნიერება, რომ პირადად მეც დავსწრებოდი ამ კონფერენციას, როგორც მასწავლებელი. გამომიტყდებოდა და, მამაჩემის ზეგავლენით დავამთავრე ისტორიის ფაკულტეტი და დღესაც დიდი სიყვარულით ვემსახურები ახალგაზრდების აღზრდა-განათლების საქმეს.

ლუდოვიკო ჭანტურია არ დაჰკლებია მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლი, ბოლომდე იწვნია საზარელი ომის უბედურება. ომიდან დაბრუნების შემდეგ

შექმნა ოჯახი და ხელი მიჰყო პედაგოგიურ მოღვაწეობას. მან სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა თავის სამშობლოსა და თავის საყვარელ პროფესიას. ლუდოვიკო ჭანტურია იყო რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, შრომისა და ომის ვეტერანი.

ლუდოვიკო ჭანტურია დაიბადა 15-03-1915წ. გარდაიცვალა 30-08-1984წ. დაბადების 100 წლისთავი აღინიშნა მნიშვნელოვანი მოვლენით, მისი სახელი მიენიჭა ქ. ჯვარის 1 საჯარო სკოლას. დასასრულს მინდა ჩემი ძმის - ლადო ჭანტურია მადლობის წერილის ამონარიდით დავამთავრო: „ჩემს ბევრ გადაწყვეტილებას დღესაც მისი თვალებით ვუყურებ და შინაგანად მას ვეკითხები. რაც დრო გადის, უფრო ხშირად ვიხსენებ მის აზრებსა და შეფასებებს და ვრწმუნდები მათ სისწორეში. მასთვის



მისი ნათქვამი, ის ცოცხალი იქნება მანამ, სანამ მისი მასწავლებლები, ახლობლები და მეგობრები ვიხსენებენ. ამ წიგნის გამოცემით მამა გაცოცხლდა და თვალწინ დამიდგა მისი ცხოვრების მრავალი ეპიზოდი, რომელიც დიდხანს იცოცხლებს. დიდი მაღლიერების გრძობა მინდა გამოვხატო მშობლიური სკოლისათვის მამაჩემის სახელის მინიჭებისათვის, რაც მამაჩემის ღვაწლის აღიარებაა. ასევე დიდი მადლობა მოვახსენო ამ კრებულში წარმოდგენილ ყველა ავტორს, რედაქტორს პროფ. ბ-ნ ზურაბ ცუცქერიძეს, ლიტ. რედაქტორს პროფესორ ქ-ნ შუქია აფრიდონიძეს და საგამომცემლო ჯგუფს: გვანჯი მანიას, ზაურ ფიფიას, პაატა

ცხადაიას, ბექა ქანთარია და ლუარა ჭანტურია. ტექრედაქტორებს: კახაბერ რუსიძეს, რევაზ ჭანტურია და დავით კუტუბიძეს, რომლებმაც ადადგინეს და სტრიქონებად აქციეს ლუდოვიკო ჭანტურია საინტერესო ეპიზოდები.“

სიმართლითა და გულწრფელობით იცხოვრა ლუდოვიკომ და სიცოცხლე ფიზიკური არყოფნით არ დაუმთავრებია, იგი სიცოცხლეს განაგრძობს მისი ნამოქმედარის კეთილ ნაყოფში, რისი დასტურიც ეს ლამაზად გამოცემული წიგნია.

ამ წიგნის რედაქტორმა ბატონმა ზურაბ ცუცქერიძემ (პროფესორი, პედაგოგიკის მეც. დოქტორი) შესანიშნავი სტატია გამოსაქვეყნა გაზ. „სახალხო განათლების“ №12 (4516). სათაურით „რასაცა გასცემ შენია...“ ხოლო ამ კრებულს უწოდა „წიგნი – მარადიული ძეგლი“.

# ტრადიცია ბრძელდება

ლჩიხი ანიონაჩი

კერ კიდევ ბავშვი ვიყავი, ვიქნებოდი მესამე-მეოთხე კლასში, როდესაც თბილისის №21-ე ბიბლიოთეკაში დავიწყე დამოუკიდებლად სიარული. რა დამავეიწყებს ბიბლიოთეკის გამგის, ქალბატონ შურა ბაღდადლიშვილის, დედა შურას, სახეს, მის დედობრივ დამოკიდებულებას. ხშირად ის მირჩევდა იმ წიგნს, რაც საჭირო იყო იმხანად ჩემი ასაკისთვის. ამ ბიბლიოთეკაში ვეხიარე პირველად (და არაერთხელ) რობინზონ კრუსოს, აივენსოს, რობინ ჰუდის, ჰეკლბერი ფინის, გულივერის, ბიბია თომას, მიუნჰაუნზენის, დონ კისოტის, სანხო პანსასა და სხვათა უაღრესად ეგზოტიკურ თავგადასავლებს. ჩემი ოჯახის წევრებიც - დედაჩემი, ჩემი უფროსი და, ამ ბიბლიოთეკასთან იყვნენ წიგნიერებით დაკავშირებულნი.

ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. იქნებ არც კი დამიჯეროთ და, ჩემი ოთხმოცდაჩვიდმეტი წლის დედა, ჩემი ოთხმოცი წლის და, ისევე აქტიური მკითხველები არიან ამ ბიბლიოთეკაში. ჩემი ვაჟი, გიორგი, თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტი, ჩემი მეუღლე, ციცო არზიანი, ფილოლოგი, 70-იანი წლების დისიდენტი, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თანამოღვაწე, ყოფილი პოლიტპატიმარი. აგრეთვე რაიონის სხვა წარჩინებული ადამიანები. ქალბატონი ზეინაბ ზაქარიაშვილი, აღნიშნული ბიბლიოთეკის ამჟამინდელი გამგე, სხვა თანამშრომლები არც ჩვენ, არც არავის თავაზიანობასა და სიყვარულს არ აკლებენ, ვისაც ცოდნის შექმნა და გადრმაგება სწყურია. სწორედ, ქალბატონი ზეინაბის დამსახურე-



ბაა, რომ დღეს ეს ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს და თავის მწიგნობრულ ტრადიციებს აგრძელებს. მან თავისი თავდადებული მოღვაწეობითა და რუღუნებით ყველაფერი გააკეთა, - როცა 90-იან, 2000-იან წლებში რატომღაც წიგნსა და ბიბლიოთეკებზე კულტურაზე მიიტანეს სამარცხვინო იერიში, - რომ გადაერჩინა განადგურებისგან ბიბლიოთეკა. გადაარჩინა და ვისთვის?!

წიგნსა და ცოდნას გულმიპყრობილი ადამიანებისთვის, პაწაწინა მკითხველისთვის, მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის, პედაგოგებისთვის, ლიტერატორებისთვის, ხელოვნების მუშაკებისთვის, სასულიერო პირებისთვის, ზოგადად, ხალხისთვის.

ამას დაფასება სჭირდება. აღნიშნული ბიბლიოთეკა ერთადერთია მთელ ამხელა რაიონში. საიდან აღარ მოდიან აქ!

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კრწანისის რაიონი მრავალეროვანი რაიონია და ის ერთნაირი გულისხმიერებით ემსახურება როგორც ქართულ, ასევე რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვან მკითხველსაც. ამ მხრივ ეს ბიბლიოთეკა, მთელი ქალაქის მასშტაბით, სპეციფიკურ მისიასაც ასრულებს და ამიტომ ის განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

ჩემი, როგორც ერთი რიგითი მკითხველის თხოვნა იქნება, ვისაც ეს ხელგეწიფებათ, მეტი გულისხმიერებით მოვეკიდოთ აღნიშნულ ბიბლიოთეკას, როგორც კრწანისის რაიონში ერთ-ერთ თვალსაჩინო კულტურულ-განმანათლებლურ და სულიერ კერას.

## შეხვედრა პოეტთან

6. თაყნიაშვილი  
6. ანაზინაშვილი  
6. ჯაფარიძე

კოეზიის სადამო, რომელიც 2015 წლის 20 ნოემბერს ჩატარდა №70 საჯარო სკოლაში, მიეძღვნა ამავე სკოლის ხელოვნების მასწავლებლის, ავთანდილ ივანიძის პოეტურ შემოქმედებას. მის ლექსებს კითხულობდნენ მოსწავლეები, მოწვეული პოეტები; ავ. ივანიძის ლექსებზე შექმნილ სიმღერებს მღეროდნენ პატარები (მუსიკა ეკუთვნის ამავე სკოლის მუსიკის მასწავლებელს, ფოთოლა ნონიაშვილს). ა. ივანიძე არა მარტო პედაგოგი და შესანიშნავი პოეტი, არამედ შესანიშნავი მხატვარიც. ეკრანზე აჩვენეს მის მიერ შესრულებული ნახატების რეპროდუქციები, რომლებიც ამშვენებს სკოლის ყოველ სართულსა და ხელოვნების კაბინეტს.

სტუმრად მოწვეული იყვნენ ავ. ივანიძის მეგობრები: პოეტი და მსახიობი ელდინო სადარაძე, პოეტი, ჟურნალისტთა კავშირის გენერალური მდივანი მარინა თექთუამანიძე, პოეტები დალი მაზმიშვილი და რამაზ ბერაძე. მათ გულწრფელად ისაუბრეს ბატონი ავთანდილის შემოქმედებაზე, მისი ლექსის მხატვრულობასა და მელოდიურობაზე; წაიკითხეს ავ. ივანიძის შემოქმედებიდან ნაწარმოებები.

ეს შესანიშნავი სადამო გახსნა სკოლის ისტორიის მასწავლებელმა ლალი ჯაყელმა, რომელმაც შთამბეჭდავად დაახასიათა როგორც ავ. ივანიძე (თვით პიროვნება), ისე მისი მაღალმხატვრული გულშიამწველომი ლექსები.

პოეზიის სადამოს ორგანიზატორები იყვნენ №70 სკოლის მუსიკის მასწავლებელი ფოთოლა ნონიაშვილი, ხელოვნების მასწავლებელი ნანა პირტახია და ისტორიის მასწავლებელი ლალი ჯაყელი.

ლონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებას ხელი შეუწყო სკოლის ხელმძღვანელების: ბატონ ვალერიან გიორგაძისა და მისი მოადგილის, ნინო გოგსაძის მხარდაჭერამ და გულისხმიერმა დამოკიდებულებამ პედაგოგთა გადაწყვეტილების სათანადოდ განხორციელებისათვის.

ლონისძიებას საკმაოდ მრავალრიცხოვანი აუდიტორია დაესწრო: მოსწავლეებთან ერთად, აქ იყვნენ მათი მშობლები, პედაგოგები, მოწვეული სტუმრები.

ეს საიუბილეო სადამოც იყო, ავთანდილი ამ დღეს 69 წლის შესრულდა; იგი ჯერაც მხნე და ახალგაზრდაა; დემოთმა დიდხანს აცოცხლოს და არ ჩაუქროს ის შემოქმედებითი ცეცხლი, რომელიც უფაღმა უხვად უბოძა.

ინფორმაცია

მხარის კვლევა-ძიების შედეგი

აქესანდია ოშია

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის „ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და დაცვა“ კვლავ განაგრძობს გურიის მხარის არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების დამუშავებასა და განხილვას. სწორედ ამ ნიშნითაა გამორჩეული სამეცნიერო კრებულის „გურიის“ შემდეგი ნაკვეთის გამოქვეყნება, რომელიც მიმდინარე წელს განხორციელდა. (გურია: მხარის კვლევა-ძიების შედეგები - VI; საიუბილეო გამოცემა; კრებული ეძღვნება გურიის სამთავროს დაარსების 525 წლისთავს. - თბ., 2016. - 264გვ).

აღნიშნული სერიის რედაქტორია აკად. ნანა საღარაძე, ხოლო ტომისა - ისტ. მეცნ. დოქტორი ვაჟა სადრაძე და ისტ. დოქტ. მერაბ ძნელაძე. ნაშრომი მომზადდა „ქართული ტაძარ-მონასტრების აღმშენებლობისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის“ ხელმძღვანელობით (ფონდის პრეზიდენტი დოქტ. მ. ძნელაძე).

კრებული „გურია - VI“ ასახავს გურიის მხარეში 2008-2010 წლებში ჩატარებული კომპლექსური კვლევა-ძიების შედეგებს.

კრებულს წამძვარებული აქვს წინასიტყვაობა, რომელშიც განხილულია ახალმშენებლობებისა და დაზვერვების პროცესში შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლები.

პირველ ნაწილში ქვეყნდება ბოლო წლებში ჩატარებული სტაციონარული გათხრების შესახებ არსებული სტატიები; მეორე ნაწილი ეძღვნება საარქივო მასალების პუბლიკაციას; მესამე წარმოადგენს საცნობარო ნაწილს, რომელიც, ფაქტობრივად, არის არასრული ნუსხა - ჩამონათვალი გურიის მხარის ძეგლებისა; მეოთხე ნაწილი - ეს „თეთრიული საკითხებია“, რომლებიც ეხება კოლხეთისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგებს.

კრებულში წარმოდგენილია როგორც ნაცადი პროფესიონალების, ისე ახალგაზრდა სპეციალისტების ნაშრომები: ვაჟა სადრაძე, მერაბ ძნელაძე, ელგუჯა დლიდვაშვილი, პაატა კაჭარავა, ლევან ლაცაბიძე, ზურაბ გიორგაძე, თამარ სადრაძე, ლერი ჯიბლაძე, თამარ ხოხობაშვილი, ბადრი ცხადაძე, მანანა ლომაძე, გოგა ტრაპაიძე, ნათია კალანდაძე, დავით ხურციძე, ფრიდონ სიხარულიძე, კახა კახიანი, გელა გამყრელიძე, ნათელა ჯაბუა, კახი წერეთელი, მალხაზ ცინდელიანი. ერთ ნაწილს სტატიები შესრულებული აქვს თა-

ნაავტორობით. ბევრი მათგანი არა ერთი, არამედ რამდენიმე სტატიის ავტორია.

ყოველ ცალკეულ ნაშრომს დართული აქვს რეზიუმე ინგლისურსა და რუსულ ენებზე. კვლევათა ბოლოს მოცემულია სარედაქციო კოლეგიის საიუბილეო წერილი: „პროფესორი გელა გამყრელიძე - 65“, აგრეთვე ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“ გამოქვეყნებული აღ. ლორიას რეცენზიები, რომლებიც ხსენებული სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მიერ ადრე გამოქვეყნებულ წიგნებს ეხება.



საქართველოს ბიბლიოთეკის  
საპროფესიო ცენტრი, უნივერსიტეტთან  
არსებული სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი  
„ქართული კულტურული მემკვიდრეობის  
შესწავლა და დაცვა“  
  
**გ უ რ ი ა**  
მხარის კვლევა-ძიების შედეგები  
საიუბილეო გამოცემა  
  
VI  
კომპლექსური კვლევა-ძიების შედეგები  
დაარსების 525 წლისთავს  
  
თბილისი  
2016

წიგნს ახლავს შესაბამისი ტაბულები და ფოტომასალა.

დასახელებული კრებული კარგი შენაძენია პროფესიონალებს და მომთხრობებს დარგების სპეციალისტებისთვის, აგრეთვე ის ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველებისთვისაც დიდი ინტერესით იქნება მოთხოვნილი. მას შეუძლია ერთგვარი დახმარება აღმოუჩინოს დასავლეთ საქართველოს რეგიონის მუნიციპალურ საჯარო და სასკოლო ბიბლიოთეკებს მხარეთმცოდნეობითი მუშაობის ორგანიზაციის დროს.

სხვათა შორის, იმავე ცენტრის მიერ ამავე წელს გამოქვეყნდა წიგნი: სადრაძე ვ., ჯიბლაძე ლ., ძნელაძე მ., დლიდვაშვილი ე. - ცხენი და მეცხენეობა პრეისტორიული ხანის საქართველოში: (არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების მიხედვით). - თბ., 2015. - 144 გვ. დართული აქვს ისტორიულ-ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული მიმოხილვები, დაკვირვებები. გამოკვლევების შედეგად მიღებული დასკვნები უაღრესად საინტერესოს ხდის ამ გამოცემას, რაც მრავალგვარ საშუალებას იძლევა ბიბლიოთეკების მიერ მხარეთმცოდნეობითი მუშაობის გააქტიურებისათვის.

## პროფესიული ახალი წიგნების პრეზენტაცია

ო. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში არსებულ ქართული ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2016 წლის იანვარში გაიმართა ამ ცენტრში გამოსაცემად მომზადებული 6 გამოქვეყნებული ნაშრომის პრეზენტაცია: კრებული „ქართ-

ლევები, როცა მთელი რიგი ტერიტორიებისა ოკუპირებულია და სეპარატისტთა მიერ ინტენსიურად ხდება თვითნებურად გეოგრაფიული აღგილების სახელწოდებების ცვლა, აგრეთვე იმას, რომ ჩვენი საჯარო ბიბლიოთეკებისათვის მხარეთმცოდნეობითი მუშაობა ყოველთვის იყო და არის აქტუალური, მკითხველებს ვთავაზობთ პრეზენტაციაზე წარმოდგენილი წიგნების ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას. ვფიქრობთ, ეს საყურადღებო იქნება საზოგადოების ფართო ფენებისათვის.



### მრავალმხრივ საინტერესო და საჭირო წყარო


გასულ წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ონომასტიკის ცენტრის მიერ გამოქვეყნდა პაატა ცხადაიას წიგნი „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი“ (300 გვერდი). როგორც ცნობილია, ავტორს 2004-2013 წლებში გამოცემული აქვს სამეგრელოს 7 რაიონის გეოგრაფიულ სახელწოდებათა 8 ლექსიკონი. პირველი იყო სწორედ წალენჯიხის რაიონის ტოპონომია, რომელშიც შევიდა ადრინდელ წლებში სავსე მუშაობის გზით მოპოვებული მასალის ძირითადი ნაწილი. მას შემდეგ ბევრი საკვლევო მასალა დაგროვდა, რაც ახალ გამოცემაში იქნა გათვალისწინებული. იგი შეიცავს თითქმის ნახევარი საუკუნის წინ მოპოვებულ მთელ მასალას.

ველური ონომასტიკა: VII“; ქ. გოდერძიშვილის „ცხინვალის რეგიონის გეოგრაფიული სახელეუბნი“; თ. ცხადაიას „კავთისხევის ონომასტიკური მასალა“; გ. ქიტოშვილის „კავთისხევისა და ჯიშის ონომასტიკური მასალა“; დ. ქიტუაშვილის „ნიჩვისის ხეობის ონომასტიკონი“; პ. ცხადაიას „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი (შევსებული გამოცემა)“.

შესავალში პროფ. პ. ცხადაიამ მოკლედ ილაპარაკა ხსენებული ცენტრის წარსულის, დღევანდელი ვითარებისა და პერსპექტივების შესახებ. წიგნების ავტორებმა მოკლედ წარმოადგინეს თავიანთი წიგნები და აღნიშნეს, როგორ პირობებში იქმნებოდა ისინი, რას წარმოადგენს მათი ნაშრომები, რითი არიან გამორჩეული და რა მეცნიერულ ღირებულებას ქმნიან, რითი უნდა იყვნენ საინტერესო ფართო საზოგადოებისთვის.

სიტყვით გამოვიდნენ პროფესორები: ზ. ჭუმბურიძე, მ. ჩუხუა, შ. აფრიდონიძე, ნ. პერტიევი, რ. ქურდაძე, კ. ხარაძე, დოქტ. ი. კეკელია. პრეზენტაციას უძღვებოდნენ პრორექტორი პროფ. დ. თვალთვაძე და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი პროფ. ნ. გაფრინდაშვილი. წიგნების წარდგენას ფართო საზოგადოება ესწრებოდა.

ვლელბობით რა მხედველობაში, რაოდენ აქტუალურია დღეს ონომასტიკური ძიება-გამოკვ-



გამოცემაში გათვალისწინებულია ის, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტოპონომია, როგორც მოსალოდნელი იყო, უმეტესად მეგრულენოვანია, მაგრამ გვხვდება როგორც სვანური სუბსტრატი (ლასქვერა, ლაღვაშია, ლაყორია, ლაშქერდა, ლაჩახვა, ლახუნწარა, მუხალა და სხვ.), ისე აფხაზურიდან ნასესხები ლექსემებით სახელდებული ობიექტები (აფთარა, აშთა, ახკა-

რა...), აგრეთვე რუსული ან რუსულიდან შეთვისებული ლექსებით წარმოდგენილი ტოპონიმები (აბრონა, ორანჟუა...).

„წაღენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი“ მრავალმხრივ საინტერესო და საჭირო წყაროა როგორც ხალხის წარსულის, ისე თანამედროვეობის ყოველმხრივი ანალიზისთვის.

წიგნი დაბეჭდილია მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დიდი ფორმატით.

**ხაოზის ონომასტიკური კვლევა**


ონომასტიკის დარგში კიდევ ერთი ახალი საინტერესო წიგნი გამოქვეყნდა - დ. ქიტუაშვილი. ნიჩბისის ხეობის ონომასტიკონი. - თბ., 2015. – (150 გვ). ნაშრომში თავმოყრილია ოთხი სოფლის - სასხორის, ნიჩბისის, ახალი ნიჩბისისა და ზემო ნიჩბისის ონომასტიკური მასალა. ახსნილია მათი მოტივაცია; ადრეული



გამოცემისგან განსხვავებით, ახალი გამოცემა ითვალისწინებს როგორც წინა გამოცემის კონსტრუქციას, ისე ავსებს მას უფრო ფართო ონომასტიკური კვლევის შედეგებით. ამიტომაცაა აქ დაფიქსირებული ხეობაში მცხოვრებთა გვარები და მათი წარმოშობის მოკლე ისტორია. განხილულია ჯგუფური და ინდივიდუალური მეტსახელები. ყოველმხრივ ჩანს, რაოდენ დიდი, სოლიდარული შრომაა ამ ნაშრომის შექმნაში ჩადებული.

**ონომასტიკური მასალის დინამიური ბავრცობა**


ქართული ონომასტიკის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მხარდაჭერით გამოქვეყნდა მეტად მნიშვნელოვანი ონომასტიკური ნაშრომი: თ. ცხადაია. კავთისხევის ონომასტიკური მასალა. - თბ., 2015. – (300 გვ.). ადრე კავთისხევის თემში შემავალი სოფლების ტოპონიმები არაერთი მკვლევარისგან იქნა შეკრებილი და შესწავლილი (ვ. მადრაძე, რ. ძნელაძე, ს. მელიქიძე, ქ. გოდერძიშვილი, გ. ქსოველი). როგორც ხსენებული წიგნის ავტორმა აღნიშნა პრეზენტაციაზე,



დასახელებულ მეცნიერთა მიერ მოპოვებული მასალა მან ახალი ინფორმაციებით შეავსო. თითოეულ დასახელებასთან მითითებულია ზუსტი ლოკალიზაცია, უმეტეს შემთხვევაში - სახელდების მოტივაცია. ნებისმიერი ახსნა დაფუძნებულია სარწმუნო თუ სავარაუდო, ან ხალხურ ეტიმოლოგიაზე. ეს შევსებული ნაშრომი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მას ახლავს როგორც მთელი კავთისხევის, ისე მისი რამდენიმე სოფლის რუკები, გასცდა ტოპონიმის ფარგლებს - ჩაწერილია ანთროპონიმები (გვარები, მათი წარმომავლობა, ჯგუფური, საოჯახო და ინდივიდუალური მეტსახელები და მათი მნიშვნელობები). წიგნში რესპოდენტთა ცნობებსა და სამეცნიერო წყაროებზე დაყრდნობით, განხილულია კავთისხევი გავრცელებული 60-მდე გვარი და 80-მდე ინდივიდუალური მეტსახელი. გვარების სრული ჩამონათვალი და კომლთა რაოდენობა სოფლების მიხედვით ცხრილებად ერთვის ნაშრომს.

**ფართო ონომასტიკური კვლევის შედეგი**

გასულ წელს თსუ ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ გამოიცა მორიგი პროფესიული კრებული - ქართველური ონომასტიკა: VII. – თბ.: „უნივერსალი“, 2015. – 511 გვ. ამ კრებულით გამოიხატა არა მარტო შესატყვისი დარგის კვლევის უფართოესი მასშტაბები, არამედ მისით პატი-



ვი მიაგეს აწ გარდაცვლილ თანამშრომლებს, რაც ოფიციალურადაა გაცხადებული საწყის გვერდზე.

კრებულს წამდვარებული აქვს წინასიტყვაობა რედაქციისგან და ავტორთა გვარის ანბანის მიხედვით გაწყობილი ცალკეულ მკვლევართა ნაშრომები. ცალკე არის გამოსოფილი რეცენზიები და სტუდენტთა ონომასტიკური ძიებანი.

მე-7 ნაკვეთის რედაქტორია პროფ. პაატა ცხადია.

ერთგვარ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ტექსტის წინა ნაწილი დათმობილი აქვს რუბრიკას - „მოვლენები“, რომლის ფურცლებზე მოცემულია უკვე წასული კოლეგების ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალა, გამოხატულია ავტორების გრძნობები და ფიქრები ამ ადამიანებზე. მთლიანად კრებულში 43 ავტორის 45 ნაშრომია წარმოდგენილი, რაც მეტყველებს კრებულის მასშტაბურობას. ისიცაა აღსანიშნავი, რომ მასში მასალა შეკრებილია თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით და მეტად მდიდარ კვლევის შედეგებს იძლევა.

მკითხველები კრებულში უეჭველად მეტად საინტერესო, საყურადღებო და აქტუალურ საკითხებს გაეცნობიან, როგორც მეცნიერულ, ისე - ზოგადსაგანმანათლებლო თვალსაზრისით.

### გეოგრაფიული სახელები - ისტორიული ფაქტი


გეოგრაფიული სახელების კვლევა ყოველთვის მნიშვნელოვანი ფაქტი იყო და არის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მოვლენების დასაბუთებისას. ამიტომ ამ დარგში, ტოპონიმოკაში, ყოველგვარ გამოკვლევას დიდი ფასი აქვს. მით უფრო, თუ ამ ტიპის კვლევა დღეს ოკუპირებულ ტერიტორიას ეხება, მას პოლიტიკურ-ინფორმაციული დატვირთვაც აქვს. სწორედ ამ კუთხითაც არის ღირსშესანიშნავი ქეთევან გოდერძიშვილის ნაშრომის - „ცხინვალის რეგიონის გეოგრაფიული სახელების“ - გამოქვეყნება გამომცემლობა „უნივერსალის“ მიერ გასული წლის (2015) ბოლოს. წიგნი, რომელიც 249 გვერდს შეიცავს, მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართველური ონომასტიკის კვლევით ცენტრში.

ავტორი სამჯერ იყო მივლინებული ცხინვალის რეგიონში (1984-1985-1986 წლებში) ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების, აგრეთვე საეკლესიო-საკულტო სახელების ჩასაწერად. შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო ვერ მოხერხდა ტოპონიმთა შემდგომი მოპოვება, მაგრამ მასალა, რომლის შეგროვებაც მოესწრო და დღეს ლექსიკონის სახით გამოქვეყნდა, მრავლისმეტყველია. როგორც ნაშრომის ერთ-ერთ

თი რეცენზენტი, პროფ. ნაირა ბეპიევა წერს, ამ ნაშრომით „ნათელი მოეფინება მრავალ მნიშვნელოვან საკითხს“.

წიგნი სტრუქტურულად 8 ნაწილად იყოფა: 1) მოკლე ისტორიული ექსკურსი, რომელშიც კომპაქტურად და საინტერესოადაა ასახული ქართველთა და ოსთა ისტორიული ურთიერთობა, დაბოლოს, ოსების მიგრაცია ქართლში; 2) ცხინვალის რეგიონის ტოპონიმთა ერთი ჯგუფის ლინგვისტურ-ლექსიკური ანალიზი; 3) ლექსიკონის სტრუქტურასთან და მის გამოყენებასთან დაკავშირებული ორიოდე საკითხი; 4) ცხინვალის რეგიონის გეოგრაფიული სახელები - ლექსიკონი - რომელიც ამ წიგნის ძირითადი ნაწილია. ერთვის გამოყენებული ლიტერატურაც; 5) რთულ ტოპონიმთა ერთი ჯგუფის მართლწერისთვის. როგორც თავად ავტორმა განაცხადა პრეზენტაციაზე, ესაა ახალი კრიტერიუმი ამ კონკრეტულ საკითხში; 6) რეცენზიები; 7) ბოლოსიტყვაობა; 8) რეზიუმე (რუსულ ენაზე). როგორც ვხედავთ, დასახელებული წიგნი სრულყოფილადაა შედგენილი, მკითხველს ნათელი წარმოდგენა რომ შეექმნას მის შესახებ და საფუძვლიანად აითვისოს წარმოდგენილი მასალა.

როგორც ავტორიზებულ ანოტაციაშია ნათქვამი, რეგიონის რულად აღწერის პრეტენზია არც მაშინ იქნებოდა, მას კიდევ რომ შექმნილია აღნიშნული რეგიონის შემოვლა. 3400-ზე მეტი ერთეულიდან ჭარბობს ქართულენოვანი დასახელებები. ეს ამ მხარის ქართული სივრცის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია. „ბუნებრივიცაა. ცხინვალის რეგიონი შიდაქართლის, შეიძლება ითქვას, „საქართველოს გულის“ ნაწილია“. აქვე ისიცაა აღნიშნული,



რომ ტოპონიმები ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული ოსების ქართლში დამკვიდრებაზეც მეტყველებენ.

წიგნის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს მისი გამომცემის პროცესში მაღალ პროფესიონალ სპეციალისტთა მონაწილეობა. რეცენზენტები არიან: პროფ. რ. თოფჩიშვილი, პროფ. ნ. ოთინაშვილი, დოქტ. ი. კეკელია; რე-

დაქტორები: აკად. ა. არაბული, პროფ. ნ. ბეპიევა (მთ. რედაქტორი), პროფ. პ. ცხადაია.

ჩვენი საზოგადოებისთვის ეს ნაშრომი უდავოდ საყურადღებო გამოცემაა. როგორც ცნობილია, ოკუპირებული სამხაბლოს სეპარატისტები, ყოველმხრივ ცდილობენ (ისევე როგორც აფხაზები) გააუკუღმართონ ისტორია, მიჩქმალონ ქართული დასახელებანი, შეცვალონ ისინი თავიანთით, რათა ამით შექმნან ილუზია, რომ ეს მხარე თითქოს თავდაპირველადვე ოსების დიასპორას ეკუთვნოდა (ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ სეპარატისტებზე და არა, ზოგადად, ოს ხალხზე). ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ჭეშმარიტების დაცვის თვალსაზრისით, ქ. გოდერძიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი, შეიძლება ითქვას, ურყევად დგას ქართული სიტყვისა და სივრცის სადარაჯოზე. ამდენად იგი მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ქართული ტოპონიმიკის ისტორიაში.


ქეთევან გოდერძიშვილი ამჯამად ჩვენში ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარია ონომასტიკის დარგში. ამ დარგის სრულყოფილად ჩამოყალიბება დაკავშირებულია მკვლევართან: ალექსანდრე ღლონტთან, ზურაბ ჭუმბურიძესა და ილია მაისურაძესთან. ალ. ღლონტმა – ცნობილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ – მრავალი სტუდენტი გამააწრთო და გზა გაუკაფა მეცნიერებაში. მათ შორის გამორჩეულია, სწორედ, ქეთევან გოდერძიშვილი. მას ბედმა არგუნა, გამხდარიყო პროფ. ალ. ღლონტის ოჯახის წევრი. რითაც საშუალება მიეცა, უფრო მეტად დაოსტატებულიყო სამეცნიერო სარბიელზე. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ის მუშაობას იწყებს თსუ ახალი ქართული ენი კათედრასთან არსებული ტოპონიმიკის ლაბორატორიის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. აქედან იწყება მისი მეცნიერული კარიერა, ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა, რისი შედეგიცაა მისი უმნიშვნელოვანესი მონოგრაფია „ქართველური ანთროპონიმიკის ძირითადი საკითხები“, რომლის ბადალი ონომასტიკის ამ დარგში არც მოგვეპოვება“ (პროფ. პაატა ცხადაია, გვ. 241). ხოლო პრეზენტაციაზე მისმა გამოსვლამ წიგნზე „ცხინვალის რეგიონის საკუთარი სახელები“ ფართო სამეცნიერო აუდიტორიის აპლადისმენტებიც გამოიწვია. როგორ თავად აღნიშნა, ქალბატონმა ქეთევანმა, უახლოეს მომავალში აპირებს მეორე სახღვრისპირა ტერიტორიის, ლაგოდეხის რაიონის, ტოპონიმა ლექსიკონის გამოცემას.

**ახალი მონოგრაფია  
ონომასტიკის დარგში**

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო კვლე-

ვითი ცენტრი დიდად ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევა. გასულ წელს არაერთი მონოგრაფიული ნაშრომი იქნა გამოქვეყნებული. მათ შორისაა აგრეთვე შეიძლება დავასახელოთ ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარის, გიორგი ქიტოშვილის წიგნი „კატრეთისა და ჯიმიოთის ონომასტიკური მასალა“ (თბ. გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015. – 92 გვ.), რედაქტორია პროფესორი პაატა ცხადაძე.

დასახელებულ გამოცემაში წარმოდგენილია გურჯაანის მუნიციპალიტეტის კატრეთისა და ჯიმიოთის ადმინისტრაციული დასახლების სოფლების ონომასტიკური მასალა. რამდენიმე ქვეთავად დაყოფილ გამოკვლევაში განხილულია ოთხი სოფლის ტოპონიმიური საკითხები. ანოტაცია გვამცნობს, რომ წიგნში შესულია, როგორც პროფ. უშანგი სახლთხუციშვილის მიერ შეკრებილი, ისე ავტორის მიერ შევსებული და დაზუსტებული მასალა.



დიდ ინტერესს იწვევს მოხსენებულ სოფლებში მცხოვრებთა გვარებისა და შტოგვარების დასახელება, აგრეთვე მათი წარმომავლობის და ადრეული საცხოვრისის შესახებ მოცემული ცნობები. გარდა ამისა, გამოცემაში წარმოდგენილია დასახელებულ სოფლებში ჩაწერილი ანთროპონიმი (მეტსახელები) და ზონიმი. მოცემულია მათი ჩამონათვალი და ახსნილია სახელებების მოტივაცია.

ამგვარი ნაშრომების გამოცემა მნიშვნელოვანია არამარტო მეცნიერული თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკური თუ გეოგრაფიული თვალსაზრისითაც. ის საინტერესოა ფართო საზოგადოებისთვისაც, რისთვისაც ატიურად იღწვის ონომასტიკის ცენტრი, რომლის ყოველი გამოცემა უადრესად დიდ მნიშვნელობას იძენს.

ავტორი წინასიტყვაობაში აცხადებს, „რომ გამოცემა არ არის სრულყოფილი, შესაბამისად, სიამოვნებით გავითვალისწინებ არგუმენტირებულ შენიშვნებსა და წინადადებებს“.

## ბრემენის მუსიკალური ფესტივალი 2015 (II ნაწილი) როსინის „კონკია“

ლევან ბიბინაიშვილი

ბრემენის მუსიკალურ ფესტივალზე, გარდა მრავალჟანრიან კონცერტებისა, იდგმება აგრეთვე სრული ოპერაც. 2015 წელს ფესტივალის ორგანიზატორებმა ორი სპექტაკლი ჩასვეს პროგრამაში: მოცარტის - „მოტაცება სერალიდან“ და როსინის - „კონკია/La Cenerentola“. ეს უკანასკნელი ფესტივალის ბოლო დღეს (19 სექტემბერი) უნდა გამართულიყო და რამაც მეტად მიიპყრო ჩემი ყურადღება – წარმოდგენას დირიჟორობდა ბაროკო მუსიკის აღიარებული მანერა ფაბიო ბიონდი თავის ძველებური საკრავების ორკესტრთან „L Europa Galante“. ბიონდის თან მოჰყავდა იტალიელი ვოკალისტები და სახელგანთქმული ვივიკა ჟენო რომელსაც მთავარი პარტია უნდა ემღერა. დასი მხოლოდ ფესტივალის დასკვნით საღამოზე მონაწილეობდა შესაბამისი საკონცერტო ნაწარმოებების შესრულებით.

ეს იყო ბაროკო მუსიკის სპეციალისტის „შეჭრა“ ბელ კანტოში, რაც ძალზე იშვიათი მოვლენაა, მხოლოდ უკანასკნელ წლებში იტალიელმა დირიჟორებმა (ა.დ.ე მარკი, ჯ.ანტონინი) მიიღეს ეს გამოწვევა, მაშინ, როდესაც ბელის ოპერები შეასრულეს სცენაზე. ამდენად, ორმაგი ინტერესით გავეშურე სპექტაკლზე – ნეტავ როგორ აქედრებოდა ბაროკოს შემსრულებლის ხელში როსინის ოპერა და ასევე მინდოდა მომესმინა ჟენო ანჯელინას პარტიაში.

სპექტაკლი ბრემენის „ხარ“-ში (Die Glocke) ტარდებოდა და ამიტომაც დიდ კამერულ დარბაზში ორკესტრი სცენაზევე მოეწყო, მათ უკან კი გუნდი განლაგდა. ბიონდი ნამდვილ ფალადებიან ფრაკში და ვიოლინოთი ხელში საგანგებოდ დადგმულ საფეხურზე ავიდა, საიდანაც იგი ორკესტრს ხელმძღვანელობდა. მის მარჯვნივ კი ერთ მწკრივში მთავარი სოლისტები მოთავსდნენ. ორკესტრი არ იყო მცირერიცხოვანი – 12 ვიოლინო, ორი ალტი, ორი ჩელო და ორი კონტრაბასი წარმოადგენდა სიმებიანთა მთავარ ჯგუფს. უჩვეულო იყო ძველებური მანდოლინა და კლავინოებო, რომლებიც ორკესტრს განსხვავებულ ჟღერადობას აძლევდნენ. უვერტიურა შედარებით ნელ ტემპში შესრულდა ფინალში სასულე ინსტრუმენტების მკვეთრი აქცენტით.

პირველი აქტი მოკლე ინტროდუქციით იწყება, რომელშიც მონაწილეობენ დონ მანიფიკოს ქა-

ლიშვილები კლორინდა (სოპრანო დამიანა მიცი და ტისბე (მეცო-სოპრანო ადრიანა დი პაოლა) და „კონკია“ ანჯელინა. ამ დროს, კარზე მომდგარ უცნობ მათხოვარს (სინამდვილეში - პრინც რამიროს დამრიგებელ ალიდოროს (ბარიტონი რენატო დოლჩინი ანჯელინა თავშესაფარს და თბილ საკვებს შესთავაზებს. ამ სცენაში და შემდგომშიც ყვავილებით მოქარგულ ელეგანტურ შავ კაბაში გამოწყობილი ჟენო დირიჟორის გვერდით იდგა. მისგან მარცხნივ კი დანარჩენი მომღერლები. დები კლორინდა და ტისბე სხვადასხვა ფერის ლამაზ კაბებში იყვნენ გამოწყობილნი: კლორინდა წითელ კაბაში, ტისბე - მღურჯო-მოცისფრო ფერისაში, მამაკაცებს კი ტრადიციული შავი ფრაკ-კოსტუმები ეცვათ. ბიონდი დირიჟორობისას მომღერლებისაკენ ხშირად იყურებოდა და ვიოლინოს ხემს ისე იქნევდა, რომ მაყურებლის თვალში ჟენოს ნამდვილად საფრთხე ემუქრებოდა. თუმცა ეს უკანასკნელი არხეინად აგრძელებდა თავის პარტიას.

მიუხედავად საკონცერტო შესრულებისა, დადგმას დინამიზმი არ აკლდა. როგორც მე ვივარაუდე - ექსპრესიული იტალიელები თეატრალური პანტომიმით შეიარაღდნენ და აქა-იქ აქტიური სცენური მოქმედებაც კი აჩვენეს. მარტივი და გასაგები სიუჟეტი მათ ხელში ცოცხალ და კომიკურ სპექტაკლად იქცა. ეპიცენტრში ორი პერსონაჟი აღმოჩნდა – დონ მანიფიკო (ბარიტონი ბრუნო დე სიმონე და დანდინი (ბარიტონი კლემენტე ანტონიო დალიოტი. თავისი ვოკალური, მსახიობური და ვიზუალური თვითმყოფადობით ამ ორმა მომღერალმა საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა. განსაკუთრებით გამოვყოფდი ცნობილ იტალიელ ბარიტონს - ბრუნო დე სიმონეს. 58 წლის ნეაპოლელი მომღერალი იერთა და თეატრალური შესაძლებლობებით იდეალურად მიესადაგა ყოყლოჩინა, ეგოისტ, პროვინციულ და ქალიშვილების ბედზე მზრუნველ მამის როლს და მისი სამსახიობო პალიტრა იყო ძალზე თვითმყოფადი, სრულიად განსხვავებული იმისაგან, რაც სულ ახლახანს ნეაპოლის სან-კარლოს თეატრში ენახე და მოვისმინე (იხილეთ „საქართველოს ბიბლიოთეკა“ 2015, 3(60): გვ.62-65). იმ საღამოს მან მსმენელისა და მაყურებლის გული სრულად დაიპყრო. მაგრამ

წმინდა ვოკალურად მისი ინტერპრეტაცია უნაკლო არ იყო – ამიტომაც მან ნელი ტემპი ამჯობინა. ჩანდა, რომ მომღერალს ქვედა და ზედა დიაპაზონში უკვე ხმის სირბილე შეპარვოდა. დანდინის პარტიაში ჩემთვის სრულიად უცნობი ახალგაზრდა ბარიტონი დალიოტი გამოდიოდა. წვერ-ულვაშიანი, სუსტი მამაკაცი, შავი ყელსაბამით, ამ ძუნწი ნიშნებითაც კი ქმნიდა კომიკურ ატმოსფეროს, რომ არაფერი ვთქვათ მის თამაშზე, რამაც ხელი შეუწყო ვოკალურად გამკლავებოდა არც ისე დატვირთული პარტიის შესრულებაში. შთამბეჭდავი გამოვიდა ამ ორი მსახიობის ცნობილი დუეტი მეორე აქტიდან (No.11 Un segreto d'importanza), რომელშიც დანდინი უმხელს დონ მანიფიკოს, რომ იგი „გადაცემული“ და არა ნამდვილი დონ რამიროსა. მაშინ, როდესაც არც ერთი ზემო ნახსენები მომღერალი (გარდა ტისბეს პარტიის შემსრულებლისა) არ მღეროდა ნოტების დახმარებით, დონ რამიროს პარტიის შემსრულებელი – ტენორი ფრანჩესკო მარსილია პირდაპირ არ სცილდებოდა პიუპიტრს. ეს ახალგაზრდა, მაღალი და და ოდნავ სრული მამაკაცი ხშირი თმებით, აბსოლუტურად ამოვარდნილი ჩანდა დასიდან. მიუხედავად თბილი სამხრეთოვანი ხმისა, იგი პარტიისადმი სრულიად მოუმზადებელი ჩანდა. ამის გარდა, უკვე პირველ დუეტში ანჯელინასთან (No.3 Un soave non so che in quegli'occhi) მაღალ რეგისტრში მას ხმა გაუტყდა, რაც დასაჯული სცენიდან არასოდეს ჯერ არ მომისმენია. შემდგომ უკვე ტექნიკისა და ზედა დიაპაზონის სისუსტეც აშკარად გამოავლინა. ამას კიდევ მსმენელი აპატიებდა, რომ რაიმე სამსახიობო ნიჭი მაინც ეჩვენებინა. მაგრამ ამოდ – მარსილია და პიუპიტრი რაღაც განცალკევებულ კუნძულს წარმოადგენდა, რომელიც ერთადერთ და ძირითად დისონანს ქმნიდა იმ სადამოს. გასაკვირი იყო, რატომ წავიდა დირიჟორი დონ რამიროს ურთულესი არიის გუნდთან შესრულებაზე მეორე აქტის დასაწყისში (No.9 Si ritrovarla io giuro), რომელიც ტრადიციულ კუპიურას წარმოადგენს. ტენორმა იგი ფალცეტო (და ისევ ხმის გატეხვა!) და უღიმღამოდ იმღერა, რითაც საფსებით დაჩრდილა როსინის ეს უმშვენიერესი მუსიკა. ვოკალურად სრულიად საწინააღმდეგო აღმოჩნდა ვივიკა ჟენო – თხელი, ხორბლისფერი კანითა და გადაწეული გიშრისფერი თმებით იგი ისევ მომხიბლველად გამოიყურებოდა, როგორც 2008 წელს პარიზის სცენაზე და ვოკალურად ვერცხლისწყალივით მოქნილს და სწრაფს – როგორც კი მიეცემოდა საშუალება, იგი ფანტასტიკურ ტრელებს ჩართავდა შესრულების დროს, რისი უბადლო ოსტატიც არის. მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, დირიჟორის მიერ დიდი ცვლილებების (სავარაუდოდ პარტიტურის განსხვავებული – და როგორც მოგვიანებით გაირკვა, როსინის პირველი 1817 წლის ვერსიის) გამო ჟენოს ვოკალური შესაძლებლობების გამოვლენა

და მისი ფორმის შეფასება ვერ მოვახერხე. პირველ აქტში ცვლილება შეეხო ალიდროს არიას - ნაცვლად ცნობილი დიდი არიასა (No.6 La del ciel nell'arcano) შესრულდა ჩემთვის აბსოლუტურად უცნობი მოკლე ალტერნატიული ვერსია (Vasto teatro e il mondo). მაგრამ ძირითადი ცვლილებები მეორე აქტს შეეხო. იგი უცნაური გუნდით დაიწყო (Ah, della bella incognita), რომელშიც დონ რამიროს ამაღლა თავის მსხვერპლს - დონ მანიფიკოს დასცინის. შემდგომი სცენები ქარიშხლამდე უცვლელი იყო. სრულიად ამოვარდა ანჯელინას უცნობილესი კანცონეტა, სადაც იგი თავის ბედს დასტირის (Una volta c'era un Re). თავად ქარიშხლის სცენა ისე სწრაფად შესრულდა, რომ მე ვერც კი



მოვახერხე ბუნების სტიქიის ატმოსფერო გამეზიარებინა. შემდგომ შესრულდა ტრადიციული სექსტეტი, თუმცა მისი მეორე ნაწილი შემოკლებული და ოდნავ სახეცვლილი იყო, რომლის შემდეგ ჩაისვა კლორინდას დამატებითი (ასევე ჩემთვის უცნობი) არია (Sventura-ta!). ეს კოხტა, ვირტუოზული სეველიანი არია ასახავდა კლორინდას იმედგაცრუებას და მის შეგუებას დონ რამიროს არჩევანთან. აქ უკვე თავი იჩინა დანილა მიცის კარგმა ტექნიკამ და მეორეხარისხოვანი როლის შესატყვისმა ვოკალურმა მონაცემებმა. შემდგომი ფინალიც იყო შემოკლებული – კერძოდ, ანჯელინას საფინალო რონდო, რომელიც ჟენომ ქვედა რეგისტრის ნოტით დაასრულა. ოპერის ვერსიებში გაუთვიცნობიერებელს ისეთი შთაბეჭდილება დამრჩებოდა, რომ გრძელი პირველი აქტის შემდეგ, იტალიელებმა „შეამოკლეს“ მეორე აქტი, რათა სპექტაკლი დროულად დასრულებულიყო. მიჭირს თქმა, მსმენელებმა თუ იგრძნეს ეს – მაგრამ თამაში, როსინის გენიალური მუსიკა, დასის მაღალი არტისტიზმი, და, რასაკვირველია, ჟენოს და ბიონდის დუეტის მაგნეტიზმმა ყველაფერი სხვა გადაწონა. და მეც და გერმანელი მსმენელიც იმ დღეს კარგი განწყობით ვტოვებდით დარბაზს. „ეჰ, ნეტავი ეს ტენორი ასეთი უფერული არ ყოფილიყო“ – ამოიხრეს ჩემმა გერმანელმა მეგობრებმა უკანა გზაზე, მაგრამ ისიც კარგად ვიცოდით, რომ აბსოლუტური სილამაზე და ჰარმონია ძნელად მისაღწევია.

# ქრონიკა

## საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

8 იანვარს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოყვანო დარბაზში გაიმართა სერგო ფარაჯანოვის დაბადებიდან 92-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება. მოეწყო იური მეჩითოვის ფოტოსურათების გამოფენა. ამავე დღეს დაჯილდოვდნენ ფოტოკონკურსში გამარჯვებულები.

11 იანვარს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოყვანო დარბაზში გაიმართა გურამ ოდიშარიას რომანის „პრეზიდენტის კატა“-ს წარდგენა. რომანი თარგმნილია რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და სლოვაკურ ენებზე. მისი რუსული თარგმანი გავრცელდა აფხაზეთშიც.

18 იანვარს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ბექა კობახიძის წიგნის „სერ ოლივერ უორდროპი - 150“ წარდგენა. წიგნში დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით დეტალურადაა აღწერილი ოლივერ უორდროპის 1919-1920 წლებში თბილისში ცხოვრებისა და დიპლომატიური მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები. წიგნი უფასოდ



რა მოუწევს ბიბლიოთეკის უხუცეს მკითხველს, ანტონ მამრიკიშვილს. ბიბლიოთეკის თანამდგომთა საზოგადოებამ მაღალი შეფასება მისცა მის წიგნებს „საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის ისტორია“ და „ვალდებული ხარ დიდხანს იცოცხლო“.

23 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ვაინახი (ჩეჩენი და ინგუში) ხალხების დეპორტაციის 72-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ: ბექა ხანგოშვილი, სულხან ბორძიკაშვილი, ისლამ გორგიშვილი და თუმი დიშნი.

24 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკაში „ადამიანის უფლებათა ცენტრმა“ წარმოადგინა ანგარიში „რელიგიური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობა საქართველოში“.

1 მარტს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ლევან ბერძენიშვილისა და გურამ ბერიშვილის „საუბარი მათემატიკისა და პროზის ურთიერთობებზე“.

2 მარტს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა „საქარია ჭიჭინაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების“ პრეზენტაცია.

2 მარტს გაიმართა ნიკოლოზ ბარათაშვილის „პირადი წერილების“ წარდგენა. გამოცემა მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო მაია ცერცვაძემ.

7 მარტს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა საქართველოს მწიგნობართა ასოციაციის ქალთა კლუბის ინიციატივით გამოცემული წიგნის „დედების“ წარდგენა.



ვრცელდება მუნიციპალიტეტების მთავარ ბიბლიოთეკებში.

28 იანვარს ეროვნულ ბიბლიოთეკაში არაფორმალური განათლების ახალგაზრდულმა ცენტრმა „მზიანი სახლი“ გაიმართა ღონისძიება „ცოცხალი ბიბლიოთეკა“.

17 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ორგანიზაცია „გენი ქართულის“ დაფუძნებიდან ერთი წლის აღსანიშნავი ღონისძიება. „გენი ქართული“ მრავალშვილიანი დედების ინიციატივით მოქმედებს და მიზნად ისახავს საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის წახალისებას.

19 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეხვედ-





